

ლიტერატურული გაზეთი



№20 (276) 30 ოქტომბერი - 12 ნოემბერი 2020

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

რაულ ჩილაჩავა

ასი ტარცინა

1

არ იკეტება არასოდეს ბედის სამჭედლო,
სადაც ნიადაგ კვერავს, აწრთობს დროის ჰეფესტო
ვისთვის ბორკილებს, ვისთვის აბჯარს და ვისთვის — მახვილს.

2

ამოაქვს მამას ორშიმოთი ქვევრიდან ღვინო,
მე პატარა ვარ, ოდაბადეს მიხდიან... მარნის
ყავარზე დახტის მზენარევი მაისის წვიმა.

3

მკათათვე დადგა... მზე მიმიზნებს სხივებს კეფაში,
არდადეგები გამყავს ასე — ჩაის კრეფაში,
ერთი სული მაქვს, ენკენისთვე მოანვეს როდის.

IV-V

დოდო ჭუმბურიძე

მწუხრი ეფინება კოლხეთს, არგო მოდის შავი ზღვით,
მთები ზღვაში ვარდებიან, ცაში მთვარე არ იძვრის.
ქარები მთებს დასტირიან, ქარებს კი ზღვა შესტირის,
ახლოს ძველი მარტვილია, კარებ გამოკეტილი.
ადიდებულ წყლებს გადალმა ნამდვილ ყოფას დავიწყებ,
აღარ მინდა ვისი ნახვაც, იმედია, არ მიწყენს.
რადგან ალბათ უკვე მიხვდა, დარდს ხელში რომ ჩავაკვდი,
არც იმედი არ ამიხდა, სიხარულსაც დავაკვდი.
ცას ღრუბლები გამოუკრავს, ალვებმა ფრთა მორკალეს,
ჯერ აფსირტე არ მოუკლავთ, მაგრამ მალე მოკლავენ...
დედაჩემი დარდს გადაჰყვა, მეც ის დარდი მატირებს,
ადიდებულ წყლებს გადალმა მალე გავიმარტვილებ...

VIII-X





დავიწყო

„ნავრაპათალომთან“

— რაო სასწრაფომ?
 — ექიმის კონსულტაცია უნდა აუცილებლად...
 — გამოვიძახოთ მერე... ან მივაკითხავ მანქანი და წამოვიყვან...
 — დავრეკეთ და არაო. ვერ წამოგყვებითო, აქ მოიყვანეთო... შეიძლება, რენტგენი დასჭირდესო, ანალიზებიო, ექოსკოპია... რა ვიცი, რამდენი რამ...
 — მაშინ წავიდეთ.
 შალვა ფიქრებმა წაიღო. შორს.
 — ჰე, რას ვშვებთ? — ფიქრიდან გამოხსნა შალვა ნინომ, — ჩავაცვით ახლა ამას რამენაირად და წავიყვანოთ ექიმთან.
 — ჰო, მაგრამ... რა ვიცი, აბა...
 მანანა საწოლში იწვა.
 — როგორ ხარ, რა განუხებ? რა ვქნათ ახლა, არ წავიდეთ ექიმთან? ჩაგაცმევთ უცებ და გავქანდეთ...
 — ჰო, ალბათ უნდა წავიდეთ, მაგრამ... რას ვფიქრობ, იცი? დღეს წავიდეთ?... იმდენი რამე მტკივა, რით დავინყო, არ ვიცი: ხელ-ფეხი ხომ მიბუჯდება, წნევა ხომ მაქვს, ჩემო ბატონო, გუშინ რომ წამოვკარი ფეხი და დავეხეთქე, ზურგი მტკივა, მუხლიც მტკივა... ღრძილები მტკივა პროტეზისგან... მახველებს საშინლად და ყურიც ამტკივდა მარჯვენა... ჰოდა, ჯერ კარგად დავფიქრდეთ, რომელი ექიმით დავინყოთ-მეთქი, ვამბობ და მერე...
 — კარგი ნევროპათოლოგი გზაზე დაგვყავნებს და, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, „ნევრაპათოლოგი“ უნდა დავინყოთ — ყველაფრის თავი და თავია! ხელს გვეკრავს, კარგი გაგებთ! დანარჩენი მერე გამოჩნდება! ჰოდა, არ უნდა ამას ამდენი ფიქრი და ანალიზი, ჩაგაცმევთ ახლა მე და შალვა და გაგზიდავთ ნევროპათოლოგთან!
 იყო მათ ურთიერთობაში საკითხები, როცა ნინოსთან კამათს აზრი არ ჰქონდა — დრომ და გამოცდილებამ დაამკვიდრა ასე.
 ფორიაქი ატყდა. მანანას მოძრაობა უჭირდა, ნელა იცვამდა. წინდებმა გაანვალა. ასარჩევად იყო, მაგრამ ცალ-ცალი — ჩვეულებრივი, შავი, ქალის მოკლე წინდა და ასეთი მრავალფეროვნება დეტალებში... განიერი თუ ვიწრო რეზინით, თხელი, გამჭვირვალე, გაუმჭვირვალე, ორმაგი ჭვინტით, საერთოდ უჭვინტო, თავისსავე ნაზი ზოლებით, სულ სადა, გვერდზე ყვავილით, ან რომბით... ჩაცმის პროცესში აქტიურად განიხილებოდა თემა — როგორ უნდა მიაგნო (თუნდაც თეორიულად) იმ ადგილს, სადაც ყველა დაკარგული ცალი წინდა იყოს თავს... თავისებური სამოთხე წარმოიდგინეს, სადაც სიცოცხლის მანძილზე ყველა დაკარგული წინდა თავმოყრილი. შალვამაც წარმოიდგინა და ისევ ფიქრებს გაყვა შორს.
 — აჰა, მგონი, ეს ორი ერთიანია! — თქვა ფიქრებში მოგზაურმა შალვამ და შევებით ამოისუნთქა.
 წინდების გახდა-ჩაცმით გადაქანცულმა მანანამ ნინოს გახედა ვედრებით. ნინომ ეზოში გადაიხედა. თოვდა. წინდები განსხვავდებოდნენ. ასატანად.
 მერე ზედატანს არჩევდნენ დიდხანს. მერე ქვედატანს. ფეხსაცმელებში დიდი არჩევანი არ იყო და დიდი დრო არ დაკარგულა.
 ძველად გავიდნენ. ლიფტთან მანანას დაზღვევისთვის საჭირო დოკუმენტაცია გაასხენდა და შალვა მიბრუნდა. მანქანასთან მანანას უნივერსიტეტში სასწრაფოდ მისატანი საბუთები მოაგონდა და შალვა ისევ მიბრუნდა. ჩაჯდომამდე მანანამ დაინახა მეზობელი ეკა, რომელიც ქმარს კონფლიქტურად დაშორდა. ეკამაც დაინახა მანანა და კონფლიქტის ბოლო დეტალებს აზიარა.
 ექიმთან აგვიანდებოდათ. ნინო აჩქარებდა. შალვაც ჩქარობდა მანანას ჩასმას მანქანაში. მანანა ვერ ჩქარობდა, ჩაჯდომას უჭირდა — ნელი და მუხლები სტკიოდა. ეკაც ჩქარობდა ამბის მოყოლას.
 — უკაცრავად, — ნინომ ჩაიბუტბუტა ეკას მისამართით და მანქანა დაძრა.
 — არა, გესმის, რა ნაგლია? — დაანია ეკამ მანანას.
 — მე? — გადარია ნინო.
 — არა, კაცო. ის, ქმარი! — დაამშვიდა



ნინო მირზიაშვილი

მანანამ, — როგორ ფიქრობ, მოვასწრებთ უნივერსიტეტში ამის მიტანას?
 — შალვა თუ მანქანის გაჩერებამდე გადახტება, შევარდება, შეგადებს და გამოვარდება — მოვასწრებთ!
 მაღლივს უახლოვდებოდნენ. შალვა უკანა სავარძელზე დაიძაბა. მანქანამ სვლას უკლო, კარი გაიღო და მოჯახუნდა.
 მანანა ეკას ამბებს უყვებოდა ნინოს. ნინო უსმენდა და დროდადრო აღშფოთდებოდა ხოლმე, თან მანქანას აკვებებდა ბორდიურთან.
 — და რა უნდა ქნას ახლა ეკამ?
 — არ ვიცი, რა! ყოველდღე ასეთ სკანდალებშია...
 — ოთხამდე ხომ ვიქნებით, ექიმმა... მივასწრებთ, მგონია...
 — არ მივასწრებთ და იყოს! ისე, უკეთ ვარ, რომ იცოდეთ!
 — რეებს ლაპარაკობ? ძლივს გამოვართვი სახლიდან და უექიმოდ ვერ გადარჩები!
 — კარგი, ბატონო, მაგრამ მივასწრებთ?
 — თუ გავალთ აწი, მივასწრებთ, — შალვა იყო უკანა სავარძლიდან.
 — უი, შენ დაბრუნდი? არც გაგვიცხია...
 — კი, დიდი ხანია... ეკამ მის ქმარს ბარგი რომ ჩაუღაგა და სადარბაზოში გაუდგა ჩემოდანი, იმ ადგილას!
 — უი!
 აჩქარდნენ.
 ნევროპათოლოგთან მიღებაზე არავინ იყო. შევიდნენ.
 ექიმმა სპორტული გაზეთი გადადო.
 — გისმენთ, — მიაჩერდა შალვას.
 — აი, ავადმყოფი მოგიყვანეთ, — თქვა შალვამ და ჩანანერები დაანყო მაგიდაზე.
 — ორივე? — დაინტერესდა ექიმი და ჩანანერების თვალში შეუდგა.
 „ოპტავიკი“ შალვა! — გაიფიქრა ნინომ.
 — არა, ბატონო, ავადმყოფი მე ვარ, და ეს, ასე ვთქვათ, პატრონია ჩვენი ყველასი, — შესცინა მანანამ.
 — პატრონი იქ დაბრძანდეს, ავადმყოფი აქეთ და თქვენ ეს დოკუმენტები გადამიქსეროქსეთ! — დაქაქსა შემოსულები ექიმმა, გააგრძელა ჩანანერების თვალში შეხედვა და მანანას მიმართა:
 — გისმენთ!
 — ამ რამდენიმე დღის წინ... — „იყო და არა იყო რა“ — სავით დაიწყო მანანამ, — წნევა ამიწია... დამიბუჯდა მარცხენა ხელ-ფეხი... წნევა ვერაფრით დავიგდე... მერე გავცივიდი... ანგინა მქონდა... ხველება... — მანანა დიდხანს და თანმიმდევრულად ყვებოდა თავისი გაჭირვების ამბავს.
 — გაიხადეთ ნელს ზევით, მოგისმენთ. ნინო მანანას მიეხმარა გახდამი და ექიმმა სტეტოსკოპი მოიმარჯვა.
 ამ დროს ექიმის მობილურმა დარეკა.
 — მომაკითხეთ უკვე? გასაგებია, მაგრამ ახლა პაციენტი მყავს და ჯერ ვერ გამოვალ... დამელოდეთ... კი გითხარით, მაგრამ... პაციენტი შემომივიდა და სანამ არ გავსინჯავ... დამელოდეთ თქვენ... ალბათ ნახევარი საათი დამჭირდება... მეტი — არა მგონია... კარგი...
 — ეს რა ჩალურჯება გაქვთ ზურგზე? — მიუბრუნდა ისევ მანანას ექიმი.
 — ჰო, და წავიქეცი კიდევაც და ზურგი დავარტყი.

— თავიც?
 — არა, თავი არ მახსოვს... არა, თავი არა!
 — აბა, წნევა მქონდაო?
 — წნევა მანამდე მქონდა, მერე დავიგდე როგორც იქნა და... ეს წნევისგან დამოუკიდებლად წავიქეცი, ხალიჩას წამოვდე ფეხი, მაგიდას მუხლი მივარტყი და სავარძელს ზურგი...
 — და თავი?
 — თავი არ დამირტყამს, ბატონო! — განერვიულდა მანანა.
 — თუ ზოგად მდგომარეობას არ ვიგულისხმებთ, — სცადა სიტუაციის შერბილება ნინომ.
 — რას გულისხმობთ თქვენ? — მკაცრი სახით დააჩერდა ექიმი ნინოს.
 — უკაცრავად, ხუმრობა ვცადე, — შეცბა ნინო.
 — აჰა, — არ გალიმბია ექიმს.
 შალვა გადაქსეროქსებული ფურცლებით ხელში შევიდა კაბინეტში.
 — ჰო, ძალიან კარგი! — მიატოვა ნახევრადმიშველი მანანა ექიმმა და შალვას შეეგება, — ეს ჩემთან დარჩება და... (ჩაუღრმავდა საბუთებს)... იურიდიულად გავამართლებ.
 — რას გულისხმობთ, ბატონო? — დაინტერესდა შემცბარი ნინო.
 — არაფერი, ეს ისე. დიდი ხანია, გახველებთ? — მიუბრუნდა ისევ მანანას.
 — სამი-ოთხი დღეა.
 — ენევით?
 — დიახ. ბევრს.
 — რამდენს?
 — სამ-ოთხ კოლოფს...
 — უფ! ეგ ბევრია. თავს ინამლავს, — მიუბრუნდა შალვას, — სიგარეტს თავი უნდა დაანებოთ!
 შალვამ თავი დაუქნია მდუმარედ და ფიქრებს გაჰყვა — მოწვევა უნდოდა.
 ნინო ნიშნისმოგებით აკანტურებდა თავს მიჩენილ ადგილას, კედელთან.
 — უფ, ვერაფრით დავანებებ... — გააპროტესტა მანანამ.
 — უნდა დაანებოთ! — გაჯიუტდა ექიმი.
 — რომ დაანებო, ხომ უნდა გინდოდეს? მე არ მინდა თავის დანებება, ამიტომ ვერ დავანებებ! რომ არ მომწონებოდა, რეანიმაციიდან სისტემიანად გამოვიქეცი, ასე, ვენაში გააჭობილი სისტემით...
 — გასაგებია. წნევა როგორ გაქვთ?
 — მაღალი მქონდა ძალიან — 160/80.
 ძლივს დავიგდე. დამიბუჯდა ხელ-ფეხი. სასწრაფოს ეჭვი ჰქონდა ინსულტზე და გამაქანეს საავადმყოფოში და ტომოგრაფია...
 — ეგ არაა მთავარი... აქ ინსულტი გამოიწვევია... აგერ დოკუმენტაციაც გვაქვს... იურიდიულად მართლები ვართ... წნევას რას უკავშირებთ? ჩაიცივით.
 ექიმი ფანჯარასთან მივიდა, გადაიხედა.
 — ახალ წლებთან დაკავშირებით ცოტა ნაკვიქვეფთ და...
 — სვამთ?
 — კი, დავლიე...
 — არაყს?
 — არა, ბატონო!
 — კონიაკი, ვისკი?
 — ლუდი მიყვარს... ღვინო...

— მაინც რამდენს სვამთ?
 — როგორ გითხრათ... გადავავროთ ეს ამბები და შეგვეჯიბრებოთ, თუ გინდათ!
 — გაიჯიმა მანანა.
 — ინამლავს თავს! — მიუბრუნდა ნინოს ექიმი, — ენევით? — დაუბრუნდა მანანას.
 — კი! ისევ ვენევი, ბატონო, და ბევრს!
 — ინამლავს თავს, — დაასწრო ნინომ ექიმს.
 — თქვენ ვინ ბრძანდებით? — ისევ ნინოს მიუბრუნდა ექიმი.
 — მეგობარი ვარ!
 — ერთად სვამთ?
 — არა, მე სპორტიანს ვეჭანები და ვერ ვენყობით სუფრაზე ერთმანეთს, გამოსასვლელ დღეებში ვმეგობრობთ! — შესცინა ნინომ.
 — და თქვენ? — მიუბრუნდა ექიმი შალვას. არ ილიმოდა.
 — მე... სულ... — ფიქრიანად თქვა შალვამ.
 — სვამთ?!
 — არა, ვმეგობრობ...
 — ვისთან?!
 — ამათთან!
 — და თქვენ ვინ ბრძანდებით?
 — მეუღლე ვარ, — კიდევ უფრო ფიქრიანად თქვა შალვამ.
 — ვისი?
 — ღვინისმოყვარულის!
 — და მერე, როგორ იტანთ? — მკაცრად ჰკითხა ექიმმა.
 — ღვინოს — კარგად, არაყი არ მიყვარს!
 — მაგას არ გეკითხებით! მსმელ ქალს როგორ იტანთ-მეთქი!
 შალვა ფიქრებმა წაიღო. ისევ იმ გზაზე...
 — რასაა, რომ... ერთად ვსვამთ და ვენევი, ბატონო! აბა, მე... ქუჩა-ქუჩა კი არა... „პადიეზ-პადიეზ...“ — უცბად გონს მოეგო და აფეთქდა მანანა.
 — ვინ გაკადრბო, ქალბატონო, რას ბრძანებთ! — შეარბილა ტონი ექიმმა, — ესე იგი, ნაკვიქვე და თავი დავარტყიო, მეუბნებით და მერე წნევამ ამიწიაო...
 — არ მითქვამს, ბატონო, მასე!
 — არა, ბატონო! ჯერ წნევა ჰქონდა მაღალი, — ჩაეჩხირა ნინო (აბა, შალვა ფიქრებში იყო და...).
 — კარგი, კარგი! გასაგებია! წნევისგან დაკარგა წონასწორობა, ნაქცა და თავი დაარტყა! თქვენ ვინ ბრძანდებით?
 — მეგობარი ვარ მე!
 — ახლა რამდენი გაქვთ წნევა? — დაუბრუნდა მანანას.
 — ახლა ნორმამი მაქვს, — უხალისოდ მიუგო მანანამ.
 — როდის გაიზომეთ?
 — დაახლოებით ერთი საათის წინ.
 — აჰა! ერთ საათში რა შეიცვლებოდა. პრინციპში, აპარატი მანაც არ მაქვს... კარგი, ახლა რასაც გკითხავთ, დააკვირდით და ისე მიპასუხეთ, — სამედიცინო ჩაქუჩი მოიმარჯვა ნევროპათოლოგმა, — ჯერ ამას თვალი გააყოლოთ... კარგია... ენა გამოყავით... კარგი. დაკრიჭეთ კბილები...
 მანანამ ნინოს გადახედა. ნინო კარგა ხანი იყო, სკამზე ცახცახებდა სიცოცხლისგან. მანანამ პროტეზი დაკრიჭა (მისმა აღ-

ზრდამ აჯობა ნინოსას თავშეკავებულობის ამბავში).

— კარგი. ახლა მიპასუხეთ, — ჩაქუჩით ჩამოუხაზა ლოყები ექიმმა მანანას, — მარჯვენა და მარცხენა ლოყაზე შეგრძნებები ერთნაირია?

— დიახ.

— მარჯვენა და მარცხენა ხელი?

— ერთნაირია.

— მარჯვენა და მარცხენა ბარძაყი?

— ერთნაირია.

— მარჯვენა და მარცხენა ტერფი?

— ერთნაირია.

— ფეხის ცერები?

— წინდებს თუ არ ჩავთვლით... — ძლიერს მოიბრუნა სული ნინომ.

მანანამ ხველებით „შეფუთა“ ხარხარი... — როგორ გახველებთ, — შენუხდა ექიმი, — ენევით?

— არა, — მტკიცედ თქვა მანანამ.

— მე ვენევი ბევრს, — ხველება ატეხა ნინომ.

— ინამლავს თავს, — ერთხმად დაასკვნეს მანანამ და ექიმმა.

— თქვენც ჩემთან ხართ? — შემფოთდა ექიმი.

— არა, მე პატრონი ვარ, — დაამშვიდა ნინომ.

— მე გავალ, — თქვა ფიქრებში სიცილისგან დაოსებულმა შალვამ, — მეუღლე ვარ და გავალ.

— მუცელზე დაწეით და ფეხები აკეცეთ, — გააგრძელა მანანას კვლევა ექიმმა.

— რომელ მხარეს აკეცოს? — საქმიანად დაინტერესდა მანანასთან მისახმარებლად მისული ნინო.

— ზევით, — თქვა ექიმმა.

— ვერ ვახერხებ დაწოლას... იცით, ყველა სიკეთესთან ერთად, თიქარაც მაქვს, — ამოიკვინეს მანანამ.

— დაწეით, დაწეით... როგორმე... მანანა გაჭირვებით მოთავსდა მაგიდაზე.

— და ფეხებიც აკეცეთ!

— ასე კარგად აქვს აკეცილი ფეხები?

— კი, კარგია! ოღონდ ნუ აცანცარებთ!

— ვერ ვაჩერებ, ბატონო!

— რომ იცოდეთ, მე სასამართლო ექსპერტიზაში ნამუშევარი კაცი ვარ და ვერაფერს გამომაპარებთ! გააჩერეთ ფეხები!

— ამ ჩემს ფეხებს... ვერ ვაჩერებ, ბატონო! ძალით კი არაფერს ვაკეთებ!

— თქვენ დაუჭირეთ! — მიმართა კამნეში ცხვირპირჩამარხულ და მხრებათახთახებულ ნინოს ექიმმა.

ნინომ დანითღებული სახე ამორგო კამნედან და ახლა მან „შეფუთა“ ხარხარი ხველებით...

— ენევით? — შემფოთდა ექიმი

— ეგ არა, მე ვენევი ხანდახან, — შეემველა ნინოს მანანა.

ნინომ, როგორც იქნა, სული მოითქვა, მანანასთან მივიდა, ფეხები დაუჭირა და თან წვალებით შერჩეულ და მაინც ცალცალ წინდაზე ახლადგაჩენილ ნახვრეტს ცერი დააფარა.

ექიმმა აპრეხილ მანანას რეფლექსები შეუმონწმა და თავი გადააქანა.

— გასაგებია ყველაფერი!

— გვამური ლაქები დაიშორება? — ჩაიბუტბუტა ნინომ.

— რა?

— არაფერი, ბატონო!

— თქვენი მდგომარეობა და სიტუაცია გასაგებია... ეს ამდენი თვითდაზიანებები, სმა... მაღლობა ღმერთს, სიგარეტს მაინც არ ენევიო! ჩაიცვით და... რა გითხრათ!.. კარდიოასპირინს გამოგიწერო!

— მაღლობელი ვარ!

— ჰო, და წნევა აკონტროლეთ!

— აუცილებლად...

— და სიგარეტს თავი დაანებეთ!

— კი, ბატონო!

— სმასაც!

— აუცილებლად!

— თქვენც თუ დაანებებთ, არ იქნება ურიგო! — მიუბრუნდა ნინოს.

— მე ვპირდებით, ჩემო ბატონო! ღერს არ მოვწვენ და წვეთს არ დავლევ! პრინციპში, არც არასდროს დამიღვე-მომინევი... მაგრამ ანი უფრო!

— და ერთ კვირაში გამომიარეთ! ოღონდ ჩაენერეთ წინასწარ!

— კი, ბატონო! ნახვამდის, ბატონო! გადი, მანანა, დროზე!

— ჰო! თავისუფალი ვარ უკვე და გამოვდივარ! — ყურმილს ჩასძახა ექიმმა...

ოპერაცია საყოველთო დაზღვევის მქონე კაცის ნაამბობი

დაზღვევის საგარანტიო წერილი მოვიპოვე და ქირურგმა სამშაბათს დამიბარა ოპერაციაზე.

გარეგნულად არ ვიმჩნევ, მაგრამ ვლელავ — ოპერაციაა მაინც.

ქირურგის ასისტენტთან გავისაუბრე — რამდენად რთულია-მეთქი... „ოპერაციააო, მაინც“ — მიპასუხა და სანამ საბუთებს მოაწესრიგებდნენ, მოსაცდელში დამტოვა.

ჩამოვჯექი.

ვილაცის ღრიალმა სკამზე შემახტუნა. „მორჩა, დამთავრდა! მე ხელს აღარ მოგკიდებ! რა გიქნია ეს, რა? სადაც გინდა, წადი და ვისთანაც გინდა, მიჩივლე“ — ფაფარ-არა და ცისფერხალათისკალთებზე (და ნერვებზე) აშლილი ექიმი საპროცედუროდან გამოვარდა და დერეფნის ბოლოსკენ გავარდა.

ექიმს საპროცედუროდან საშუალო ასაკის ფეხებდაბინტული ქალი გამოყვა შემინებული სახით და ქოშებით მცირე პლათფორმაზე.

ადგილი დავუთმე.

— მაგას მე უპატრონო ხომ არ ვგონივარ? ბინტი არასწორად დაიხვიეო... გაიხსნა და როგორც მომიხვდა, ისე დავიხვიე... — კაბიდან ფეხები გამოყო და ჩემკენ მომართა ქალმა. ცალ ფეხზე რვიანისებური ნახვევი ჰქონდა, ცალზე ისეთი — შინაურული.

— ჰოო... — ვთქვი მე.

— მიმატოვა და ხელს აღარ დაგადებო... არადა, ძაფები უნდა ამოეღო... იცი, რა მამა ჰყავს? არა, თვითონაც კარგი ექიმი, მაგრამ... მაშ, ასე უნდა ეყვირა ჩემთვის? ახლა რა ვქნა? აფსუს, მამამისის შვილი!..

— აბა, რა გითხრათ?! განყოფილების გამგესთან მიდით... — ვურჩიე.

— სად უნდა მივიდე? მაგან უნდა ამომიღოს ძაფები... იცი, რა მამა ჰყავს?! ხომ არ ვუჩივლებ? როგორ მიყვირა! გაგიჟდა ჩემი ქმარი! იმოდონა თანამდებობის პირია... ჩემი გოგო კიდე კბილის სტომატოლოგია... მაზლისშვილი — გულის კარდიოლოგი... ლიცენზიები უნდა აიღონ და... ზედა ჰყვებიან პაციენტებს... ეგრე კი არ უყვირიან, როგორც ეს!

— აღარ უნდა დაწუმდე? შენი ბრალია! რად მოიძრე? — მოგვიახლოვდა „იმოდონა თანამდებობის პირი“ თითზე მანქანის გასაღების ტრიალით.

— მიდი, კაცო, ტკბილად დაელაპარაკე... სთხოვე, მოგვხედოს! — შევედრა ქალი.

— არ მოგხედავს და მაგისი აჯობებს! მე რა, ბინტის დახვევის კურსები გამატარა? რასა მთხოვს? მოვა და მოგხედავს, მა რას იზამს! წავიდე მე! მანქანაში დაგელოდები!

— მარტოს მტოვებ? — აფორიაქდა ქალი.

— რა, მგელი შეგჭამს? — თქვა კაცმა და გავიდა.

— თერთმეტზე ვინცებთ ოპერაციას და გაემზადეთ, — ჩამიქროლა ჩემმა ექიმმა, — აიყვანე 118-ში, — მხარუქულმა გადმოუგდო სანიტარი.

— წავიდე, — მითხრა სანიტარმა.

— უნდა დაგტოვოთ, — მოვუბოდიშესავით ქალს.

— რა, მგელი შემჭამს? მშვიდობით გამოსულიყავი! — მითხრა ქალმა.

ჩემთვის განკუთვნილი, სავარაუდოდ, ერთადგილიანი პალატა სამ უზარმაზარ სპეცსანოლს, სამ მოზრდილ ტუმბოს, ერთი სკამსა და პირსაბანსაც კი იტევდა ესპანურკაფელიანი კედელთან (ნამდვილად ესპანური იყო — თავის დროზე ჩემი აბაზანისთვის მიწოდდა, მაგრამ მეძვირა). ჩემი მომცრო ჩანთით პირდაპირ სანოლზე „შევედი“, რადგან პალატაში ფეხდაფეხ შემომყვა ექიმი და პირსაბანთან მიდგომის სკამი მას დავუთმე. ანესთეზიოლოგი ინესა ჯერ გამეცნო, მერე აურაცხელი კითხვარი შეავსო პირსაბანზე — ოპერაციამდე თხუთმეტი წუთით ადრე სპინალურ გაუტკივარებას გავიკეთებთ, ვერაფერს გაიგებთ, არ ინერვიულოთო — დამამშვიდა და გავიდა.

რამდენად რთული ოპერაციაა-მეთქი, დერეფანში დავანევი კითხვა ქალბატონ

ინესას. ოპერაციაა მაინც, მიპასუხა უკანმოუხედავად.

— რეზო! თერთმეტსაათიანი გაიყვანე 118-იდან, — დაიყვირა ვილაცამ დერეფანში.

ავფორიაქდი. 118-იდან მე ვარ და ოპერაციაც თერთმეტზეა დანიშნული. რეზო არ ჩანდა.

— სანიტარი! — ყვიროდა ვილაც.

— ეგ რეზო ახალია? რომელია? — იკითხა ვილაცამ.

დერეფანში გავედი რეზოს მოლოდინში.

— არ გაგყავს პაციენტი საოპერაციოში? — მკითხა ვილაც თეთრხალათიანმა.

— პაციენტი მე ვარ.

— აბა, რეზო სადაა? — დაინტერესდა თეთრხალათიანი.

— მოვდივარ, მოვდივარ, ვაა! — შეგვინუხდა რეზო, — აბა, უცებ, გაიხადე და დანეჭი! — მომირახნახა საკაცე ფეხებითან.

პალატაში (სანოლზე) შევბრუნდი გასახდელად. რეზო, თეთრხალათიანი და შემოსწრებული კიდეც ერთი სანიტარი (ქალი) ღია კარში დადგნენ.

— დროზე, დროზე, დაგვაგვიანდა! ყველაფერი გაიხადე და „აღიალას“ დაგაფარებთ! მიდი, მიდი! არ გიყურებთ! — მაგულიანებდა რეზო.

არადა... მიყურებდნენ.

— ბარემ მუსიკაც ჩართეთ და... — ჩავილაპარაკე.

— მუსიკა საოპერაციოშია! — მამცნო რეზომ.

მაყურებლებისკენ ზურგით დავდექი და გახდა დავინწყე.

— დროს ვკარგავთ, დროს ვკარგავთ! — მაგულიანებდა რეზო, — ისედაც დავაგვიანეთ!

შიშველს ადილა გადამაფარა და საკაცე გააქანა.

საოპერაციოში მუსიკა მართლა იყო — ჯეიმს ბრაუნი უბრადა: I Feel Good, მაგრამ ძალიან ციოდა. კონდიციონერი მთელი სიმძლავრით მუშაობდა. ორი საოპერაციო მაგიდიდან ერთი უკვე დაკავებული იყო სიცივისგან აკანკალებული პაციენტით.

— ძალიან ცივა, — შესჩვილა პაციენტმა თავმდგმურ ექიმებს.

— ახლა დაგეძინება და აღარც შეგცივდება! — ანუგემა ანესთეზიოლოგმა და სახეზე ნიღაბი დააფარა.

რეზო მეორე მაგიდაზე ასვლაში დამეხმარა.

— ცივა, — ვთქვი მე.

სანიტრებმა ზენარი გადამაფარეს, მკერდთან „შორმა“ დამიდგეს, გვერდითა პაციენტის გადაფატრული მუცლის ღრუ რომ არ დამენახა, ზევით ავიხედე. სამედიცინო სანათში ჩემი სხეულის საოპერაციო უბანი გარკვევით ჩანდა.

ანესთეზიოლოგმა ინესამ ნემსი გამიკეთა — თხუთმეტ წუთში წელს ქვევით ველ-არაფერს იგრძნობთო — მითხრა და გავიდა.

საოპერაციოს კარი მაშინვე ხელახლა გაიღო და ხელთათმანებიანხელეზალპყრობილი ქირურგი შემოვიდა აჩქარებული ნაბიჯით.

— აბა, დავინწყეთ! დაგვაგვიანდა ისედაც!

ტკივილს კარგად ვიტან. მოთმენა შემოიძლია და არც ნივილ-კივილი მიყვარს. უბრალოდ, რაც მეტად მტკივა რამე, მით ნაკლებს ვლაპარაკობ.

საოპერაციო ადგილი დამიმშავეს. კანი ამეწვია და შევიშმუშნე.

— გტკივა? — გაუკვირდა ქირურგს.

— ამენვა, — ვთქვი მე.

— არ უნდა გვერძნო, — თქვა ქირურგმა. სკალპელი დამისვა და საოპერაციოში იმ წუთის შემოსულ ანესთეზიოლოგს გადაახედა. ანესთეზიოლოგმა საათს გახედა, მერე რალაც უთხრა ჩუმად ქირურგს.

— ვა! — თქვა ქირურგმა, — გტკივა?

— კი, — ვთქვი მე. თან ძლიერ ნვისა და ტკივილის შეგრძნება მქონდა.

— არ უნდა გტკიოდეს, — თქვა ქირურგმა და მუშაობა გააგრძელა.

ხმა აღარ ამომიღია, მაგრამ მტკიოდა. ძალიან.

— დაბუჟებას სად გრძნობ? — დაინტერესდა ანესთეზიოლოგი.

— ფეხის თითებში, — ლაპარაკი არ მიწოდდა. მტკიოდა.

— ჰო. ნელ-ნელა ზევითაც გაგიყურებ... — დამამიძვინდა ანესთეზიოლოგმა.

— ნელა მოქმედებს? — დაინტერესდა ქირურგი, — გააშრე, დროზე! — ასისტენტს გასძახა.

— ეტყობა, — თქვა ანესთეზიოლოგმა, — ფეხები ავანევიწით ზევით ცოტათი... ნამოვა ნელ-ნელა დაბუჟება... — ვა! — თქვა ქირურგმა, — კაცები ცოტა „კაპრიზნები“ ვართ, არა? — დამხედა. ნიღაბში ღიმილი არ ეტყობოდა.

ანესთეზიოლოგი ინესა აფორიაქებული ჩანდა.

— დავამატებ! — უთხრა ექიმს.

— მიდი, მიდი! — შეაგულიანა ქირურგმა...

— ეს იყო სულ! კიდეც გრძნობ ტკივილს? — მკითხა ქირურგმა, — გაკერე! — უთხრა ასისტენტს.

— არა, — ვთქვი მე. ძალიან დაღლილი ვიყავი ტკივილისგან.

— ორ საათში იგრძნობ და გამაყურებელს გაგიკეთებენ.

— ორსაათნახევარში, — დაზუსტა ინესამ, — ბოდიში, დროზე ადრე დაიწყო ოპერაცია და იმიტომაც არ გაგიყურდათ ბოლომდე!

— თერთმეტზე უნდა დაგვეწყო, კიდეც გვიან დავინწყეთ! — ხელთათმანები მოიხსნა ქირურგმა.

— სანიტარია მოსაკლავი! შემოყვანა დაავიანა! — თქვა ასისტენტმა. მკერავდა.

— ბოდიში, — თქვა ინესამ და გავიდა...

პალატის კარიდანვე შევფასე საკაცე-იდან ჩემი სანოლში გადაყვანის სირთულე. ანესთეზიისგან თავისუფალ ჩემს გონებაში გამოიკვეთა რამდენიმე ვარიანტი:

პალატა ან სანოლებისგან უნდა დაეცალათ და ისე შეეგორებინათ საკაცე ან კარებიდანვე „გადავეფერთებ“ სანიტრებს საკაციდან (რაც მაშინვე გამოირიცხა საკაცის მოსაქნევი ფართის არ არსებობის გამო), ან ჩემით გადავსულიყავი ახლად-ნაოპერაციები საკაციდან სანოლზე, რაც ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო — ანესთეზიამ, როგორც იქნა, ეფექტურად ახლალა იმოქმედა და წელს ქვემოთ არათუ ვერაფერს ვგრძნობდი, სრულიად პარალიზებული ვიყავი.

ტყუილად ველავი. სანიტრებმა კარგად იცოდნენ თავისი საქმე: ერთი ჩემი სანოლის გა(და)ვლით ფანჯრის რაფასა და სანოლს შორის ჩაეჭვდა,

მეორემ საკაცე (ჩემიანად!) ორ სანოლს შორის გაჭირვებით შეაკვება. სანიტრებმა საკაცეზე (ჩემ ქვეშ) დაფენილ ზენარს თავში და ბოლოში ხელი ჩასჭიდეს, ზენრიანად ამიღეს და სანოლზე გადამათრეს! გამიხარდა. გაუძლო ზენარმა!..

— პეპელა, პეპელა! — გამაღვიძა ხმამ გვერდითა სანოლიდან. სანამ მეძინა, ახალი პაციენტი შემოუყვანიათ, — პეპელა!

— სად დანახეთ? — თვალის მოვავლე პალატას, — მე კიდეც კალიების მეშინია ძალიან!

— პეპელა! — ღრიალზე გადავიდა პალატის მეზობელი, — გამაყურებელი! დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. პალატაში ექთანმა შემოყო თავი.

— რომელი მეძახდა?

— გამაყურებელი გამიკეთე, მტკივა ძალიან!

— ახლავე, გენაცვალე! თქვენც დამიძახეთ, თუ დაგჭირდებით. გამოსაძახებელი „კნოპკა“ არ გვაქვს! — თბილად გამიღიმა და გამაყურებლის მოსატანად წავიდა.

ყველაზე მეტად მაინც მაცვივარი დამამახსოვრდა... პატარა, მწვანე მაცივარი სავადმყოფოს დერეფანში, ზედ მიკრული ფურცლით და რალცნაირად აბურღული წინადადებით:

„ავადმყოფთა საყურადღებოთ! მაცივარშია განკუთვნილი პროდუქტებისთვის!

დანერეთ გვარი და პალატის ნომერი.“

და ამ ღრმამინაარსიანი წარწერის ქვემოთ იმავე ფურცელზე მორიდებით მიკანული:

„მანონი 108“



რაულ ჩილაჩავა

ასი ტერცინა

4

დაშალეს სახლი... ალაგებენ ფარდულში ფიცრებს,
მე კი მგონია, თითქოს უცებ ბავშვობის ბუდე
გამომაცალეს... მე იქ უკვე ვერ დავბრუნდები.

5

რომ მოვინდომო, გავგაგორებ უცებ იაგანს
და მზეთუნახავს დავამსგავსებ ბაბა-იაგას,
მაგრამ არც ერთი მჭირდება და აღარც მეორე.

6

გადავიკითხე ერთხელ კიდევ დანტე და მივხვდი,
რომ მოგვატყუა... არ ჩასულა ის ჯოჯოხეთში
და დავიხატა, რაც აქ ნახა, ცოდვილ მინაზე.

7

ოჩოფებზე შემდგარ ტყუილს ამბობს მავანი
და ვერ მიმხვდარა, რომ ის დაბლა ჩამოსვლის მერე
უნინდებურად კვლავ გახდება მოკლეფეხება.

8

ჩამავალი მზის ქვეყანაც ხომ არსებობს სადღაც
და მასშიც არის ხიბლი, რადგან ბოლო სხივები,
ბოლო სიტბო და მოფერება იმ ქვეყნისაა.

9

მე არ მსმენია, ვინმეს ეთქვას: რა ადვილ დროში
ვხოვრობ (ვიცხოვრე)... კაცმა რომ თქვას, ასედაც არის,
ძნელია მუდამ მოლოდინი სულ ბოლო ზარის!

10

ფეხსანმენდის ქვეშ ამოდებულ გასაღებს ვეძებ,
მაგრამ უეცრად მახსენდება, რომ ბინა წელან
თვითონ დაკვეთე, აქ კი მეტი არავინ ცხოვრობს.

11

ვით მუზეუმი ჟამი-ჟამად სათადარიგო
ფონდიდან სურათს რომ გამოფენს,
მეც ზოგჯერ ხოლმე
გამოვფენ მორიგ მოგონებას სსოვნის სკივრიდან.

12

ერთ წყალში ორჯერ თუ ვერ შეხვალ, ერთ მდინარეში
შეხვალ ასჯერაც... იბანავე, იჭყუმპალავე,
თუკი ტალღები ერთხელ ფსკერზე არ დაგმალავენ.

13

ვარაზისხევთან იდგა ბიჭი და გაზეთს ხევდა,
ნაკუნ-ნაკუნად ძირს ცვიოდა სტრიქონთა სევდა,
ათოვდა თერთმეტსართულიანს, ათოვდა თბილისს.

14

არ შეგვეშალოს სიმარტოვე სიმარტივეში,
აქ საქმე უფრო რთულადაა, ვიდრე გგონია:
ებრძვის ერთმანეთს სინამდვილე და აგონია.

15

რომ დავაკვირდი,
დღე, რომელიც თან მოჰყვა ავდარს,
სასაფლაოდან გამოგზავნილ უწყებას ჰგავდა,
ის სანამ ჩემთან მოვიდოდა, დავგმანე კარი!

16

რა ბიჭი იყო!.. ათასებში გამოარჩევდი,
მაგრამ წავიდა, რადგან არვინ არ უპატრონა
და... გვერდით გდია ახლა მასრა ანუ პატრონა!

17

ბედნიერება რთულია და ძნელადსაპოვნი,
მისთვის ხანდახან
ცხრა მთა, ცხრა ზღვა უნდა გადავლო,
უბედურებას კი ზღურბლზედაც შეეჩებები.

18

როგორ იცვლება ყველაფერი, როგორ იცვლება,
რამდენი რამე, ამჟამად რომ არ შეიძლება,
აგერ, ახლახან, გახსოვთ, იყო სავალდებულო!

19

აქ უარყოფა არ გამოვა არავითარი:
ცხოვრება არის ერთჯერადი დენის ქვითარი
და დღეთა ჩვენთა ნაგავია მიბმული მასზე.

20

ამ ბაბილონში ვინ ვინ არის — ვერ გამიგია,
ყველგან რიგია, მე კი მშვიდად გავყურებ რიგებს,
იქ ურიგოდაც მიმიღებენ, სადაც მივდივარ.

21

მე გაზეთებით განებილი კედლებიც მახსოვს!..
ო, ამ სოფლური, ღარიბული დაძიბაოდან
ზოგჯერ წარსულის განგმირული სული ბღაოდა.

22

ტეხავენ სიმინდს, ჩალისღერებს ნამგლებით ჭრიან...
შელამებულზე ყურს უგდებენ ურმის ჭრიალს და
ახალ ჭირნახულს ზეიმობენ ბელის თავგები.

23

მზე არ ცივდება, განა მისი ბრაღია, თუკი
ვერ სწვდება მინას მუდამ მისი ელვარე შუქი!..
ანუ ხელს უშლის შემოდგომა, ზამთარი, ღამე!

24

როცა ღამეა, როცა მთვარე მინას ანაზებს,
რას ფიქრობს, ნეტავ, დონ ჟუანი დონა ანაზე,
ანაზდად, დალილს, სხვა ქალი ხომ არ ეზმანება?

25

ნიგნი, რომელიც თაროზე დევს ნაუკითხავი,
ქალია თითქოს, სილამაზე რომ დაუნუნეს,
ის კი ამოდ ელოდება კოცნას და ალერსს.

26

ფრთებს როცა იგრძნობ, უნდა მიხვდე —
აფრენის დროა,
და დედამინას, აქამდე რომ შენი გეგონა,
უთხრა: „მშვიდობით!“ ვიდრე თვითონ გეტყოდეს ასე.

27

თქვენ, ვინც გარეკეთ ილორიდან ღვთისმსახურები,
წაშალეთ ირგვლივ ქართველების ნაფეხურები,
არ გეშინიათ, რომ ერთხელაც განგება წაგშლით?

28

პირობითია ერთგულების ფიცის დადება,
ლაღატის გამო საყვედურის გამოცხადება,
უპირობო კი წარწერაა საფლავის ქვაზე.

29

როცა ავყია ლაპარაკობს ქვეყნის სახელით
და ტრიბუნაზე მიკროფონი სირცხვილით დნება,
აღარც კი ვიცი, რას ვუზამდი, რომ მომცენ ნება!

30

მიზანმა (სანამ მივალწვედი) დაკარგა აზრი,
ხესავით ქარში დავიღუნე, წვიმაში დავზრი,
ჩრდილიც არ შემრჩა...
მითვალთვალეს ნაჯახი ბასრი.

31

რაც თავი მახსოვს, სახელმწიფოს ყველა უწყება
გულგატეხილი ხალხის თვალში მოჩანს უძღვებად,
რომელსაც ყოჩი უფსკრულისკენ წინ მიუძღვება.

32

ამ ქვეყანაზე ზოგი ცდილობს კვალის დაფარვას,
ზოგსაც პირიქით, დატოვება სწყურია კვალის,
უმრავლესობა კი მორჩილად მიჰყვება სხვის კვალს.

33

ადამიანის პირველი და ბოლო ნაბიჯი
უფლის ხელშია... ვერც დაქალი და ვერც ძმაბიჭი
ვერ შეაჩერებს მას იმ გზაზე, რომლითაც მიდის.

34

დღეს ჩამოვწერე მოსაგები ბრძოლების სია,
მაგრამ სარდლებში გავიჭედე... იქნებ თქვენ იცით,
კაცი, რომელიც მოიგებდა ერთ ბრძოლას მაინც?

35

ობლები ჰქვია უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს,
და სანამ ყველას სათითაოდ არ დავაპურებთ,
არ მოგვასვენებს უსასოო ღნავილი მათი!

36

უნდა ავფრინდეთ,
მოვიჭირეთ ყველამ ღვედები,
ზოგმა სტანსები გადაშალა, ზოგმა „ვედები“.
მე დაშვებაზე ვფიქრობ... ღობე-ყორეს ვედები?

37

ახლა შევნიშნე, რაც აქედან თვალს მიეფარე,
რასაც ვკითხულობ, რასაც ვწერ და რასაც ვუყურებ,
მხოლოდ შენზეა, ყველაფერი შენზეა მხოლოდ!

38

ნითელი მხოლოდ სახურავი მიყვარს... კრამიტი
თებერვლის ბოლოს თოვლის საბანს რომ გადაიხდის,
ო, რა საოცრად ერწყმის რიჟარაჟს მისი სინითლე!

39

მთელი ცხოვრება სხვაგანა ვარ, სხვა ვარ თვითონაც
სხვებისთვის, მაგრამ ზოგჯერ ისე ვუგებთ ერთმანეთს,
რომ მკრეხელობად მეჩვენება, რაც მოგახსენეთ.

40

მე ვესწრებოდი სოლომონის ჩამოსვენებას
სიონში... რეკდნენ მთელი ღამე, რეკდნენ ზარები,
სულში იარა მრთელდებოდა, გულში ბზარები.

41

„პალტარატონკა“, „ვილისი“ და „სტუდაბეკერი“...
ტყის განაპირას თოფიანი მიდის ეგერი...
მივაქანავებ ტილოს ჩანთას, დედის შეკერილს.

42

გზაშესაყარი ერთხელ ხდება გზაგასაყარი,
ჭირის სუფრაზე თამადა ძველი მაყარი...
ტყაშმაფა ჭინკებს და ოჩოკონს უხდის მაღარჩის.

43 ისე არ მოგვკვდეთ, რომ სამშობლო არ მოვიარო და იარები მისი რომ არ მოვიარო, ცოტაა, როცა საკუთარი იარით კვდები!

44 სამყარო ზოგჯერ ფასიანი ტულაღეტი, რაც მეტისმეტის მეტისმეტზე მეტისმეტია, თქმა არ მინდოდა, მაგრამ გულში არ დამეტია.

45 თუ კვდება წყალში საკუთარი სიკვდილით თევზი? და თუნდაც მცირე, თუნდაც მცირე სინანულს მაინც თუ გრძნობენ, ნეტავ, სიკვდილის წინ მებადურები?

46 მკვდარი ბუნება — ნატურმორტი — მიღვიძებს ტკივილს. ვერც ოქროს ჩარჩო, ვერც ავტორის ელვარე გვარო, ვერც ფერთა გამა მას მალამოდ ვერ დაედება.

47 მე ვიცი, ახლა ანგელოზი დაფრინავს ცაში, მაგრამ არც მისი ჩრდილი ჩანს და არც ფრთათა მისთა შრიალი ისმის... მე მაინც მწამს — დაფრინავს იგი!

48 როცა კითხულობ გარდაცვლილის წერილებს, თითქოს ხარ სპირიტუალის სენასზე და მიღმეთის მხარეს გასული სული ცოცხალივით გესაუბრება.

49 მზე კი ამოდის, მაგრამ რაღაც არ უხარია ამოსვლა... ისე ფერნაკლულად მიიწევს მალლა, თითქოს ჩართული დარჩა უთო, ღია — ონკანი!

50 მე ვარ აკლდამა ან გარდაცვლილ აზრთა, ვნებათა, ქარიშხლებს გაჰყვას, რაც კი მქონდა, რაც კი მეზადა და ზოგჯერ ვარდს თუ დამადებენ ცემენტის მკერდზე!

51 გაბრაზებულმა მოვისროლე ლექსები ცეცხლში და ცოტა ხანში გავიგონე, როგორ ტიროდა კვამლადქცეული არც თუ ცუდი სარითმო წყვილი!

52 მე შევეზარდე ზღვასაც, მთასაც და მუდამ ვცდილობ, ჩავსწვდე მათ განცდებს, ვინც პირველად იხილა ზღვა და ცადაქნილ მწვერვალს ვინც პირველად შეავლო თვალი!

53 კარგა ხანია, აღარაა განსჯის საგანი, გორდამ რა გზებით დააკოს იატაკიანი, რადგან ჩვენს ყოველ სიტყვას ახშობს „გრადის“ გრაგანი.

54 ტყისმჭრელი, კარგად გაიაზრე, სანამ ნაჯახი ჰაერშია და ჯერ სამსხვერპლოს არ მოხედრია, გიღირს ის სიტბო ცრემლად, ახლა რომ დაიღვრება?

55 ცხოვრება თითქოს დაუბრუნდა თავის კალაპოტს, მაგრამ ნავები, წყალდიდობამ რომ გაიტაცა, სანაოს უკვე არასოდეს დაუბრუნდება.

56 რამდენი კარგი განზრახვა და კარგი წადილი, რამდენი ნატვრა წევს ოცნების სასაფლაოზე, რომელსაც უკვე ვერ მივაგნებ, რომც მოვიწოდო.

57 დასაძინებლად ათავსებარ აბი არსებობს, დალევე და ზვინვას ამოუშვებ, მაგრამ თუ იცის ვინმემ ის აბი, რომ დალევე და გაგელვიძება?

58 ნაცრისფერ ღრუბლებს აფერადებს ვილაც ზემოდან, და, აი, ნახავთ: გადაიღებს შხაპუნა წვიმა და ცისარტყელაც სულ ორ წამში დაიხატება.

59 ზამთრის გოთიკა აქ იგრძნობა ხელშესახებად; აგერ, ამ სახლში ანდერსენი „თოვლის დედოფალს“ ხატავს, იმ სახლშიც ზღაპრებს თხზავენ ძმები გრიმები.

60 მოგონებათა ამოქოლილ კატაკომბებში გამომწყვდეულა უთვალავი ძვირფასი ტყვე და ყოველ სისხამზე მე მალვიძებს მათი ყვირილი.

61 „ნუ გეშინია!“ ვეუბნებით ერთმანეთს, როცა თვითონაც ძლიერ გეშინია, რადგან უბრალოდ ამ მომენტისთვის სხვა სიტყვები არ არსებობენ!

62 ქვეყნის დაცვისთვის ოფიცრები ხელფასს იღებენ. მაშ, ჯარისკაცებს რატომ უწევთ უგასამრჯელოდ იმავე ქვეყნის დასაცავად სისხლის გაღება?

63 მე ბევრჯერ ვცადე საკუთარი ბედის აღწერა, მაგრამ შევეშვი, რადგან მიგზვდი: ეს მხოლოდ სხვას და მხოლოდ შენს შემდეგ შეუძლია... შენს შემდეგ მხოლოდ.

64 კედელი მუდამ ზღვარია და იღუმალეა, ნეტავ, მის მიღმა რა ხდება და რა იმალება?.. რამდენი ვინმე შენირვია ამ კითხვის ახსნას!

65 ჩემი ხნის წიგნი იყიდება ბუკინისტებთან, ჩემი ხნის სურათს მუზეუმში ჰკიდებენ კრძალვით... რა ჩქარა მოხდა, ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი!

66 მოვავლე ზღუდე-გალავანი სულის იალაღს, შევალე შიგნით სამერმისო ტკივილთა ფარა და შიგ ჩემივე ორეული დავნიშნე მწყემსად.

67 არც მწვადი შეწვა, არც შამფური და საერთოდაც მშვირად დატოვა წვეულები, სამაგიეროდ გადასარევედ უერთგულა წინაპრის ნათქვამს.

68 გზა ერთია და დასასრული აქვს უთვალავი, ვისთვის მთავრდება, ვისთვის წყდება, ვისთვის იწყება, ვისთვის საერთოდ ბურუსებში ნთქავს დავიწყება.

69 შინიდან გასვლა მუდამ ჩვენი ნებაა, ხოლო შინ დაბრუნება — მამაუფლის... დიდი ხანია, მე ეს საკუთარ თავზე ზუსტად მაქვს გამოცდილი.

70 თავისუფლების ნებართვაზე ხელს აწერს ღმერთი, ამიტომ მისი ამკრძალავი ყველა საბუთი არის უღმერთო, უკანონო და უსამართლო.

71 სადაა ცაში თოვლსაცავი ან წყალსაცავი, სად სძინავთ ქარებს, მზეს სადა აქვს თავმესაფარი? ბავშვი ხარ, სანამ ამ კითხვებზე იპოვი პასუხს.

72 ყველა ვილაცას ელოდება. უფრო — რაღაცას. ამ მოლოდინში მიაშტერდი, კარგო, რაღა ცას, ზეცა მიწიდან იწყებაო, — პოეტმა ბრძანა.

73 დალუპვის მიზეზს ავადმყოფმა რომ ვერ მიაგნოს, ესკულაპები ლათინურად წერენ დიაგნოზს, თუმცა იმ მიზეზს ვერ აგნებენ ხშირად თვითონაც.

74 მე ძველებურად არაფერი არ მაბადია, მაგრამ არ ვჩივი, ყველა უფლის დანაბადია და საბოლოოდ ის გადაწყვეტს, ვის რა ებადოს.

75 ანტისამყაროც აქვე არის, ორ ნაბიჯზეა ანტისხეულიც, ანტიგმირიც და ნუეორიშის ანტრესოლებში აფრიალებს ანტიკვარიატს.

76 ჩემს ლექსიკონში „დასასრული“ მე მომწონს მაშინ, როდესაც იგი ეწყვილება ამნაირ სიტყვებს: „შიმშილი“, „შიში“, „ტანჯვა“, „ცრემლი“ და „მოლოდინი“.

77 სიტყვები, გულის გულაგიდან გამოქცეული და პოეზიად განსაცდელის გამო ქცეული, ითხოვენ შევლას, სანერ-კალამს, ქალღმრთის ნაგლეჯს.

78 თავს გვანონებენ ანგელოსთა მსგავსი დები ცით, გვიძვნიან ჩვენთვის ჯერაც უცხო, ჯერაც დევიციტ ღმილს თავს ზემოთ ახლადგახსნილ პარაშუტიდან.

79 ყვითელი პრესა აგინებდა წითელ კომისარს და პაციფისტებს უმარტავდა ცივი ომის არსს, და რედაქტორის ცხელი ხაზი ბოლავდა ცისფრად.

80 ვისთვის სახლია, ვისთვის მხოლოდ თავშესაფარი, ვისთვის — სასტიკი სინამდვილე, ვისთვის ზღაპარი და ყველას ერთად საქართველო ჰქვია სახელად.

81 დადგა ცალმხრივი სიყვარულის სასტიკი ჭაბი და ახლა ჩემი სამუდამო პაემანისთვის ადგილი მხოლოდ სასაფლაოს მცირე ბორცვია.

82 როცა პირველად პირველ მერხზე დამსვეს, მეგონა, ვარ მემანქანე და მივაფრენ ლიანდაგებზე ვაგონებებით უკან მწკრივად გამობმულ მერხებს.

83 გისოსებიდან ზოგჯერ უკეთ მოჩანს სამყარო, ვიდრე კრიალა ავტობანზე „მერსედეს-ბენცის“ ან „მაიბახის“ დაბურული ფანჯრიდან მოჩანს.

84 გადაირბინა ნამნამებზე ცრემლების წვიმამ, ჭეჭა-ქუხილმა შესძრა მკერდი და ხსოვნის ზეცა მოგონებათა ოქროსფერმა ელვამ გაბზარა.

85 მე ახლა ვფიქრობ: არასოდეს რომ არ მეცალა, რას ვაკეთებდი, რა ისეთი მრჩევა ამ ქვეყნად, რაც თუნდაც ერთი პურ-მარილის გაცდენად ღირდა?

86 ალბათ, ერთ-ერთი მტკიცეული და ტრაგიკული ჩვენს ცხოვრებაში არის ჟამი, როდესაც ფრაზას „მე შენ მიყვარხარ“, შეცვლის ფრაზა: „მე შენ მიყვარდი!“

87 როდესაც აღარ გეძახიან: „შემოდი სახლში!“ სარკმლებს კი უკვე მოვლებია ყინულის ნაყში, ეს ნიშნავს: დედა წავიდა და ზამთარი მოდის!

88 ჯერ გვერდით ჩუმად ჩაგივლიან, არ შეგამჩნევენ, როსმე კი, ბედმა თუ მოგზედა და გაგილიმა, გაყინულ მკერდზე რკინის გვირგვინს დაგახრახნიან.

89 შთამომავალი ზოგჯერ უკან არც იყურება, თითქოს იქ მუდამ სიბნელე და წყვიდაი იყო, არადა თავი მზის და მთვარის შვილი ჰგონია.

90 არყოფნის ვარამს ვერ გაიყოფს ჩვენთან ვერავინ, მარადიული ხელობაა ძაძის მკერავი და მეკუბოვე-მესაფლავეც, რაღა თქმა უნდა!

91 მე ბევრი რამის გახსენება არ მიხარია, ჩვენი ცხოვრება კორიდაა, ხსოვნა — ხარია, მე მუდამ ხარი მეცოდება, მის მხარეზე ვარ!

92 მესამუშება ზოგჯერ სიტყვა „დაგვირგვინება“, რადგანაც ამ დროს წარმოვიდგენ ცხედარს, რომელსაც გვირგვინით ამკობს ცრემლიანი ჭირისუფალი.

93 მე ერთხელ კიდევ გაუძელი უმძიმეს დარტყმას, ჩემს თვალწინ სული განუტევა სიკვდილის ბარტყმა და დედამისმა ჩემთვის ისევე ვერ მოიცალა.

94 გაზაფხულია, საშოშიეს ეძებს შოშია, ჩიტმაც კი იცის, რომ ძებნის და პოვნის შნოშია ცხოვრების არსი... წარმატება, შოშიავ ჩემო!

95 თითქოს ვილაცამ წუხელ ღიად დატოვა კარი, ავობს სირცხვილის დერეფანში ორპირი ქარი, თუმცა ორპირებს გაცივების არ ეშინიათ!

96 „ვამას“ ძახილით სხეულზე რომ პერანგს იხევენ და თან ყოველდღე ნაბიჯ-ნაბიჯ უკან იხევენ, მაინტერესებს, ვინ არიან, რა ჰქვია ამ ხალხს?

97 კარი ყოველთვის სიმბოლოა და მიანიშნებს, რომ მავანთათვის ცხრა საკეტი დაკეტილია, მაშინაც, როცა ღიაა და არავინ იცავს.

98 სადაც ყოფნა მსურს, სადაც ჩემი სული ტრიალებს, ზოგჯერ სუსხია, ზოგჯერ სულაც ცეცხლი იალებს, მაინც არ ვიცი უკეთესი მე სამყოფელი.

99 ადრე სხვა იყო ჩვენი მეფე, ახლა სხვა არი, იქ, სადაც იყო ოკუპანე, ახლა ზღვა არი, თუ იცით ვინმემ, მეც მითხარით, რა გვიხარია!

100 მეორე დღეა, ეს ღრუბელი არ იძვრის ცაზე, სხვები წამინამ იცვლებიან, ეს კი ჰკიდია. ნეტავ, აქ, ქვემოთ, რას უყურებს, რას ხედავს ასეთს?

ძილში კარზე ფრთხილი კაკუნისა და დედაჩემის ალერსიანი, ბედნიერებით სავსე ხმა ჩამესმა: „ცისია, შეილო, სწრაფად ადექი, რვა საათია უკვე და საცაა შენი საქმრო მოვა. ჩვენ კი უამრავი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი“. მინდა ვუპასუხო, ახლავე ავღგები-მეთქი, მაგრამ პირს ვერ ვაღებ. ბაგე ოდნავ გაპოხილი და განელებილი მაქვს, ტუჩებზე რაღაც ღიმილისმაგვარი შემყინვია. ღვედვივით მოქნილი ენა თითქოს უძრავ ბრტყელ ქვად ქცეულა. სიტყვა კი არა, ერთი უაზრო ბგერაც ვერ ამოვთქვი. რა მჭირს?! რატომ ვერ ვლაპარაკობ?! გაოგნებული და შეშინებული ვეკითხები საკუთარ თავს.

კარის სახელების ჩამონების ხმა გავიგონე. ვიფიქრე, ახლა ალბათ დედა შემოვა, მოხვევს ხელს, ჩამიკრავს გულში და მეტყვის, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ ამ დროს შორიდან ყრუდ მომესმა ჩემი ძმის მხიარული ძახილი: „დე, პერანგზე ღილი ამიწყდა, ჩქარა დააკერე რა, გთხოვ!“ დედამ ნახევრად გაღებულ კარი ჩუმად მიიხურა და სწრაფი ნაბიჯით გაცვალა იქაურობას. მე კი დავრჩი ჩემს საშინელ მდუმარებასთან მარტომდარტო.

თვალის გახელა და ნამოდგომა ვცადე, მაგრამ არაფერი გამოვიდა... არცერთი კუნთი აღარ ემორჩილებოდა ტვინის პანიკურ ბრძანებებს.

მარმარილოს ქანდაკებასავით გაშეშებული ვნებარ სანოლზე და შიშისაგან ღამისა შევიშალო. თავზარდაცემული ვგრძნობ, თანდათანობით როგორ იკავებს ჩემს ძარღვებში ცხელი, მჩქეფარე სისხლის ადგილს ცივი, ყინულოვანი სიცარიელე. თუმცა ყველაზე გასაოცარი მაინც ის არის, რომ სრულად მაქვს შენარჩუნებული შეხების შეგრძნების უნარი, რაც ოდნავ მამშვიდებს და შევებას მგვრის.

მართლა გაცივებული ვარ საკუთარი თავით... პირველი ძლიერი ელდის შემდეგ ისეთი გულგრილი გავხდი ამ გაუგონარი საშინელებისადმი, რომ თითქოს სხეულთან ერთად გრძობებიც გამიქვავდა და გამეყინა. ეს სრული უემოციობა ალბათ გამოწვეულია ტვინის ერთგვარი თავდაცვითი რეაქციით, რათა როგორმე სულიერი ნონასწორობა შევინარჩუნო და მთლად არ გავგიჟდე. ყველაფრისადმი შემგუებელმა გონებამ სულ სხვა სანუხარზე იწყო ფიქრი.

რაღა მაინცდამაინც დღეს დამატყდა თავს ეს ყოვლად დაუჯერებელი და საზარელი ამბავი! ვინ დამცინა ასე სასტიკად — ღმერთმა, ეშმაკმა თუ ბედისწერამ? არადა, როგორ მოუთმენლად ველოდი ამ დღეს, რომელმაც ბედნიერების ნაცვლად ვერ არნახული უბედურება მომიტანა. ადგომა თუ ვერ შევძელი, ქორნილი ჩაიშლეთა! ოჰ, ღმერთო, მხოლოდ ეს არა... ამას მირჩევნია მოვკვდე, რადგან სულერთია, დემნას გარეშე მაინც ვერ ვიცოცხლებ. რა ზარდამცემი იქნება დედა-მამისათვის, ასე გაქვავებული რომ მნახონ? ოჰ, როგორ დამწუხრდება ჩემი უსაყვარელი ძმა! არა, აღარაფერზე უნდა ვიფიქრო, თორემ ნამდვილად შევიშლები. ფიქრი ხომ სიკვდილზე უფრო საშინელია ზოგჯერ. მაგრამ მაინც ფუთფუთებენ საზოგადოებრივ მატლებივით გზაკვალარეული აზრების ნაწყვეტები.

ამ მტანჯველ ფიქრებში ვიყავი ჩაძირული, როცა კარი კვლავ გაიღო და ვიღაც შემოვიდა. „შენ ისე გძინავს?!“ — ოდნავ გაკვირვებული და უდარდელი ხმით მკითხა დედა. კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო პირველ კითხვაზე, ხმაში შემფოთება შეეპარა და მერე საერთოდ ჩაუწყვიდა, თითქოს ავი უგრძნო გულმა. ნაბიჯს უმატა, თითქმის სირბილით მოიჭრა ლოგინთან და ჩემკენ გადმოიხარა. მისი გახშირებული სუნთქვა და ორი ათრთოლებული თითის შეხება ვიგრძენი საძილე არტერიასზე.

რამდენიმე წამს მხოლოდ სულის შემადრწუნებელი სიჩუმე ხმაურობდა. უცებ გულისგამგმირავი კვილი გაისმა. ეს ჰგავდა პირველყოფილ ადამიანის კვილს, რომელსაც ცოცხლად გლეჯენ მხეცები. მხურვალე, აკანკალებული ტუჩებით დამინფო კოცნა. თან ცხელი ცრემლები მინამავს ფაიფურის თოჯინასავით გაყინულ სახეს, ამით თითქოს სურს, დაუბრუნოს ქვადაცვულ სხეულს უწინდელი სითბო და სირბილე. გაოგნებული ვუსმენ ხავილში გადასულ კვილს. ხმა სულ ჩაეხლიჩა, მაგრამ მაინც განაგრძობს სანყალობელ მოთქმას. რა მოსდის დედას, ვერ ვხვდები. მას ხომ

ყოველთვის ძალზე მშვიდი და წყნარი ხასიათი ჰქონდა, ახლა კი სიმშვიდის ნატამალიც აღარ შერჩენია. ისე გულსაკლავად დამტირის, თითქოს მკვდარი ვიყო.

უეცრად ისეთი ხმაურით შემოგლიჯა ვიღაცამ კარი, რომ ასე გეგონებოდათ, სადღაც, სულ ახლოს, მეხი გავარდა. მამისა და ჩემი ძმის შეშინებული ხმები მომესმა, რომლებმაც თითქმის ერთდროულად იკითხეს: „რა მოხდა?!“ დედამ ოდნავ ასწია თავი და უპასუხა რაღაც არაამქვეყნიური, უძირო მწუხარებით სავსე ხმით: „ცისია მოკვდა... ეს როგორ მოხდა, არ ვიცი... როცა შემოვედი, მკვდარი დამხვდა...“ მამა მოცულივით უხმოდ ჩაიკეცა. მესმის ბავშვივით საბრალოდ როგორ სლუკუნებს ჩემი ძმა.

ნუთუ მართლა მოკვდი?! დედა თუ ამბობს, რომ მკვდარი ვარ, მაშინ ასეც იქნება. ის ხომ ექიმია, თანაც ძალიან კარგი ექიმი. ჰო, მაგრამ როგორღა ვაზროვნებ, თუკი ნამდვილად მენვია სიკვდილი? ან იქნებ

და არც გულკეთილი, და სამყარო უბრალოდ სრულიად გულგრილია ადამიანური ვნებებისადმი!

მაისის წყნარი და თბილი დილაა. ფანჯრიდან შემოსული მზის მწველი სხივები სახეზე დამნათის, კაშკაშა შუქი დახუჭულ თვალებშიც აღნევს, რომელსაც პატარა-პატარა, საოცრად ღამაზ ნითელ-ყვითელ ბურთულეზად ვხედავ. ხმაური თანდათანობით მატულობს, მეზობლებმა ეტყობა, გაიგონეს დედაჩემის სულის გამყინავი კვილი და ჩემი პანია ოთახი სულ უფრო მეტად ემსგავსება აზუზუნებულ სკას.

ამ მოთქმა-ვაებაში კარგა დიდი დრო გავიდა. დედა-მამა დაიღალა, ხმა ჩაუწყდა, ოთახში მხოლოდ შესაბრალისი, ჩუმი კვნესა ისმის. ახლა იწყება ყველაზე უფრო საშინელი პროცესი — შეუგუებელთან შეგუება. პირველ ხანებში მართლაც გაუსადის ტკვილს იგრძნობენ, მაგრამ თანდათან შეეჩვევიან უჩემოდ ცხოვრებას. ნუთუ ყველაფერი მთავრდება და აღარაფრის

რო ოთახს ცლიან, რათა იქ რამდენიმე დღით დამასვენონ! ეს კი შეგუებისაა კენჭადგმული პირველი ნაბიჯია. აჰ, არა, მკვარავის ვსაყვედურობ, უბრალოდ მიკვირს. თუმცა ასე რომ არ იყოს, ადამიანი ვერ გააგრძელებდა სიცოცხლეს და კაცობრიობა დარდისაგან განადგურდებოდა.

უცებ ისე უსაშველოდ მომენატრა დემნა, რომ სული ღამის აყმუვლდა უსასობისაგან. ოჰ, როგორ მინდა შენი ნახვა, მაგრამ ეს შეუძლებელია, ჩვენს შორის ხომ ავბედითი მარადისობა დგას, რომლის გადალახვა მოკვდავ კაცთაგან არავის ძალუძს. ველარასოდეს შევძლებ, ჩაგხედო მაგ ღამაზე თვალებში, ველარც შენს ტკბილ ტუჩებს დავეწაფები. რა მომდის?! რატომ ვარ ასე ალგზნებული და სურვილით ატანული?! სიკვდილის მოახლოვება, ეტყობა, უკიდურესად ამძაფრებს გრძობებს. დემნას ალბათ უკვე შეატყობინეს ჩემი გარდაცვალების ამბავი. ვიცი, საშინლად დამწუხრდება, თუმცა გაივლის დრო და ახა-



გიორგი მგალობლიშვილი

უცნაური სიკვდილი

მართლა მივიცვალე და ახლა ამ ყველაფერს სული ფიქრობს და განიცდის? თუმცა როგორც ამბობენ, გარდაცვლილი ადამიანის სულს შეუძლია ჰაერში ლივლივი და ჩიტივით ლაღად ფრენა, მე კი მიყინული ვარ ამ წყეულ სანოლს. არც ჯოჯოხეთის შავბნელი ჯურღმულები მიხილავს და არც სამოთხის ენით აღუწერელი სილამაზე. არა, მე ვერ კიდევ ვცოცხლობ, რადგან აზროვნება შემიძლია. სხეული შესაძლოა მკვდარი მაქვს, მაგრამ ტვინი სასწაულებრივად გადაურჩა მის ყინულოვით ცივ ხელს.

ნეტავ როდის მერე ვარ ასე გაშეშებული?! ჰო, მომაგონდა... ამ დილით უთენია გამომავლიდა გადავსებულმა შარდის ბუშტმა. ჩვეულებისამებრ ავდეგი და წავედი საპირფარეოში. შემდეგ სამზარეულოში ერთი ჭიქა წყალი დავლიე და ჩემი ოთახში დავბრუნდი. კედელზე დაკიდებულ დიდ საათს ვაგხედე, ექვსს აკლდა ხუთი ნუთი. ლოგინზე ჩამოვჯექი, თვალი შევავლე ჩემს უღამაზესს სადედოფლო კაბას და გული სიხარულისაგან ჩიტივით ამიფრთხილდა. მახსოვს, გავიფიქრე, ან ვიღაც მოვხუჭავ თვალს-მეთქი, მაგრამ უცებ მთელი სხეული მომისაფხა და ძილა ისეთი ძალით დამრია ხელი, რომ ბალიშზე თავის დადება და დაძინება ერთი იყო. ჩემთვის საბედისწერო სწორედ ეს ორად-ორი საათი აღმოჩნდა. ნეტავი რა მოხდებოდა, რომ არ ჩამძინებოდა, იქნებ ავმორეობდი ამ უბედურებას, თუმცა ახლა ამას ველარასოდეს ვავიგებ. რაოდენ სასტიკი უნდა იყვნენ ციურნი ძალნი, რომელნიც ასე ანაზღუდულად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შლიან ადამიანის ცხოვრებისეულ გეგმებს და ამით ხარობენ! ან შესაძლოა, საერთოდ არ არსებობს ღმერთი — არც გულბოროტი

იმედი უნდა მქონდეს? ხომ ვაზროვნებ, განა ეს არაა საკმარისი? იქნებ შევძლო და ახლობლებს როგორმე მივანიშნო, რომ მკვდარი არ ვარ. ოჰ, ყოვლის შემძლე ღმერთო, გვედრები, მოახდინე სასწაული და თუნდაც რამდენიმე წამით ამამეტყველე ან ახლავე მომივლინე ნამდვილი სიკვდილი. თუმცა შენც, მგონი, ჩემსავით მიჯაჭვული ხარ ზეციურ სარეცელს და, ან არაფრის გაკეთება არ ძალგიძს, ანდა უბრალოდ არ გსურს...

„მამაკაცებს ვთხოვ, ცოტა ხნით გავიდნენ ოთახიდან, ცისიას უნდა ჩავაცვა“ — ცარიელი, უსულო ხმით თქვა დედა. მამა გულისდამწველი ოხვრით ნამოდგა და სხევებთან ერთად დატოვა ჩემი საძინებელი. ტანსაცმლის კარადის კარი გააღო, ლითონის საკიდების წკრიალი გაისმა. ნელა მიახლოვდებ, ნაცემი ძაღლივით ძლივს მოატრევეს დამძიმებულ ფეხებს, სადღაა დედაჩემის უწინდელი ღალი და მსუბუქი ნაბიჯები. საღამური პერანგი გამხადა, განაფული ხელი სწრაფად მოძრაობს ჩემს სხეულზე. პირველი გაგიჟების შემდეგ დედამ, ეტყობა, მოახერხა ემოციების მოთოკვა. მას არასოდეს უყვარდა საკუთარი გრძნობების სხეებისთვის ჩვენება. მე კარგად ვიცნობ დედას და ვგრძნობ, რად უჯდება ეს მოჩვენებითი სიმშვიდე. მისი ათრთოლებული თითები, ჩუმი მოფერება და ფარულად დაღვრილი ცრემლი ამხელს მის უსაზღვრო ტკივნულს.

დედამ დაასრულა ჩემი შემოსვა. მისაღები ოთახიდან ყრუდ მოისმის ავეჯის გადაადგილების ხმა. და მაინც, როგორ სწრაფად ეგუება ადამიანი თუნდაც უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვას? სულ რაღაც ორი-სამი საათის წინ შეიტყვევს, რომ ცოცხალი აღარ ვარ და უკვე სასტუმ-

ლი მისწრაფებები თითქმის სრულად შთანთქავს იმ აუტანელ ტანჯვას, რომელსაც ახლა განიცდის.

სულ რაღაც ორიოდ ნუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე უეცრად ამტყვარმა ჩოჩლომა დაარღვია. ჩემი საძინებლის კარზე წყნარი კაკუნი გაისმა. „მობრძანდით!“ — გასძახა მამიდაჩემმა ნამტირალევი ხმით. „დემნა!“ — დედის მიერ ნათქვამ ამ ერთ სიტყვაში მთელი მისი ტკივილი და სასონარკვეთა იგრძნობოდა. ის უკვე აქ არის, მწუხარე სიხარულით გავიფიქრე. ისე უხმაუროდ დგამს ნაბიჯებს, თითქოს ფხსაცმელზე ნაბდის ბახილები ამოუსხამს. რაც უფრო მიახლოვდება, მით მეტად მეღვევა სული მოუთმენლობისაგან. მინდა, გულში ჩამიკრას და გაათბოს ჩემი გათოშილი სხეული, მაგრამ იგი მხოლოდ შუბლზე შემამბორა და თბილი ცრემლის რამდენიმე წვეთით დამიცვარა სახე.

დემნას გამოსათხოვარმა კოცნამ ამ უბედურებიდან თავის დაღწევის ყოველგვარი იმედი საბოლოოდ გადაამინურა. უსასობის უკუნი ღამე ჩამოწვა ჩემს გაცრეცილ სულში. სიკვდილზე უფრო სულის შემადრწუნებელი რამ თუ იქნებოდა ამქვეყნად, მართლა არ მეგონა, მაგრამ თურმე ყოფილა... ნამდვილ გარდაცვალებაზე დიდი საშინელებაა, როდესაც ყველას მკვდარი გონიხარ. შესაბრალისად დაგტირინ და ცრემლის მდინარეში გაბანავებენ. ეს გაუსაძლისი ნამებაა, ამას ყველაფერი სჯობს.

ოთხმა მამაკაცმა მსუბუქად ასწია ჩემი ჩიტივით მჩატე სხეული. მისაღებ ოთახში გადამიყვანეს და „კუბო-საყინულეში“ ჩამასვენეს. თავი საშინლად ამტკივდა. ტვინის ყოველი უჯრედის გაყინვას ვგრძნობ ღამის. თვალებში რაღაც ფერად-ფერადი

წერტილები ამიციმციმდა. გონება თანდათან მეზინდებდა, ალბათ სულ მალე აღქმისა და აზროვნების უნარი აღარ მექნება...

გონს ნელ-ნელა მოვდივარ. საერთოდ აღარ ცივა, პირიქით — მგონი, თბილა კიდევ. ეტყობა, ამიტომ დამიბრუნდა ცნობიერება. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უფონოდ. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ დედაჩემის ყრუ კენკესა ისმის დროდადრო. უცებ კარის გაღებისა და ფეხის ხმა შემომესმა. „დე, ცისია უკვე გადაასვენეს კუბოში! გუშინ ისე დავილაღე, რომ ამ დილით ვეღარ შევძელი ადრე ადგომა. ბოლო პანაშვიდზე ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა, მათ უმრავლესობას, მგონი, არც-კი ვიცნობთ“ — ნაღვლიანად თქვა ჩემმა ძმამ. „ეჰ, შვილო, ადამიანებს ისე იზიდავთ სხვისი მწუხარების ხილვა, როგორც ბუზებს ნეხვის გროვა“ — უსიცოცხლო ხმით მიუგო დედამ. ცოტა ხნის შემდეგ ორივემ დატოვა სასტუმრო ოთახი.

აი, თურმე რას უნდა ვუმაღლოდე გრძნობაზე მოსვლას. მაგრამ ძველებურად გამჭრიახი და ვერცხლისწყალივით სწრაფი უკვე აღარაა ჩემი გონება. მგონი, ტვინიც შეაღწია სიკვდილის მსახურალმა ხელმა და თანდათანობით ანადგურებს მის ყოველ ნეირონს. აზრები მდორე მდინარე-სავით ზღაზვნით მიედინება, ზოგჯერ კი, წამიერად, ვითიშები კიდევ.

დღეს უნდა დამასაფლავონ, გავიფიქრე ყოველგვარი შიშისა და მღელვარების გარეშე. ან სიკვდილისა როგორ უნდა შემშინებოდა, როცა უკვე თითქმის მკვდარი ვიყავი. უბრალოდ საშინელი სიცარიელის განცდა გამიჩნდა. ხმელი ფიჩხივით სწრაფად იფერფლება ჩემი ხანმოკლე სიცოცხლე, მაგრამ ახლა მართლა სულერთია, მოკვდები თუ არა. მხნეობა საერთოდ აღარ შემრჩა. დემნას უკანასკნელმა კოცნამ მთლიანად დამიშრიტა სულიერი ძალები და სრული სასწრაფო კვეთილება მომგვარა. ნეტავ გონს მოუსვლელად მოვმკვდარიყავი, ავცდებოდი იმ ჯოჯოხეთურ ნაშენს, რომელიც დღეს მელის. თუმცა ამასაც ბედი უნდა თურმე. დამჭენარ, გაყვირებულ ფოთოლს ვგავარ, რომელიც ნებისმიერ წამს შეიძლება, მოწყდეს ხის კენწეროს.

ჩემი სხეული გონება სქელ, რძისფერ ნისლშია ჩაძირული. განცდები თითქოს ყინვაში გაფენილი სარეცხივითაა გახვევებული. გზაარეული ფიქრები ბარბაცებენ, მთვრალი კაცებივით ეხლვებიან ერთმანეთს და სადღაც წყვილიანი მოცულ უფსკრულში უკვალოდ ინთქებიან. ახლა მხოლოდ ნაცრისფერი მომქექება ოდესღაც მრავალფეროვან გრძნობათა პალიტრაში. ალბათ ამიტომ, რომ ასე მშვიდად და უდრტვინველად ვხვდები საკუთარ სიკვდილს.

ბნელ, აბურდულ ფიქრებში მოულოდნელად შემოიპარა იმ ბედნიერი წუთების მოგონება, როდესაც დემნას პირველად შევხვდი. მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი. სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი. სახლამდე კარგა დიდი გზა მქონდა გასავლელი. იანვრის ცივი, პირქუში შუადღე იყო. სუსხიანი ქარი ცეცხლის ენებივით მიწვავდა სახეს. ტყვიისფერ ცაზე გველემების კუდივით დაიკლაკნა ელვა. შავი, საავდრო ღრუბლები შეიჯარა და უეცრად ისეთი თავსხმა წვიმა დაიწყო, თითქოს ჩანჩქერი გადმოქუხდა. ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ უცაბედად ფეხი გადამიბრუნდა სველ ქვაფენილზე და კოჭი ვიღრძე. საშინელი ტკივილისაგან ჩავიკეცე და ვეღარ ვდგებოდი. ირგვლივ ძებოროციელი აღარ იყო, რომ შევლა მეთხოვა. მთლად გავილუმე. ბელურასავით მობუზულს სიცივისაგან მაკანკალავდა. მტკივან ფეხს ხელით ვიზღვდი და თავდახრილი გულსაკლავად ვტიროდი. „ნება მომეცით, დაგეხმაროთ!“ — მამაკაცის ხავერდით რბილი ხმით ნათქვამი სიტყვები ძლიერ გავარჩიე ქარის ზუზუნსა და წვიმის დაუცხრომელ შხაპაშხუშში. თავი ავნიე და დავინახე ჩემს წამოსაყენებლად ხელგამოწვდილი ვაჟი, რომელსაც მომხიბლავი ღიმილი დასთამაშებდა და ტუჩებზე, ნაზად მიმზერდა ღრმად ჩამჯდარი, უმთვარო ღამესავით შავი თვალებით და სულს უცნაურად მიფორიაქებდა. სამი-ოთხი დღის გაუპარსავ სახეზე დაბალი წვერი ხავსივით მოსდებოდა, თუმცა მაინც შევძელი მისი დახვეწილი ნაკვთების გარჩევა. მაღალ, მოსხლეტილ ტანზე საუცხოოდ შეკერილი პალტო ეცვა. ვაჟმა ფეხზე ფოთხილად წამომაყენა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ვერ შევძლებდი სი-

არულს, ხელში ამიყვანა. წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელი მოვხვიე კისერზე. უცხო მამაკაცთან ასე ახლოს არასოდეს ვყოფილვარ. თავს უხერხულად ვგრძნობდი და თან რაღაც აუხსნელი ბედნიერების განცდა მეღვრებოდა სულში. თავადაც არ ვიცოდი, რა მიხაროდა. გაუსაძლისი სიცივის მიუხედავად ლოყები წამომიხურდა და ალბათ ოდნავ ამივარდისფერდა კიდევ. ჩემზე შუმი ღვინოსავით დამათრობლად მოქმედებდა, როდესაც თვალს შევასწრებდი მის მზრუნველობით სავსე მზერას. მკერდში უფრო და უფრო მაგრად მიკრავდა. წვიმის გამჭვირვალე ფარდაში რამდენიმე ათეული მეტრი ხელით მატარა, სანამ თავის ავტომანქანამდე მივიდოდა. გული მღელვარებისაგან დაფაფავით მიცემდა. ის კი ისეთი მშვიდი იყო და ისე თავისუფლად ეჭირა თავი, თითქოს ლამაზი, სიცოცხლით სავსე გოგონას ნაცვლად ჩვილი ბავშვი ჰყავდა ატატიებული. ვერცხლისფერ „მერსედესში“ ჩამაჯინა და...

კვლავ გავითიშე... მგონი, რაღაც ძალზე სასიამოვნო მაგონებოდა, მაგრამ ისე მოულოდნელად დავკარგე გრძნობა, რომ აზრი შუაზე გამიწყდა, ახლა ვერაფრით ვიხსენებ, რას ვფიქრობდი. გარდაუვალ სიკვდილს თვალეში გამჭერებული ვუცქერი და სულ უფრო ახლოს ვგრძნობ მის შემზარავ სუნთქვას. ამქვეყნად ყოფნის ჩემთვის განკუთვნილი დრო წამის უსწრაფესად მცირდება.

„შენ ხარ უკვდავი, კაცთა შემოქმედო, ჩვენ კი მინიერნი, თიხისაგან შექმნილნი, მინადვე ვიქცევით, როგორც ერთხელ ბრძანე დამბადებლო...“ — აი, უკვე მღვდელიც მოსულა, რომლის გუბებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩამესმის ყურში. მერე დედას მიუბრუნდა და რჩევა-დარიგებების მიცემა დაუწყო, თუ როგორ ეზრუნა ჩემი „ცოდვილი“ სულისთვის. რაგინდ ურწმუნო უნდა იყოს ადამიანი, ახლობლის სიკვდილი მაინც აიძულებს მუხბი მოიყაროს უხილავი უფლის წინაშე. არ არსებობს კაცი, რომელსაც არ ჰყავდეს „თავისი ღმერთი“, ათეისტსაც კი, და რომელზედაც არ ლოცულობდეს გაჭირვების ჟამს. ადამიანს უბრალოდ არ შეუძლია ღვთის გარეშე არსებობა, რადგან იგი არის რწმენა და სწორედ ეს ანიჭებს მოკვდავთ შევებას.

ტკილი გალობა ექოდ ედება დაცარიელებული ოთახის კედლებს. ვილაცამ ჩუმად გაიცინა, ამდენი მოთქმა-გოდების შემდეგ სასიამოვნო იყო მხიარული სიცილის გაგონება. ზოგი სიცოცხლით ხარობს, ზოგი კი ტანჯვით ეთხოვება ამ ცრუ, ორპირ სანუთროს. სიკვდილი ხომ ადამიანის პირადი ტრაგედიაა მხოლოდ და არა ზოგად-ად მთელი კაცობრიობის!

ყურთამდე გაღებული კარიდან გაზაფხულის თბილი ნიავი უბერავს, რომელიც ოდნავ ათრთოლებს ჩემს სხეულზე გადაფარებულ სუდარას. ხალხის ერთი ჯგუფი მეორეს ენაცვლება, კუბოს მდუმარედ უვლიან გარს, თითო-ოროლა თუ ჩაბუტბუტებს მწუხარების გამომხატველ სიტყვებს. ირგვლივ ახლა ალბათ მკვდარი ყვავილები ლივლივებს, რომლებსაც ცოტა ხანში ისე სწრაფად გაიტანენ სახლიდან, თითქოს კეთროვნის სამოსი იყოს.

სიკვდილი ერთგვარი ჯამია ადამიანის განვლილი ცხოვრებისა. მე კი ისე ადრე მივდივარ ამქვეყნიდან, რომ ცხოვრების ხეირიანად დანყებაც ვერ მოვასწარი. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ოცდასამი წლისა მოკვდები თუ ასოცდასამის? სიკვდილის წინ მაინც უკმარობის განცდა დაგეუფლება! მთელმა ჩემმა ყოფნამ ამ მუხანათ წუთისოფელში აჩქარებული კინოკადრებივით ჩამიარა თვალწინ. ყოველგვარი ლოგიკური თანმიმდევრობის გარეშე ველური ცხენებივით დაჰქრიან მოგონებები.

ზოგჯერ მგონია, რომ მე კი არა, საკუთარ მომავალ სიკვდილს დასტირიან აქ შეკრებილი ადამიანები. ნეტავ რად უნდა ამდენი ლოლიავი მკვდარს?! გამახვიონ სუდარაში და სადმე დამფლან, ასი წლის შემდეგ, სულერთია, მაინც აღარავის ემახსოვრება ჩემი სახელი.

კუბო ოდნავ შეტორტმანდა და, თითქოს ფრთები გამოსხბო, ჰაერში აიჭრა. ისევ გაისმა გულისწამლები კივილი. ყურებში კრახანასავით გაბმული ზუზუნი და დოლივით ბრაგაბრუგი დამიწყო რაღაცამ. მესმის ტაატით მომავალი ხალხის ფეხის ხმა. შემასვენეს „კატაფალკაში“, შემოყარეს ყვავილები და „სიკვდილის მანქანა“ ნელი სვლით დაიძრა...

ანაზღეულად მინისქვეშა სამყაროში აღმოვჩნდი. აქ როგორ მოვხვდი, გაოგნებული ვფიქრობ და თან ვათვალისწინებ საოცარი სილამაზის მღვიმეს. საკარცხულისმავარ ქვის სკამზე ვზივარ, რომელიც შემალღებულ ადგილზე დგას, საიდანაც უზარმაზარი დარბაზი ხელისგულივით ჩანს. ლოლუებივით ჩამოშვებულ სტაქტიტივებზე ნაირფერად ციაგებს ჩირაღდნებისა და სანთლების მოციმციმე შუქი. აუარება ხალხი უზის სასმელ-საჭმლით დაზურგულ სუფრას. მათი სახეები ისე ანათებდა, თითქოს მზის სხივებით იყო ნაქსოვი. ნახევრადმიშველი გოგონები ღეთაბრივი ხმით მღერიან და რაღაც საინტუალო ცეკვას ასრულებენ. შავი სადედოფლო კაბა მაცვია. გვერდით მიზის თეთრ ფრაკში გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც ხან უწვევრულ ჭაბუკს ჰგავს, ხან კი მიხრწნილ ბებერს. ის თითქოს ყმანვილკაცის გამჭვირვალე ნიღბით ფარავს საკუთარ ჭეშმარიტ სახეს. უსასრულო სიცარიელითაა სავსე მისი მუქი ლურჯი თვალები. ცალი წარბი ზემოთ აზიდა და სუფრასთან მსხდომი რამდენიმე ათასი ადამიანი უკვალოდ გაქრა, მხოლოდ ჩვენ ორნი დავრჩით. თავისი მყრალი, დორბლმორეული ტუჩებით მაკოცა და გველივით შემეცურა კაბის ქვეშ ხელი...

დაზაფრულს გამომეღვიდა. ტვინი შიშისაგან თრთის და ცახცახებს. ძრწოლა საჩეჩელივით მიწნავს ნერვებს. სიკვდილის საზარელი კოცნა ავი ზმანება ყოფილი თურმე. მერედა რა მამინებს, ხომ ვიცი, რომ ვიდრე ადამიანი ცოცხლობს, მისთვის არ არსებობს სიკვდილი, როდესაც ის მართლა მოვა, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით ამქვეყნად და ვეღარაფერს ვიგრძნობთ. ამ აზრმა თანდათანობით დამამშვიდა და გულგრილობის ძველებური განცდა კვლავ დამიბრუნა. საცაა გუდაფშუტა სოკოსავით მტვრად ვიქცევი, მაგრამ ეს სრულებით არ მადარდებს, პირიქით — მიხდა, რომ ამ აუტანელ საშინელებას რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო. განგებამ ნეტავ სწრაფად დაუშვას ის ავებლითი მახვილი, რომელიც ჩემს თავზე აღმართა. ნულარ მაფართხალებს ნახევრად თავნაცლილი ქათამივით!

ავტომობილიდან დიდი გლოვა-ზარით გადმომიყვანეს. საცალფეხო ბილიკიც არაა სამარხებს შორის დატოვებული, რომ კაცმა დაუბრკოლებლად გაიაროს. სხეების საფლავებზე გადავლა უწევს, რათა მიმიტანონ საუკუნო განსასვენებლამდე. ხან ზემოთ ადის თავი და ფეხები ქვემოთ ჩადის, ხან — პირუკუ, თითქოს ნავში ვინეე, რომელსაც ზღვის ტალღები აღმა-დაღმა დააცურებს. ბოლოსდაბოლოს, ეს გულის შემალონებელი ოდისეა დასრულდა და საფლავის პირას დამდებს. მზის სხივები უკა-


ნასკნელად ელამუნება ჩემს დამზრალ სხეულს.

როგორ გამოვიყურები?! თმა ლამაზად მაქვს დავარცხნილი?! მართლა მკვდრისფერი ხომ არ მადევს?! ნეტავ ისე იტაცებს დემნას თვალს ჩემი სავსე მკერდი?! ამ ფრიად უცნაურმა კითხვებმა წამიერად გაიეთლვა გონებაში. დედამ გამშრალი ტუჩები შემახო შუბლზე და უხმოდ მეამბორა. უცებ საიდანღაც სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი გამიჩნდა. მსურს, ხალხისთვის სასურველი ვიყო და აღარ მიყურებდნენ სიბრაულუნარევი შიშით. სუდარა მთლიანად გადამაფარეს. „მინა უფლისა და ყოველივე აღვსება მისი, ყოველი სოფელი და მკვიდრნი მას ზედა“ — ეს სიტყვები მთრთოლვარე ხმით ჩაიჩურჩულა ჩემმა დედაშვილმა და მინით გარდამსახა ჯვარი. უცილობელი სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანი მაინც ებლაუჭება იმ უწვრილეს სასიცოცხლო ძაფს, რომელიც თავადაც კარგად იცის, რომ სულ მალე განწყდება. კუბო ნელა, აკვანივით რწვევ-რწვევით ეშვება სამარეში. პირუტყველი შიში ელექტროდენივით მივლის. საზარელი ხმაურით ეცემა ბელტები და ქვა-ლორლი კუბოს სახურავს. წამით ისიც კი გავიფიქრე, რომ რაღაც უპატიებელი დანაშაული ჩავიდინე და ახლა ამის გამო ქვით მქოლავენ-მეთქი.

ხმაური უეცრად მიწყდა და სრული მდუმარება ჩამოწვა, ჩამიჩურჩო და რასაიდან აღარ ისმის. სულისშემბუთველი სიბნელე და სიჩუმე თითქოს შენივთდა, ლოდივით მძიმე და მკვრივი გახდა, ისეთი ძალით დამანვა მკერდზე, რომ ლამისაა, გამსრი-სოს. საშინელმა ძრწოლამ შემეპყრო, სადღაც გაქრა ნერვიული, არაბუნებრივი სიმშვიდე და გულგრილობა. მეშინია მდუმარებისა და წყვილიადის, მეშინია საკუთარი უძრაობისა და უსუსურობის. გაქვავებული სხეული და მშფოთვარე ტვინი, ეს მკვეთრი სხვაობა კიდევ უფრო მაბნევს და მაგვიფებს. ვაცნობიერებ, რომ არაფრის შეცვლა არ შემიძლია, მაგრამ შიში, შიში და ამ გარემოს მიუღებლობა ჭკუიდან მშლის. იმდენად ძლიერია ეს გრძნობა, რომ უცბად მომეჩვენა, თითქოს ჩემი გაშეშებული სხეულიც კი ცახცახებს.

კუბო აივსო ბნელი სიკვდილით. მისი გულისამრევი, მყრალი სუნით მთელი ჩემი არსება გაიჟინთა. გაქცევა მინდა აქედან, მაგრამ განძრევა არ შემიძლია და თანაც ხის მართკუთხედ ყუთში ვარ გამომწყვდეული... უცებ ადამიანის გონებისათვის დაუჯერებელი და გამაოგნებელი რაღაც მოხდა: წყვილიადი სიბნელემ თვალისმომჭრელად გაანათა, სიჩუმე მდუმარებით გამაყრუებლად ახმაურდა. პირი ჩემდაუნებურად გავაღე და უკანასკნელად ამოვიუნთქე...





დოდო ქუმბურიძე

ციკლიდან:

ადიდებული წყლების გადაღმა

*** აგვისტოს მზეს ცა მინამდე დახრის, ატკობს ყურძენს, ატმებსა და გულაბებს, ნისლი ფრთხილად გაუყვება მალრიბს და წეროებს გადაუსწრებს გულადებს. კამკამაა დღეს რიონის არხი და ბატები არხებიდან ცურავენ, მალე მოვა შემოდგომაც თაღი, გადაუღებს მინდვრებს ბოლო სურათებს, სამხრეთისკენ გადაფრენილ ჩიტებს და ქარებით გადაშოლტილ ვენახებს... ჟამი მიჰქრის, ჩვენ გვიტოვებს სიტყვებს, გაუგებარ, შეუცნობელ ყველაფერს...

*** იქუხა მეხმა, ელვამ იელვა, მინა და ზეცა გახდნენ ტოლები, მზეს ჩაფრენილნი და ბედნიერნი, მკრთალი ზეფირის ზურგზე მწოლები. ცისარტყელები მოკაშკაშენი მიგვანიშნებენ მცურავ ბორანით, რომ აქ ამაოდ კი არ დაეშვერიოთ, — დავტოვებ კვალი მოსაგონარი...

*** დღე კი არა, მე ვილვეი აგვისტოს მზის ათინათით, გამქრალი გვირილები, აღარსად ჩანს მათი ლანდიც, ვარდებს ცეცხლი უკიდათ, დგანან მზეში დაზაფრულნი, უკვირს ლამაზ ორქიდიას, სად წავიდა გაზაფხული... მთელი წელი მოვეფხადე ამ დღისა და ამ თვისათვის, ვცდილობ, ჩუმად გავიყოლო სულის ძალად ზამთრისათვის...

*** წყნარ შუალამეში ვზივარ და ჯაზს ვუსმენ, ვფიქრობ მომავალზე და არა წარსულზე. ია ოთახისა მეტყვის: მოცლილი ხარ, ალვა იყავი და ახლა მოჭრილი ხარ. ვიცი და, ხომ ხედავ, ვიცი, არ ვტირი, ჭყონდიდიც მოჭრილია, ახლოა მარტვილი, მთიდან გადმომდგარი ბაგრატი მეოთხეა, ჩვენი სალოცავად მოსვლა შეუტყვია, უტყვია ბაგე და მტკივანი ეგ გული, ლექსის ევფონია მეფინება მეგრულის, სული აქვს შეძრული გაზაფხულს ამა წლის, მოვა და ბავშვობის ნაწნავებს დამაჭრის...

ჟამის დასასრული

ჩემი რკინის გალია, ჟანგიანი გალია — ზოგს ეგონა ოქროსი, ჟამი წარმავალია, გაცრიცა და გალია გასაღები ბოქლომში. როცა ვინმე ეცემა, ფერიც კი არ ეცვლება, ხარობს ვიღაც ვარამით, მაგრამ სიტყვა ეცდება — დამაყენოს ფეხზე და მანუგემოს სხვა რამით. ადრე ეშმას ხატავდა, ჩემს ნადავლს ქარს ატანდა, მატყვევებდა ნიჟარით, კიდევ კარგი, გათავდა, ბაბადან და ათადან გადმოსული ის ჟამი...

*** მეგობარ ელის

მარტო იყავი ადრეც, ახლაც არავინ გათბობს, ტყუილს უფლებას აძლევ — შენი ცხოვრება მართოს. მოენებება ჯალათს — გადაგადგებს და დაგთმობს, უფლებას აძლევ ლალატს, შენი ცხოვრება მართოს. მტკივნეულია ძალზე — კითხვა დაგისვან: რატომ?... როცა იმედი გავსებს, ჩიტების ფრენა გართობს, ვინ აკაკუნებს კარზე, ცა გადაიხსნა ფართოდ, ტყუილს ნუ დართავ ნებას — შენი ცხოვრება მართოს...

ისე შევეჩვიე ღამის ბინდებსა და გზას კუნაპეტს, როგორც სიკვდილს მომაკვდავის, ქურდს, ჩემს კარს რომ აყურადებს. ისე შევეჩვიე სიკვდილს, მის გზას ვხატავ, ვასურათებ, სისხლის ფასად ვტოვებ ყოფას და მიღმიერს გზას ვუნათებ...

ქარი მოვარდა და ფოთლები დამტვირთა, რტოები შეუბრუნა თუთის ხეს მორჩილს, ახლად დაწურულ ღვინის სუნი დატრიალდა, მნიფე ქლიავების, ატმის და კომპის. ჩინური ვარდებიც არბიეს და დააჭყნეს, ზამთრისპირს უთმობენ სარბიელს ჟინით, ამაოდ ფიქრობენ, რომ ყოფა აანყვეს, და წილად ირგუნეს სამოთხის წილი...

ღამის დილა

რიჟრაჟად იქცა ბინდი, ღამე დასრულდა ცისკრად, მშვიდად დაფრენენ ჭკები, გაჩნდა ყაყაჩო მინდვრის, ჩიტი იღვრებს ნისკარტს, წყლებით აივსნენ კვლები.

ფესვიდან მანვდის ნამალს ჩიტისთავა და თითა, იდუმალეზენ ბლები, გული იმ ნაღველს კრძალავს, დამასაჩუქრეს რითაც, ან გამიმნარეს წლები...

ცხოვრება კი არ მიდის, დგას და მიღიმის ტკბილად, გაუჩინარდნენ მტრები, რიჟრაჟად იქცა ბინდი, ღამე დასრულდა დილად და ნათლის ჩქერით ვთვრები...

შიში არ მქონდა ბედის სრულებით, ცა მშვენდებოდა არნივებითა, მაინც გამოჩნდნენ დღენი კრულები, ხან თოვლი მოდგა, ხან წვიმები და მივხვდი, — ერთ ქვაბში ვდულვართ ბუნების, ყველანი მთელის ნაწილები ვართ...

ნექტარია არსებობა ფუტკრის, ტატნობს ცისას ფერავს ბინდი მირქმის, როცა ქალის ბაგე არის უტყვი, მაშინ მისი გული ყვირის თითქმის. ჩემი წასვლა შენს დარჩენას უდრის, ვინ გვაჩუქებს სხვა სიცოცხლეს ნეტარს, ვინ იპოვის სამოსახლოს მუდმივს, ან სამოთხეს, ამქვეყნიურს, ნეტავ!..

სანმისს დაეძებენ არესის ჭალაში, ჩემი ეზო არესის ჭალის ნაწილია, ფრთას ნისლი, მშვენიერიც, არა შლის, იაზონის კაცებმა ქალაქი დალაშქრეს, კოლხებს და აფსირტეს დასცილნან.

ამ ტყეში მინოტავრი ცხოვრობს, ფოთლები მუხისა ფესვებს დასტირიან, რაც იყო, — არ არის, რაც არის, — მხოლოდ ლეგენდიდან ლეგენდამდე მანძილია...

კეთილი ფიქრი რადგან დროს ავებს, იმ დროს ვიხსენებ ახლაც, მითხრა: პატარძლის კაბა გამოსავსო, სხვა სილამაზე გახლავს... ქალი ქალია, ხანი გამობხდა, ჟამიც მკაცრია რახან, მინდა გავიგო, მაშინ რა მოხდა, იმ სიტყვებს ვნატრობ ახლაც...

გული არ მაქვს, დამეკარგა, აღარაფერს აღარ ითხოვს, ვითომ უკვე მკვდარი ვარ და სასწაული იყოს ვითომ, — მე რომ არ ვარ, შენ რომ არ ხარ და არავინ აღარ გვდარდობს, არც არავინ აღარ გვიცნობს, არც არავინ აღარ გენატრობს. სხვა დრო არის, სხვა ხალხია, მე კი ვმფობთავ, ვყვირი, ვითხოვ... მართლა მკვდარი კი არა ვარ, ცოცხალი ვარ, ოღონდ ვითომ...

მინა ლეიბია, ზეცა საბანია, ფიქრი მეოცნების დაუსაბამოა, ჭალაში მდინარე ჰგავს დაღლილ ადამიანს, მინდა არ დაღამდე, ისეთი საღამოა. მთვარე სიზმარია და მზე სიცხადეა, ყველაფერი კაცის სურვილის ტყვეა, ახლოა, ვინც არ მინდა, შორსაა, ვინც მნადია, ცხოვრება არ არის, და მაინც კია...

სათითაოდ ვიდრობ ფრთებს და დავალაგებ შენს წინ, თითქოს მწვანე ჯადოქრები, სული ისე მწვანის, ვერ ვპოულობ საშველს რასმე, დარდი ისე მწვანავს, რისგან გამათავისუფლებ, — პასუხს არც კი მეტყვი: ტკივილისგან, სირცხვილისგან, სიკეთეს თუ ბოროტს, ტყუილსა თუ მართალ სიტყვას, რას მიტოვებ ბოლოს. გამაშორებ ბრძოლის ველს თუ ომში მირჩევ შესვლას, ტკბილი საფერავის ნაცვლად შხამი ხომ არ შევსვა. ბედს დავნებდე თუ ამ მორევს გამოვცილდე ცურვით, ჩემს მტრებს ზურგი ვუჩვენო თუ ეს დამწვარი სული. ანგელოზი გამიღიმებს თუ ჯალათი ყალბი, ბედნიერი როგორ გავხდები! — მიპასუხე, რაბი...

კრწანისი

სიჩუმე გამეფებულა, ირგვლივ ჩქამიც კი არ ისმის, ლადოს ლექსიდან ელავენ ყაყაჩოები კრწანისის, წუხს ჩასვლას მზისას მიდამო, ქარს დაჰკარგვია ხალისი, ბილიკზე ლანდი გამოჩნდა სისხლიან მაჰმად ხანისი, ერთი პატარა ტირიფი ტირის და რატომ, არ იცის...

ენუხვარ, გულანშაროში მოღაშია აუგი — ნაცნობის თუ უცნობის მოხსენება ავად, ზოგს კარგისთვის სჯიან და ზოგს ბოროტი გაუდის, ვაგლახ, კაცის ცხოვრება შლის მილიონ გამას. გულო ჩემო, არ გასკდე, ისევ გაზაფხულდება, მხურვალე მზე დაიჭერს ცივი ზამთრის ადგილს, წელიწადის ოთხი დრო განზრახ მიტომ დუნდება — მეხუთე რომ მოვარდეს სიყვარულის ზათქით...

სამოთხის ბალი

ბალია გადაღობილი, სხვა სამოთხიდან ხმობილი, — მეჩურჩულება დობილი, გულტკბილად შემხედვარია, შეწუხებულა მხატვარი, — სხვა დროა, — ამბობს ფატმანი, გაცუდებულან ნატვრანი, მერანი სახედარია.

ბალი ვინრო და წყნარია, რომ დის, სამოთხის წყალია ჯოჯოხეთისკენ დუდუნით, ბაღში ვარდები ჰყვავიან,

ვარდზე რომ დაფრენს, ყვავია
და არა ტკბილი ბუღბუღი.

მიტევებას ვერ ვთხოვ უფალს,
არ დამინყო შენც განკითხვა,
გულს რამდენჯერ გადაუთქვამს,
რაც გონებას მოაქვს სიტყვად,
თვითნებობა-ზვაობაში
ბევრჯერ გრძნობაც გამომიტყდა,
ბედმა რკინის მათრახები
გამეტებით ოდეს მირტყა...

დღე ხან სწრაფად გარბის, ხანაც
ფეხს ითრევს და არ სურს წასვლა,
რამაც ჩუმად გამახარა,
ვეფერები იმ ერთ წამსაც,
უფალმა რომ დამახმარა
და მაქცია მტვერი არსად,
ახლა აქ ვარ, მტერს პასუხს ვცემ,
ჯერ არ ვფიქრობ წასვლას არსად...

მოთმინება ოქროდ დაფლა,
შეეთვისა მტაცებლის ჟინს,
თავი ყულფში გაუყარა,
ოქროს ყულფში, გაცვეთილში,
ფონი ძებნა წუთისოფლის
მდინარეში, დანრეტილში,
ახლაც აქ ვარ, ჩემო დაო,
მუდმივ ომის ამ წერტილში...

თავი ღამეში ჩამირგავს,
მზერით ნაპერწკლებს ვისვრიო,
გულმა შეწყვიტა ხმაური,
ალარ მიიღო სისხლიო,
უნდა ავკრიფო სხეული,
სული ვამშვიდო ფიცხიო,
რაც ვცოდე, ღმერთო, შემინდე,
თუცაღა არ ვარ ღირსიო...

წუთისოფელს დავუწოქე,
ბედი ვთხოვე დარდის წილად,
მგონი, ღმერთსაც შევეცოდე —
ციდან ცრემლით გადმოწვიმა...

ისე აცლის ფიქრებს ურვას,
თითქოს ლხინში მიელიან,
მარტოხელა კაცი თურმე
ბრბოში მყოფზე ძლიერია,
კეთილია, მართალია,
სიყვარულის მიერია...

ძალი ხის ჩრდილს დაუყვებებს,
ბნელში მესმის რყევა მესრის,
ქარს კარები დაუუკეტე,
გავატანე ნავაგს გესლი,
მწირს რომ გული გაუკეთდეს,
რა იქნება უკეთესი!..

აჯანყებულ მონას ვგავარ,
მაპატიო უნდა, ღმერთო,
მოჩვენებავ, ამ სახლიდან
ფეხი უნდა აგიკვეთო,
ყოველ ღამე დარდში ჩაკვლა,
სხვა რა უნდა გაგიკეთო!..

სიყვარულმა მიკარნახა
ასი თერგით მთვრალი ლექსი,
მზის გულივით მხურვალე და
მზის სხივივით უსწრაფესი,
მოგართვი და შემეშინდა,
უფსკრულებით გაიქვიცი,
რამდენჯერაც წამოვდექი,
იმდენჯერვე წავიქვიცი...

მილიონი ეკალი თუ
მილიონი ევკალიპტი,
წარმავალის მაგალითი —
ელინური მეგალითი,

რაა ყოფა, აღარ ითქმის,
გული ტკივილს ველარ ითვლის...
ძველ საფლავში ქალის კვალი,
ჩემი ხნის და ალიკვალის,
მხრებზე ბარგი ავიკიდე,
შესანიშნავ დავიკალი,
გალავანში ჩავხედე,
ჯერ არაა ღია კარი...

დნობა ინყეს მწვერვლებმა,
ტბის ნაპირი ლელში ყვინთავს,
ბელურა მზეს ემალება, —
ზამთრის ამბის გამომკითხავს.
გაიარა ცაზე ნისლმა,
მორჩა ჰორიზონტის თითხვნას,
ჩემმა გულმაც უპასუხა
ქარის დასმულ ყველა კითხვას...

რაც დასრულდა, გადავიწყებ,
ზოგან შლი და ზოგან ინყებ,
რომ შეიძლო თავის ჯობნა,
დათმობაზე წასვლა გინევს,
სიყვარულის დიდი გრძნობა
ციურ სძლობას მოგანიჭებს.

ვუძლებ წამებს წამებისას,
ვაგვირისტებ აპოკრიფებს,
ედემამდე რა გზაა-თქო, —
პილიგრიმებს გამოვკითხე,
გალობა და სიტყვა ვრანდე,
ვაზს ყურძენი გამოვკრიფე,
ნაზად ნაქსოვ-ნაქარგები
უფლის სახლთან გამოვკიდე...

დევი პურს და წყალს გვიმალავს,
კვნესით უხმობს შვილი მამას,
ვერ გახადა საცნაური
ვერც დრომამ და ვერც ალამმა,
ჰგავს სამშობლო მარად იგავს,
ქართულ ზღაპრის პარადიგმას, —
ვითომ ვცოცხლობთ:
ვართ კიდევ და არც არა ვართ...

შარშან ამ დროს სენი მკლავდა
უცხო, ძნელად დასადგენი,
ანგელოზი დადგა კართან, —
დრო მოსულა შარშანდელი,
გული ამბობს: ასრულდება
ჟამად საქმე სანადელი,
გონება კი ისევ თუობს:
„არ აგვცდება, რაცა გველის“...

ჭირსა მრავალს შევრთე ერთიც,
დამზრალ გულს ვცხე სიტყვო მადლის,
ლუნჩ რომ არ გახდეს კენტი,
შიშს ვჭამ ციდან ჩამოვარდნის.
ჩემს ცხოვრებას, ვითომ მდორეს,
ზღვაზე შტორმს და დელგმას ვადრი,
გაიელვებს თვალწინ შორეთს
წუთისოფლის ყველა კადრი.
ზოგი უნდა ყოფილიყო,
არ ვლებულობ ზოგსაც კადრით,
ახლა ვიდაც რომ ქილიკობს —
ელის მასაც მინა ადლი...

ძნელი არის, წინაპართა
ცოდვა თუკი გაგედიდა,
ვაკის პარკში მზე გადმოდის
წყნეთიდან და ბაგებიდან,
სევდა მახრჩობს უცნაური
მორალით და ვაგებიტა,
ალარ მინდა საბურავი,
არცა წოლა საგებლითა...

— ვერ გავუძლებ! — ამბობს გული,
მომავლისკენ სავალს შიშობს,
ჭირს შებმულა ასს და ათასს
ბედთან ბრძოლის სავარჯიშოდ,
მტერი რომ არ გაახაროს,
ცრემლს თვალთაგან ამად იშრობს,
ზოგი კეთილ საქმეს წონის,
ზოგი ნათქვამს ანგარიშობს,

რაც ხარ, იმას ველარ შეცვლი,
„თავს ახლიდან ვერვინ იმობს“...

მახსოვს: ადგა მთვარე მოზდოკს,
გეორგიევსკს, გროზნი კალას,
მახსოვს, ცეცხლი ედებოდა
პოეტების გულს და კალამს,
დარიალი შენდებოდა,
ინგრეოდა ნარიყალა,
თმებს იშლიდა და ტიროდა
ქალი, ჩემდა ალიკვალად...

ბედისწერას ასე მოსწონს: წინ გვედგეს და იქარაგმოს,
დაგვაფრთხოს, ან ასალაგმი,
სადაც ჯერ არს, იქ ალაგმოს,
ან, ცეცხლი რომ გვეკიდება,
სადაც ვინვით, იქ არ აქროს,
ღმერთმა თუ არ დაიფარა, რა უნდა ქნას წიქარამო!..

ქარის ხმაში ტირილს გარევეს ჯადოქარი ღამე მარტის,
ფიქრი წყალში გადაყარო,
მოგინდება მწირს და მარტვილს,
შენს სიბერეს რომ გაგონებს —
მოკაკული ხეა ზღმარტლის,
ცხადლივ ხედვა მოგანდომებს
მამის სახლს და მდელს ხვართქლის.

სიცოცხლისას ვიტყვი თუსა,
სიკვდილის წინ ვქარგავ ტილოს,
დიდ სიყვარულს მივცემ სულსაც, —
ლექსს, სიმღერას, ანბანს, კილოს,
მუხას, მუმლით დამძიმებულს,
ტკივილით რომ დამწყვილოს,
ეს სოფელი ბნელი იყო,
იქნებ იქით გამებრწყინოს...

დღესა ერთსა, სალამოსჟამს,
ბაღში ვარდი გამოლილიყო,
მზე, ფერმკრთალი ჩადიოდა,
მთვარე ნისლში გაჩრილიყო,
ჩემი ბედის ვარსკვლავი კი
მიღმა ცისა გაჭრილიყო,
ვდარდობდი, რაც წარსულს დარჩა,
უფრო მეტად, რაც წინ იყო...

ანგელოზი დაფრენს
გუმბათს ზემოთ, ცადა,
ქალი ანთებს სანთელს, სამოსი აქვს სადა,
სადაფივით სევდა მიმქრალია სადაც,
ლოცვით სავსე გული უფლისათვის მზად აქვს,
ცხადად ვხედავ დედას, მიდის ციურ გზადა...

მარტო არ დამტოვო ამ შუალამეში,
ამ ჟამიანობისთვის გამზადებულ ქალაქში,
მარტო არ დამტოვო, გვედრები, იესო!..
ქარი რომ ელვას შლის და ათას რამეს შლის,
მუსიკა უკრავს ცრემლსა და ვარამში,
მარტო არ დამტოვო, გვედრები, იესო!..

ცარიელი ქუჩები, მოედნები, ბაზრები,
უდაბნოს დუმილი, ძნელად გასაძლები,
შიშსა და ნაღველს უჩინრად მიახებს,
ფილტივი იხურება და გული ცივდება,
მრავალჯერ დაფლეთილი მანც რომ მჭირდება,
მარტო არ დამტოვო ამ ბნელში, იესო!..

ღამის აჩრდილად სიკვდილი
იქცა და ქარი ქვითინებს
დახრილ ნეკერჩხლის რტოებში,
ელდა, გონებაშიხდილი
რომ ანუგეშოს რითიმე —
ვნება იფეთქებს პოეტში.

ო, მოგვიტევე ცოდვანი,
უგულო, ავი ზრახვანი,
სიკეთისგან რომ მოვეშვით,
ლოცვით, — იმედის მომტანით,
კენწეროები წამხმარი
ხეს გაუწედე რტოებში...





დოდო
ჭუმბურიძე

ბოროტები რომ ატროვდნენ
და ჩემი გული ამტვრიეს,
სულს შეუკეტეს ფითლი,
ფარად შენ მექმენ მარტოდენ,
შემინდე და მაპატიე,
თუკი დაგლაღე ქვეთინით.

ო, მომიტევე მე, ცოდვილს,
მინას ლილად რომ ვებნიე,
ყინვით დამზრალი ჩითილი,
რაც ვიურჩე და შეგცოდე,
ნებსითა თუ უნებლიედ,
ცრემლებითა თუ სიცილით...

ან ვერაფერი გავიგე,
გემო გაუფეგე სხვა ხეირს,
და ახლა იმ ჟამს მივტირი,
უფალო, ცოდვა მარდიე,
უთავბოლოს და არხეინს,
შემინდე შიში სიკვდილის...

სიზმარში ვარ, ღმერთო, დღემდე,
მცივა, ველარ ვინვდენ საბანს,
ველარ ვგუობ რკინის ღვედებს,
ცივ ლოდზე რომ გამომაბა.
დედამინის ლამაზ ხედებს
ჩაფრენია მამონა და
ანადგურებს ყველა შედევრს, —
უფლის სულს რომ გამოლანდავს.

თლის ბოროტი კაცი ლახერებს,
ყველა მართალს ავით ცილავეს,
ბენვის ხიდზე დამიძახებს
ხან ქარიბდა, ხანაც სცილა,
ცხელ ცრემლებში ვმალავ სახეს,
დაუსრულებლად რომ მცვივა,
მსურდა, ერთხელ დამენახე,
ან შენი ხმა მომესმინა!..

ხეტილოვ, ამ ქვეყანას
ერთი ნუთით თუ შერჩები,
ახლაც უცხო მხარეში ხარ,
მიუყვები გზას ცეცებით,
მტრედებსა დ გვრიტებს რჩებათ
შენი დარდის ნამცეცებით...

არც ძმები მყავს, არცა დები,
არცა ვინმე მყვარებელი,
ამალამდელ ღამეს ვკვდები,
მკლავს ეშმაკი მწვალალებელი,
ისე მტრები რას მიზამდნენ,
თუ არ ჰყავდეთ მბრძანებელი...

რაც ღირს, ანდა რაც არა ღირს, —
ყველაფრისგან ითხოვ ნაწილს,
შენი სუნთქვის იარაღი
ვერ იქნება ღობის ანწლი,
მხოლოდ ია იალაღის, —
გერგო განძი უფლის ღვანლის...

გულს, გვირაბში გამოკეტის,
ალარ ხედება ერთი სხივიც,
ვერა და ვერ გამოვკეთდი,
მკვდარს ჰგავს ტბისპირ ძენის წყვილიც,
ცაც ნეტავი რალას მყვედრის:
ცრის მოწყენას ვერცხლის ცხრილით...

თითქოს ბზა ვარ, მდინარისპირს
შერჩენილი ქარს და ყინვებს,
ჩემი დარდი ვინ არ იცის,
ვარსკვლავად რომ გაგაბრწყინე,
ფესვი მიდგას მდინარეში,
ცას კენწერო დავანყვილე...

ახმაურდა ნაძვზე გირჩი,
სხივს სხივი რომ მოენია,
მარტის იებს ყინვის ჩრდილში
რამე ხომ არ მოენიათ,
იქნებ ლექსით საფერებლად
პოეტებიც მოენვიათ,
ბულბულებიც უმღერებდნენ,
ყვავს და ყორანს რომ ეცლია...

ქარი ხეებს ეჩხუბება, ქარი ქუთაისური,
გზიდან უცებ მობრუნდება, გელათამდე მისული,
ნუხელ მთებში უნვიმია, წყალი ამხელს რიონის,
„ყოფა არის უფრო ძნელი და სიკვდილი იოლი“ —
ალსარებას ეუბნება ღამეს დაულაგებელს,
თუმც ცოდვებზე პასუხს მსაჯთან თვით ცოდვილნი
აგებენ.

მეც კი მეჩხუბება ზოგჯერ, შეგონებებს მაგებებს,
ფიანდაზებს ზეცა მაფენს, მინა მიშლის საგებელს.
ამ ძველ ქალაქს იმდენი აქვს ნანახი და განცდილი,
მანაც ხვალის იმედი აქვს, არც ილიმის, არც ტირის.
ლენხუმიდან ხვამლმა მიხმო, ბაგრატი-გელათს
მომდგარი,

ბევრიაო მოსახდენი, ცოტა რამე მომხდარი.
ჯერჯერობით სიჩუმეა, ბედს არ უნდა გვეჩვენოს,
ნეტავ კარგი რამე მოხდეს, ან მანაც გვეშველოს...

არაკი ესე — ეზოპედან არის ნასწავლი:
ვიცხოვრე ისე, ვერაფერი ვერ მოვასწარი!..
თუმცა ქალაქი და ქვეყანა ისევ ისაა,
მგონია, ჩემში ქალი როა, მათი ხნისაა,
წარმავალია ყოფა ისე, როგორც ისარი,
სიბრძნეს მასწავლის და სიმშვიდეს ძველი მისანი.

თივა ყანებიდან უკვე გამოცელეს,
დღეები იგონებენ ჩვენთვის გამოცანებს,
ბედნიერს, გვერიდება ცრემლების გამოჩენის,
ბუნების იდუმალ ხმებს ვისმენთ...
ვარსკვლავებს მწყემსავენ მწყემსები გაოცებით,
ტაძრები მოვილოცეთ, ვივსებით საოცრებით,
მიდენიან ქარები რაჭისკენ ნისლებს...
სად გინახავთ, ერთი ლერწამი შრიალებდეს,
სუფთა მდინარეში ქვიშა არ ბრწყყვილებდეს, —
ერთად ვიქნებით და ვიბრწყყინებთ ისე...

ჩრდილში ვზივარ სამასი წლის ცაცხვის,
აქ რამდენი ვინმე იყო რიტორი,
„მარცხნივ ნახვალ, — საშიშია მარცხნივ,
მარჯვნივ ნახვალ, — მშვიდ ცხოვრებას იპოვი“.
პირდაპირ გზას შენ იმედად რაცხდი,
გნამდა, საქმე ვერ გასძლებდა ლიტონი,
მარცხნივ წადი, — გული იყო მარცხნივ,
დარდის ცეცხლში გამომწვარი ლითონი...

ოქტომბრის ქარების ჩქეფს რევოლუცია,
ქუჩებს და მოედნებს სახელებს უცვლიან.
ახალი ტაძრისკენ უხმობენ მლოცველებს,
ძველ ბაღში ცოცხალი ვარდები მოცელეს... —
ვამბობ და ვუყურებ — სურვილებს უცრიან,
გადაყრილ ნივთებში განძი ვერ უცვნიათ,
უცვლიან სახელებს საგნებს და მოვლენებს,
ოქტომბრის ქარების ჩქეფს რევოლუცია...

ცაზე ცურავს ნისლი, თეთრი ქულა ბამბის,
ხმა უწყდება ნისქვილს, ნაძვზე ციყვი არბის,
ყურს არ უგდებს ღამე ნაკადულის ვიმ-ვისს,
მძივს ვიმშვენებ ქარვის და სამაჯურს გიშრის.
მორთავს დიადემა უცხო გარემოსს,
გაუზვიადებლად — სამოთხეა, ჩემო!..

ველარ ჭედავს ბრმა ჰეფესტო
მერმისს ჩვენთვის, ვჭმუნავთ მერმე,
ჩვენი მტრებიც მრავლდებიან,
გვაგებებენ მზერას ელმებს,
გადავურჩით მეშვიდე ჟამს,
რას გვიზადებს ჟამი მერვე?!.

საფეხური კიბების მიუყვება ცისკენ,
მეც მივიწვევ ნელა-ნელა უცხო დარბაზისკენ.
ქვეყნად ჩემი ყოფის არსი ვისაც უნდა, ახსნას,
მე იქ შევალ, თუ დარბაზის
კარი ვინმემ გახსნა...



მანანა დუმბაძე
ეროვნული
ლიტერატურული
კახეთი

ისევ კაპროვანი და ისევ ლედი მაკბეტი!

რომორც იქნა, დავალწიე თავი კორნავირუსის ის-
რავლურ პანდემიას, მერე ორკვირიან თბილისურ თვითი-
ზოლაცას და, აჰა, ჯანმრთელი და სალ-სალამათი ჩამ-
ოვედი სანატრელ კაპროვანაში. სახლის კარ-ფანჯარა
ლუიზამ ღია დამახვედრა. ნესტიანი ქვეშაგებელი აივან-
ზე გაგაშეურე, აყვავებულ-აბიზინებულ ეზოს მესაკუ-
თრის თვალი გადავავლე და ზღვას იქიდან მივესალმე.
ვხედავ, დაბლა, ბალახებში, ერთი რალაც ფუმფულა
ვერცხლისფერი გუნდა დაგორავს. კავკასიური და გერ-
მანული ნაგაზის ნაჯვარი უნდა იყოს — ჯანმრთელი,
ლონიერი ლეკვი ლომის ბოკვერით დიდი ტორებით.
კისერზე ყელსაბამი აბია. მეზობლის იქნება — ვფიქრობ.
საყვარლად კოტრიალოვს ახლადამოწვერილ თეთრი
მინდვრის ყვავილებში — ყნოსავს, აცემინებს, გაკვირვე-
ბული ხტება, ეს რა ხდებაო და გვერდულად იწყებს წრეზე
სირბილს. აივანიდან დაყურებ, როგორ ნებივრობს მზის
სხივებზე და მასთან ერთად მეც ვნეტარებ. ეზოში არავი-
ნაა — მარტო მე და ეს ვერცხლისფერი საოცრება, რომე-
ლთან ერთადაც კაპროვანული სამოთხის წლევეანდელი
პირველი ბედნიერი დილა გათენდა.
ბალიშები აივანზე გაეტიანე და იმ ბურთთან სათამა-
შოდ ეზოში ჩავიბრუნე.
— შენ ვინა ხარ? აბა, აქ მოდი. ვისი ხარ? რა გქვია?
მოდი, მოდი ჩემთან პატარა... — ხელში ამყავს და მის
ბუთქუნა, ფაფუკ თეთრ გულში ცხვირს ვრგავ. საოცრად
თბილია, ცხვირს მილოკავს, განზე ვწვე, თათებს ასა-
სავეებს და ნკმუის. გულში ვიხუტებ, მხარზე მადებს თავს
და ყურდებ. ზღურბლზე ვვადები ჩემი ვერცხლისფერი
მუთაქით და მზეს ერთად ვეფიცხებით.
უცებ ლეკვი აცმუკდა და მხრიდან კალთაში ჩამიხტა.
თვალს ვახელ. ჩემი ლურჯი ჰორტენზიის ქვეშ, ახლად-
აბიზინებულ ბალახზე, უშველებელი ქოფაკი განრთხმუ-
ლა, თავი ამაყად აუწევია და თვალეში მიყურებს. ეს ნა-
ზია, ჩემი მოუშუშებელი ტკივილის, ჩემი ფუფას სისხლის
მსმელი ნაზი.
ძალეები რომ მიყვარს, ამაში ეჭვი არასდროს შემ-
პარვია, მაგრამ, რას წარმოვიდგენდი, თუ სიძულვილის
გრძნობა, რომელიც ცხოვრებაში არ განმიცდია, სწორედ
ამ ცხოველის, კავკასიურ-გერმანული ნაგაზების ნაჯ-
ვარი, ვერცხლისფერი ქოფაკის მიმართ გამიჩნდებოდა.
ისაა კაპროვანის უზნის ცხოველთა სამყაროს სრულ-
ფლებიანი მმართველი, მართალია, უკვე ბებერი დიქტა-
ტორი, მაგრამ სადავეები ჯერ კიდევ მაგრა უჭირავს
კბილებით. მისადმი სიძულვილმა, სხვა რომ ვერაფერი
დავეუშავე, ყველაზე სისხლიანი და აგრესიული მოთხრო-
ბა — „კაპროვანის ზონის ლედი მაკბეტი“ დამანერინა.
ვისაც ჩემი ეს მოთხრობა ნაუკითხავს (თუ არა და, იმე-
დია, ახლა მაინც ნაიკითხავს), მიხედვით, რომ ნაზი, მისი
მთავარი პერსონაჟის, ლედი კაპროვანას, პროტოტიპია
— ვისაც უპირობოდ ემორჩილება მთელი უბანი.
ახლა იგი მშვიდად მიმზერს არა ცინიკურად და ჯიბ-
რით, როგორც არასასურველი სტუმარი, არამედ ისე,
როგორც ძველი მეზობელი. შემიხებულმა ლეკვი გულში
ჩავიხუტე და განზე გავწიე. ნაზი ნამოინია და ძალიან ახ-
ლოს, ჩემ წინ, დაჯდა, თან დაჟინებით მიყურებდა თვალე-
ში. ლეკვი აფართხალდა და ხელიდან გამისხლტა.
— ფუ, ნაზი, ფუ, — შეყვირე და თვალზე ხელი ავი-
ფარე. მერე ლეკვის მხიარული ნკმუტუნი მომესმა. რა ხდ-
ება-მეთქი, ვიფიქრე და თითებს შორის გავიხედე. ლეკვი
ნაზის კისერზე ახტებოდა, სახეს ულოკავდა და დაბერ-
ილ, ჩამოკიდებულ ძუძუებში უძვრებოდა.
— შენია? — ვკითხე ნაზის. მას თვალეში სინათლე
ედგა, ჩემთვის სრულიად გაუგებარ სინაზეს და კეთილ-
განწყობას ასხივებდა. თითქოს ნებართვას მთხოვდა. ჰორ-
ტენზიის ქვეშ განვა და თავის პირმშოს რძით სავსე ძუძუ-
ები მიუშვირა. ვერცხლისფერი გორგალი ხარბად ქაჩავ-
და დედის რძეს და მსხვილი თათებით ძუძუს აწვებოდა.

დახიუჭი
ნათია კაპანაძე

მამარეში



საქმე ისაა, რომ ნაზის მიმართ სიძულვილი მასზე მოთხოვრების დაწერის შემდეგაც არ გამწვანდება. თითქოს შური ვიძიე, მაგრამ ვერა... ნაზისადმი სიძულვილი ყველა შურისძიებაზე ძლიერი აღმოჩნდა. ამას გრძობდა ისიც და კაპროვანში ჩასვლის დროს, ყოველ საღამოს, დაუკითხავად შემოდის ჩემ ეზოში და მშვიდად, დემონსტრირებულად ნეებოდა ახლადდაბინებულ ბალახზე, ჩემი ჰორტენზიის ბუჩქის ქვეშ. ვერაფერი მოვუხერხე, მეშინია კიდეც მისი. ჯოხს როცა ვუქნევ, უტიფარი თვალებით მიყურებს და დაყვების ღირსადაც არ მთვლის. სანამ თავად არ მობეზრდება ჩემი ნერვების წყვეტა, ადგილიდან არ იძვრის, მერე თავისას რომ მოიყიჩებს, ზოზონით წამოდგება, ერთი კარგად გაიჭიმება და ტატიტი მიდის ჭიშკრამდე, რომელსაც მსუბუქი ნახტომით გადავვლებს ხოლმე.

არადა, ჩემ კარის მეზობელ მერაბთან ისეთი გულამაჩუყებელი რომანი აქვს გაბმული, სიმწრისგან კედლებზე გაყვავარ. საათობით უზის ხოლმე გვერდით, უმველებელ თავს მუხლებზე დაადებს, მერე ფეხებში გაუნეება, მუცელი მომფხანეო. თან ისეთი ნალვლიანი თვალებით შესცქერის, თითქოს ჩემ თვალწინ, სულ ცოტა სამჯერ მაინც, ბართლომეს სისხლიანი ღამე არ ქონდეს მოწყობილი ჩვენს ეზოსთან მისგან დაუკითხავად შემოკედლებული ძაღლებისათვის.

დიდხანს რომ აღარ გავაგრძელო, მიუღწეოდა ჩემი ნაზის და ცივი ომი მაქვს ნაზისთან, დაახლოებით ისეთი, როცა მტრის განადგურებაზე მეოცნებებს, სიძულვილის და მოთმინების მეტი, არაფრის ტრაკი არ გაქვს, რადგან მოწამვლა, პურში ნემსი, ყურში მარლი და სხვა რადიკალური მეთოდები შენი „სტილი“ არაა. ასე „საბრძოლველად“ დამუხტული ჩადვივარ კაპროვანში უკვე მეორე წელია და, აჰა, აქა ვარ და მზადა ვარ...

— ნაზი, შე ბებერო ურჩხულო, ეს რა სასწაული ჩაგიდენია...

ნაზი თვალს არ მაცილებს, არც — მე. — მაინც მძულხარ! ეს ანგელოზი ლეკვი ვერ გიშველის. ჩემი ფუფას დაგლეჯას არ გაპატიებ. მეზიზღები! ნაიყვანე ეგ შენი ნაშიერი და გაეთრიე ჩემი ეზოდან!

ნაზი ისევ თვალებში მიყურებდა. ლეკვი გაძღა და ახლა მე ჩამიხტა კალთაში, ბუთქუნა თათი ლოყაზე გამკრა და ცხვირი ამილოკა. ნაზი წამოჯდა. წინა თათები გაასწორა, თავი რამდენჯერმე გააქნია ისე, რომ ჩემთვის თვალი არ მოუშორებია.

— ვაფ... დიახ ჩემია, ჩემი ბოლო სიყვარულის ნაყოფი და ჩემი სიცოცხლე! — მომიგო ნაზიმ.

— ეგ მართლა სიცოცხლეა, შენ კი ისევ ის ბოროტი, სისხლიანი ლედი კაპროვანა ხარ. მეზიზღები! — მივახალე.

— ვაფ... სანამ ეს ჩემი რძით და სიყვარულით საზრდოობს, შენ ზიზღს არავითარი ძალა არ აქვს. სანამ ამის დედა ვარ, შენი ზიზღი უძლურია. ვიდრე ეს პატარა ჩემსავით კაპროვანის ძაღლების რისხვა და დიდი ლედი არ გახდება... — გაიზმორა ნაზი და იმ წამს ძველებურად სისხლით ავესო თვალები. აეჭრა მზერა, თავხედურად ანია გავა, გაიწვია, პატარა ვერცხლისფერ ბურთს თათი გამკრა და ტატიტი გასწია ჭიშკრისკენ. ლეკვი აედევნა.

გავყურებდი, როგორ მიუძღოდა ნაზი თავის ბოლო მონაპოვარს კაპროვანის შარავზე, ცა ქუდად არ მიაჩნდა, დედამინა — ქალამნად. ქუჩის ორივე მხარეს თავიანთი ციხესიმაგრეების დასაცავად დაგეშული ძაღლებს მის დანახვაზე გაფუჭებული მამალივით ხმა უწყებოდათ, ნაზი კი იმპერატორივით მიაპობდა ქუჩას ისე, რომ თავად ერთხელაც არ დაუყვავას. რამდენჯერმე შეჩერდა და თავის ბომბორას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, თითქოს ეუბნებოდა — ეს გზა მალე შენი გახდება, შენ იქნები ამ უზნის კანონი და ბატონ-პატრონი. გახსოვდეს, რომ შენ ყველაზე ღამაზი და დიდებული ხარ. არაფრის წინაშე უკან არ უნდა დაიხიო, წინ იყურე მხოლოდ და გვერდზე რაც მოხდება, ყველამ თავის თავს დააბრალოს, შენია ეს გზა და აქ უნდა გამოატარო შენი შთამომავალი. სხვა გზა არ არსებობს. შენა ხარ კაპროვანი, დანარჩენები ტურისტები არიან!

მას შემდეგ ყოველ დილას შემოირბენს ხოლმე ვერცხლისფერი ლეკვი, მელაქუცება. მერე მოდის ნაზი, ძუძუს ანოვებს, საერთოდ არ მიმჩნევს, დგება და მიჰყავს

ჩემი ბომბორა იმავე შარავზე, როგორც გენერალისიმუსს თავისი ნაშიერი ალღუმზე. მათ მისასაღებლად გზის ორივე მხრიდან ისევ ისმის ეზოებში დაბმულ ძაღლთა ხრინწიანი „ვაშააა“.

შუადღეს ზაზა ციციქოვილთან გადავედი ყავის დასალევად. ზაზა სუფრის თავში ზის და კალთაში ნაცრისფერზოლიანი, ჭრელთვალა კნუტი უზის. ზაზა გოლიათივით დიდია, კეთილი თვალები და გრძელი შავი ნვერი აქვს. კნუტი ხან მხარზე შეახტება, ხან თავზე და ხან მის ხმირ, შავ თმაში ცდილობს შეღწევას.

— ამისი დედა და ტყუპისცალი გუმინ ძაღლმა დაგლიჯა. ახლა ლამაზაქიდან ვასმევთ რძეს. საოცრად ალერსიანი და მხიარულია, — თქვა ზაზამ.

— უი, საწყალი... — შევიცხადე მე.

— ჩვენი საყვარელი ლეკვის დედამ, ნაზიკომ დაგლიჯა, — გულდანყვევით აზუსტებს ზაზას მეუღლე ირინა.

— ნაზიმ? მაგან ჩემი ფუფაც დაგლიჯა. ეს ძროხა აქ არავის აჭაჭანებს. აქაურ კატას რაღას ერჩოდა? იმან მაინც რა დაუშავა? ფუი, მეზიზღება! — არ გავჩერდი მე.

— რა ქნას, თავის ტერიტორიას იცავს, თავის ავტორიტეტს. მითუმეტეს, ახლა ლეკვი ჰყავს გზაზე დასაყენებელი. დინასტიას აძლიერებს. იმ კატამ მაგის პრინცესას სახე დაუკანარა, ნაზიმ კი იქვე დაუსრულა ამბავი, ის საცოდავი კნუტიც უნებლიედ შემოეგლიჯა. ვცდილობდი, მაგრამ ვერაფრით გამოვტაცე კბილებიდან. წამში მოახრჩო ორივე, — ჰყვება ზაზა.

— ჰოდა, ეს ლეკვიც, ახლა ასეთი „საკალელი“ რომაა, მალე ნაზიკომ გადაიქცევა და მეხივით დაეცემა კაპროვანის მთელ საძაღლეთს. ძალიან მწყდება გული, ძალიან, — ნაუვტირე მე.

— რას იზამ, უზნის დედოფლად ამზადებს, მაგას უნდა ჩააბაროს თავისი აშენებული იმპერია, — ეცილება ზაზას, — აქ ჯუნგლის კანონებია. მაგარია ნაზიკო, თან უნდა ნახო რა მზრუნველი და ნაზი დედაა.

— ვნახე უკვე, მე მაგას დიდი ხანია ვიცნობ, შენზე ბევრად დიდი ხანი... ჩემი „კაპროვანის ლედი მაკბეტი“ უნდა ნაკაპითხო. ნაზიზე. მალე ნახავ, ამ პატარა ვერცხლის ბურთს სისხლით როგორ აემღვრევა თვალები, როგორ დაუდგება ყალყზე კისრის ჯაგარი და სისხლის გუბებს დააყენებს შენს სამოთხესავით ეზოში... მეც იდგება, მართლა არ მემეტება საამისოდ.

ამასა ვბჭობთ, ამასობაში კი ვერცხლისფერი ბურთი უღარდელად დაგორავს ზაზას ეზოში. ჭიშკრის გარეთ მორჩილად დგას ნაზი და თვალს არ აშორებს მისი ცხვირების აზრს, სიცოცხლის გამგრძელებელს, რომელსაც მალე კაპროვანის ზონის ლედი მაკბეტის სადავეები უნდა გადაულოცოს.




ამდენს ნუ სვამო, თავს დაილუპავ და ყველას დაკარგავო; მოკვდები და ყველა ლოთბესოიად გაგიხსენებსო; სოფელი პატარაა, აქ არავის არაფერი ავიწყდება, მაგრამ შენ დაგივინყებენ, შენ დასამახსოვრებელი კაცი არ ხარო... — ხშირად უმეორებდა ბებია ამ სიტყვებს მამას და როცა ხვდებოდა, რომ სასმლისგან გამომტყვრალი მამაჩემი გონზე არ იყო და მაინც ვერაფერს შეასმენდა, ხელს ჩაიქნევდა, თავის ოთახში გავიდოდა და ჩუმი ხმით ტიროდა. კეთილი კაცი იყო მამაჩემი, მაგრამ მთელი სოფელი დასცინოდა. უბოროტო იყო, არაფერი ეზარებოდა, არც რამე ენანებოდა სხვისთვის... გიჟდებოდნენ სოფლის ბავშვები, სადაც მოვრალ მამაჩემს დაინახავდნენ, გარს ეხვეოდნენ და ისედაც ფეხზე ძლივს მდგომს — გვეთამაშე, ბესოძის ძახლით დასდევდნენ უკან. მამაჩემი ჩაფიქრებულ სახეს მიიღებდა, მერე გაიღიმებდა და — აბა, რომელი დევიჭიროთო, გამომცდელად გახედავდა ბავშვებს. ისინიც კივილით გარბოდნენ სხვადასხვა მხარეს, მამაჩემი კი ბანცალ-ბანცალით უკან მიჰყვებოდა. ფხიზელს იშვიათად ვხედავდი. ან მთვრალი იყო ან სადღაც სიმთვრალეს და სიფხიზეს შორის. ხშირად არ ჩხუბობდა, მხოლოდ მაშინ, როცა სასმელი აფრენივდა და როცა მამა აფრენდა, მეორე დღეს აღარ გვეკონდა ჭურჭელი, დღის სინათლე უფრო მკვეთრად აჭერდა ოთახში, რადგან ფარდები იატაკზე ეყარა... მე ვტიროდი. ჩვეულებრივ, სახლის დალაგებასთან ერთად ჩემი განცდებიც ნესრიგში მოდიოდა და მალევე ეძლეოდა დავიწყებას, თავის მუხსენებამდე...

— სულ ასეთი კი არ იყოო, — მეუბნებოდა ბებია, — მიეყვანდა ხოლმე თავის ძმაკაცებს და თუ რამე იყო გასაკეთებელი, აკეთებდა, მამაჩემი რო დაბრუნდება, ყოლიფერი ნესრიგში უნდა დახვდესო. სულ ელოდებოდა, ის სამინე კიდო არ დაბრუნებულა. რთულია. აჰა?! მარა, რას იზამ. მე არაფერს ვეუბნებოდი, რო გეიზრდება, თვითვან მიხვდება-თქვა, გეიზრდა და მე კი არა, თვითვან ველარ ცნობს თავის თავს... შენ არ გოუბრაზებ და წყენა არ ჩიეოდ გულში, გეიზრდები და უფრო მეტად გოუყვებ.

მერე ჩუმდებოდა და რაც არ უნდა მეკითხა, ხმას აღარ იღებდა. ბებია, ალბათ, ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებდა... იმ დილით ბებიაჩემის კივილმა გამომალვიდა... ბევრი არაფერი წამიელო, ჯერ თავშესაფარი ვნათფო — უყვირო-

და მამაჩემს. იმან კიდევ მე დამავლო ხელი, მხრებზე შემისვა და წავედით, რაც დაგვჭირდება, მერე ავიღებო. არ ვიცოდო, რა ხდებოდა, მახსოვს მხოლოდ, რომ ძალიან ციოდა და ეზოში გასულმა მამაჩემმა უკან შემაბრუნა, საწოლიდან ადიელა აიღო და ტანზე შემომახვია. ჩვენს ახალ სახლში უფრო ციოდა. ნაცნობი ადგილი იყო, აქ ხშირად მივდიოდი. ამ ადგილის შესახებ სხვა ბავშვებისთვის არასდროს მითქვამს, რადგან ყოველთვის, როცა მათთან ერთად ყოფნა მომბეზრებოდა, აქ მოვდიოდი დასამალად. მაგრამ ახლა სულ სხვანაირი გარემო იყო, ძალიან, ძალიან ბევრი ხალხი და მათ ფონზე ის უზარმაზარი სივრცე საოცრად პატარა ჩანდა... ძალიან ციოდა.

— ქეც რო ვერ გვიპოონ რამდენიმე დღეში, აქ ან სიცივით მოვკვდებით ან შიმშილით. — ენა ჩიეგდე, ბოგებში გისმენენ! — დედა, სიკვდილი რა არის? — ეკითხება ტასო დედამის... მამას აკანკალებს. მგონია, რომ მასაც ჩემსავით სცივა და ადიელას ვუნაწილებ, თუმცა კანკალი არ უღლის. თვალელები ეღვრევა... მამას დალევა უნდა, მაგრამ, აბა, როგორ?! გამახსენდა, ბებია სასმელს ჩემი საწოლის ქვეშ მალავდა, რომ მამას არ დაეღია. აქედან სახლი არც ისე შორსაა, ნავალ და მოუტან... მაგრამ რომ ბნელა?! ეს გზა კარგად ვიცი, მალე სახლთან ვიქნები. ფეხი მიბრუნდება. ვეცემი. ახლა სისხლი წამომივა — შიშმა ამიტანა... უკვე სახლთან ვარ, მაგრამ იქ უტბო კაცები არიან. ნაბიჯის გადადგმა დავაპირე, როცა ვილაცამ პირზე ხელი ამაფარა და უკან გამათორია. რამდენიმე წუთი ასე მიყავდი, ხმის ამოღება არ შემეძლო, ისე მაჭერდა ხელს. საკუთარი გულის ცემის ხმა ყურებში ისე მესმოდა, მეგონა, გული გამისკდებოდა. მხოლოდ ის მოვახერხე, ხელზე მეკბინა ისე ძლიერად, რომ პირში სისხლის გემო ვიგრძენი. „შენი კარგი მოე!“ — ვიცანი. მამაჩემი იყო. სიტყვა ბოლომდე არ დაუსრულებია, ხმას გაიგონებდნენო... ჩუმად მიჩურჩულა — თავშესაფარში დაბრუნდი, მალე მოვალო. წავედი. თხუთმეტიმდე ნაბიჯზე გასროლის ხმა გავიგე, შევბრუნდი, თუმცა უკან ნასვლა ვერ გავებედი. თავშესაფარში ჩავედი და ლოდინი დავინწყე, მაგრამ მამა აღარ დაბრუნებულა. ყველამ იცოდა, რაც მოხდა! როცა შინ დაბრუნება შეეძელით, ბებიაშევა ვევი და აღარც გაუხდია. მხოლოდ ერთ რამეში შეცდა ბებია, იმ დღის შემდეგ მამა ლოთბესოიად აღარავის მოუხსენიებია...



მთარგმნელი

ნინო დოლიძე

ნინო დოლიძე აღმოსავლეთმცოდნეა, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არაბისტიკის კათედრის ასისტენტ-პროფესორი, სამოც ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის მონოგრაფიის, სამეცნიერო სტატიების, რეცენზიების, მხატვრული და არამხატვრული თარგმანების ავტორი.

მისი ინტერესის სფეროს განეკუთვნება როგორც შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურა, ისე ახალი და უახლესი არაბული მწერლობა, ლიტერატურისა და თარგმანის თეორია. თარგმნის პროზასა და პოეზიას არაბულიდან და ინგლისურიდან. 2013 წელს მიენიჭა ლიტერატურული პრემია „საგურამო“ ნომინაციაში „თარგმანი“.

ეს „ლიტერატურული გაზეთის“ მეორე ინტერვიუა ნინო დოლიძესთან.

— აღმოსავლური ლიტერატურის თარგმნის თანამედროვე ტენდენციებზე მინდა, გკითხოთ. ცვლილებებია. ახალი მიდგომა, დამოკიდებულება გამოამჟღავნა დასავლეთმა აღმოსავლეთის მიმართ. ამბობენ, საქართველოში შეიცვალა ევრეთ ნოდებულის ორიენტალისტური ხედვა, დასავლეთის დამოკიდებულება აღმოსავლეთისადმი...

— მოგახსენებთ, აღმოსავლეთის კვლევას ჩვენში მდიდარი ტრადიცია აქვს. თუ გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან განვითარებული ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა ქართულ კვალს ან საქართველოსთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ეძებდა აღმოსავლურ კულტურაში და ისტორიოგრაფიაში, დასავლური აღმოსავლეთმცოდნეობის შემთხვევაში ასე არ იყო. პალესტინელი წარმომავლობის მეცნიერის, ედვარდ საიდის, ცნობილი თხზულების გამოქვეყნების შემდეგ ტერმინმა — „ორიენტალიზმი“ — უარყოფითი დატვირთვაც კი შეიძინა. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი საიდი აღმოსავლეთმცოდნეობას, როგორც დასავლეთში შექმნილ მეცნიერების დარგს, ასე უწოდებდა: დასავლური ცოდნის სისტემა აღმოსავლეთის შესახებ, „ერთგვარი ფილტრი, რომელსაც გადიოდა რეალური აღმოსავლეთი, სანამ ის დასავლელის ცნობიერებაში მოხვდებოდა“.

— საქართველოსთვის აღმოსავლეთი არასოდეს ყოფილა ეგ ზოტიკა. ჩვენ მისი ნაწილიც კი ვიყავით ისტორიულად. ამიტომ შესაძლოა, ყველაზე ნაკლებად გვხვება აღმოსავლური სამყაროსკენ ერთგვარი „შემობრუნების“ ის პროცესი, რომელიც დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ ორიენტალისტიკაში ახლა მიმდინარეობს.

— ვეთანხმებით. საქმე ისაა, რომ მეცნიერების ამ „დასავლური“ დარგის განსაკუთრებული განვითარება ნაპოლეონის ეგვიპტეში ექსპანსიას მოჰყვა. სწორედ მაშინ განხორციელდა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ექსპედიციებიც. ორიენტალისტიკის აღზევება კოლონიურ პერიოდს დაემთხვა. დასავლეთი პასუხისმგებლობას იღებდა, ასე ვთქვათ, აღეზარდა „ჩამორჩენილი“ აღმოსავლეთი, თუმცა კოლონიური პოლიტიკით მეტ ზიანს აყენებდა მას. დასავლეთის მიერ არაბული კულტურის შესწავლაც კი პოლიტიკური ინტერესების ჭრილში მოექცა. ნებისთი უნებლიეთ, ორიენტალიზმი დასავლური კოლონიური პოლიტიკის სამსახურში აღმოჩნდა.

ევრეთ ნოდებულის ორიენტალისტური ხედვა, რომელიც, ერთგვარად, ზემოდან ყურნებს გულისხმობს, ბუნებრივია, თარგმანსაც შეეხო. რაში გამოიხატება ის? კოლონიური პოლიტიკის მქონე ერების მხატვრულ თარგმანებში ბევრი რამ გადაკე-

თებულია. ხშირად ეს უფრო იმიტაციაა და არა თარგმანი. მთარგმნელი იმას კი არ ცდილობს, მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებით ახალ, უცხო ლიტერატურას შემოუძღვეს თავის კულტურაში, არამედ მთელი აქცენტი იმაზე აქვს გადატანილი, თარგმნილი ტექსტი მიმღებ საზოგადოებას მოარგოს, პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი მოთხოვნები თუ ლიტერატურული გემოვნება გაითვალისწინოს.

— ნუთუ „ათას ერთი ღამეც“ ასე ითარგმნა?

— დიახ, დასავლეთისთვის ეგ ზოტიკური აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი



განძი „ათას ერთი ღამე“ პირველსავე ლათინურ თუ ფრანგულ თარგმანებში მთლიანად გადაკეთებული იყო. სხვათა შორის, დღეს ეს მეცნიერული კვლევის საგანიც კია — კონკრეტულად რა, რა მიზეზით და რა მიზნით შეიცვალა თავდაპირველ დასავლურ თარგმანებში. ეს ტენდენცია ნაწილობრივ შემდგომშიც გაგრძელდა. თუმცა, ლიტმანის გერმანული თარგმანი სანიმუშოა მეცნიერული დონითა და სიზუსტით.

საგულისხმოა, რომ დასავლურ ენებზე სათარგმნად არაბული ნაწარმოებების შერჩევის პროცესი ასევე ტენდენციური გახლდათ. ორიენტალისტებს შეეძლოთ, მორჩილების ხოვანად მიეჩნიათ ის ტექსტები, რომლებიც ადგილობრივ კულტურაში სულაც არ იყო უმნიშვნელო. ზოგიერთი არაბი ავტორის მარგინალიზაციაც სწორედ იმ დამოკიდებულებით იყო განპირობებული, რაც ინტელექტუალურად და ნინაურებულ დასავლეთში აღმოსავლური სამყაროს მიმართ განმანათლებლური ეპოქიდან ჩამოყალიბდა.

პოსტკოლონიურ ეპოქაში კი ამ ხედვის შეცვლის საჭიროება დადგა. დღის წესრიგშია როგორც დასავლელი ორიენტალისტი ავტორიტეტების მიერ ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული მეცნიერული შეხედულებების გადახედვა, ისე არაბული ტექსტების ხელახლა თარგმნა აუთენტური გარემოს მეტად გათვალისწინებით, მისი კულტურის სიღრმისეული შესწავლით, რადგან ორიენტალიზმი აღმოსავლეთის ეგ ზოტიკაცია კი არ გულისხმობს მხოლოდ, არამედ მისი ლიტერატურის დასავლური ტერმინებით შეფასებასაც.

— საინტერესოა, ძველი ტექსტებიდან რა ითარგმნება პირველად, და რა ხელახლა?

— პირველად თარგმნიან გვიანი შუა საუკუნეების ნაწარმოებებს, რომელთა დიდი ნაწილი ხელნაწერების სახით არსებობდა და ბოლო დრომდე არც არაბულ ენაზე ყოფილა გამოქვეყნებული. საქმე ისაა, რომ კლასიკურ პერიოდს არაბულ ლიტერატურაში მოჰყვა დაცემის ხანა, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა. ევროპულ კულტურასთან ზიარების შედეგად კი ლიტერატურული აღმავლობა, ევრეთ ნოდებულის არაბული რენესანსი დაიწყო. თუმცა, როგორც ირ-

კვეა, პოლიტიკური დაცემის ხანაშიც, XIII-XVIII საუკუნეებში, შეიქმნა ბევრი ისეთი ძეგლი, რომელიც ნამდვილად არის ყურადღების ღირსი და ასე ხელალებით თქმა, რომ პოსტკლასიკურ თუ პრემოდერნულ ხანაში ახალი და საინტერესო არაფერი შექმნილა, არ შეიძლება. სხვათა შორის, ეს მოსაზრებაც ევრეთ ნოდებულის ორიენტალისტური მიდგომით იყო განპირობებული, თითქოს არაბებს ღირებული არაფერი შეუქმნიათ მანამ, სანამ ისინი ევროპულ კულტურას არ ეზიარნენ.

რაც შეეხება ხელახლა თარგმნილ ძველ არაბულ კლასიკურ ტექსტებს, ესეც ახლებური მიდგომებითაა განპირობებული. — თარგმნილი, მკითხველისთვის თუ მეცნიერთათვის უკვე ნაცნობი, ნაწარმოებების ხელმეორედ თარგმნა არ იქნება ადვილი საქმე.

— დიახ, მაგრამ აქამდე უკვე არსებული თარგმანები, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ინტერპრეტაციაა, ზოგჯერ კი სტუდენტებისთვის არაბული ენის სწავლების მიზნით შესრულებული ზუსტი თარგმანი, რომელიც მოკლებულია მხატვრულ ღირებულებას. მაგალითად, კლასიკური არაბ-

ყველაფერი აისახა მწერლობაში

ული მაკამების ხელახლა მთარგმნელი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაიკლ კუპერსონი მიიჩნევს, რომ სიტყვის დონეზე შესრულებულ დე სასის ფრანგულ, ჩენერის, პრესტონისა თუ ფენდერგრასის ინგლისურ თარგმანებს — ალ-ჰარირის XIII საუკუნის მაკამებს გულისხმობს — აქამდე არავინ გამოხმაურებია, რადგან ამ მთარგმნელთა ნამუშევრებს არც არავინ იცნობდა არაბისტიკის გარდა. ალ-ჰარირის მაკამების გერმანულად მთარგმნელმა ფრიდრიხ რუქერტმა შედარებით ადექვატური მხატვრული ტექსტი შექმნა, რომელიც 1926 წელს გამოცა, თუმცა, იმავე კუპერსონის აზრით, მან თარგმანი უფრო იმიტომ შეასრულა, რომ გერმანული, როგორც კულტურული ფენომენის, ძალა დამტკიცებინა და არა იმიტომ, რომ არაბული კულტურა გერმანულენოვანი საზოგადოებისთვის გაეცნო. რუქერტის ნამუშევარს მაიკლ კუპერსონი „მოზინაურებას“ უწოდებს — ამ თარგმანში არ ჩანს ის, რაც გამოჩენილად არაბულია. თუმცა შედეგი ისაა, რომ რუქერტის მიერ გამოყენებული ბევრი სიტყვა ძმები გრიმებისა თუ დიდ გერმანულ ლექსიკონში მოხვდა.

— თვითონ მაიკლ კუპერსონი როგორ ითარგმნელია?

— 2020 წლის მაისში მის მიერ შესრულებული ალ-ჰარირის მაკამების ხელახალი ინგლისური თარგმანი გამოვიდა. კუპერსონი მაკამებს მიუდგა როგორც მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებს და არა როგორც წყაროს არაბების უკეთ გასაშიფრად თუ შესასწავლად. აქ უკვე ნათელია განსხვავება კოლონიური ხანის ევროპელი მთარგმნელების ხედვისაგან. კუპერსონი მიიჩნევს, რომ მისი ვარიანტი შეიძლება ფართო მასშტაბში უფრო პოპულარული გახდეს. ნესით, კლასიკურ აღმოსავლურ ლიტერატურას დასავლეთში უკეთ უნდა იცნობდნენ. თუმცა, ფაქტია, რომ ყურანის და „ათას ერთი ღამის“ გარდა ბევრს არაფერი გაუგია. ესეც იმიტომ მოხდა, რომ სწორედ დასავლეთმა მიიჩნია აღმოსავლური ზღაპრების კრებული ევროპული ლიტერატურული ტრადიციებისთვის მნიშვნელოვან და ღირებულ ტექსტად.

— თქვენც ხომ თარგმნეთ მაკამები? მგონი, ევრეთ ნოდებულის თბილისური მაკამა.

— დიახ, ჩემი მონოგრაფიისთვის ალ-ჰარირის რამდენიმე მაკამის ზუსტი თარგმანი, პარაფრაზა შევასრულე, მათ შორისაა „თბილისური მაკამა“, ასე ჰქვია რიგით 33-ე მაკამას — სულ ორმოცდაათია — და იქ მოქმედება თბილისში ვითარდება. ასე რომ, მითარგმნია და ვიცი, რამდენად რთულია მაკამების გარჩევა, კომენტარების გარეშე ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუმცა, პოეტ კუპერსონს ნამდვილად ვერ შევედრები — ის თარგმნის პალინდრომებსაც კი, მაქსიმალურად გადმოაქვს სიტყვათა თამაში, რაც არსებითაა მედიევისტურ ტექსტებში, სადაც ავტორს თითქოს „ღვთის ენის“, არაბული მთელი დიდებულების წარმოჩენა სურს. მაკამის ჟანრში სიუჟეტი არ არის დიდად მნიშვნელოვანი — ხშირად ერთი და იგივე მეორდება სხვადასხვა ვარიაციით. როგორც მაროკოელი მკვლევარი აბდ-ფათაჰ ქილიტი აღნიშნავს, „თუკი შუა საუკუნეების სპეციფიკას გავითვალისწინებთ, მთავარია ჟანრი და არა ავტორი. ამიტომაცაა, რომ მხოლოდ ლექსიკური თარგმანი ვერ აქცევს მაკამებს ანგლოფონური ლიტერატურული კულტურის ნაწილად. ვერბალური პერფორმანსის სულის გადმოტანაა მნიშვნელოვანი“. როგორც ამბობენ, კუპერსონმა ეს შეძლო.



— თქვენ იცნობთ კუპერსონს?

— გასულ წელს კუპერსონი კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ პარიზის სამუშაო შეხვედრაზე გავიცანი. სწორედ თავისი გამოხვლის წინ შეიტყო, რომ ქართულადც არის თარგმნილი მაკამები. მე კი ჩემს მოხსენებაში მთარგმნელთა შორის არ გიხსენებთო — მითხრა.

— აღმოსავლეთი რამდენად არის ჩართული ამ ახალ მოძრაობაში?

— გლობალიზაციის წყალობით გასული საუკუნის ბოლოდან სულ უფრო მეტი აღმოსავლელი ჩაება დასავლურ სამეცნიერო კვლევით პროექტებში. ედვარდ საიდის მოსაზრება, რომ არაბი თავის კულტურულ მემკვიდრეობას უკეთ შეისწავლის და გაიგებს, ვიდრე ევროპელი, თანდათან რეალობაში ხორციელდება. დღესდღეობით აღმოსავლეთმცოდნეობა აღარ არის მხოლოდ დასავლური ხედვის გამოხატველი მეცნიერების დარგი. ყოველ შემთხვევაში, შეინიშნება აშკარა ტენდენცია ცვლილებებისაკენ.

მაგალითისთვის, ისევე ალ-ჰარირს და კუპერსონს მივუბრუნდები. ძველი, კლასიკური ძეგლი ინგლისურად ხელახლა იმით მთარგმნა, რომ მისი ლიტერატურული ღირებულება მთარგმნელ ენაზე უკეთ წარმოჩენილიყო. კუპერსონის თარგმანი არ არის ცალკეული შემთხვევა. ის გამოვიდა სპეციალური პროექტის — „არაბული ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ — ფარგლებში. ეს პროექტი, ოცდაათწლიანი მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოთი, მიზნად ისახავს არაბთა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა უფრო ფართო საზოგადოებას გააცნოს. ის გამოცემის VII-XVIII საუკუნეების სხვადასხვა ჟანრის გამოჩენილი ნიმუშების ინგლისურ თარგმანებს. პროექტის მთავარი რედაქტორია ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ კენედი, პროექტს აფინანსებს ნიუ-იორკის უნივერსიტეტი აბუ-დაბიში, თარგმანებს კი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს. საგულისხმო ფაქტია, რომ პროექტის ძირითადი



განმარტობები კებრიჯის, იალეს, ჩიკაგოს და სხვა უნივერსიტეტების დასავლელი და არაბი პროფესორები არიან, დაფინანსება კი არაბულია. ეს პროექტი ნიმუშია იმისა, თუ როგორ ხდება თარგმანის მეშვეობით ორიენტალისტური დისკურსის შეცვლა.

— უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა, მიდგომების, დამოკიდებულების თვალსაზრისით, აღბათ ყოველთვის განსხვავდებოდა ევროპულისგან.

— ქართულ სინამდვილეში ორიენტალისტური მიდგომა არასოდეს ყოფილა. ჩვენს შემთხვევაში მთავარი იყო ქართული ინტერესი. იმავე „თბილისურ მაკამას“ თუ მოვიტანთ მაგალითად, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელს, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა დარგის მიმართულეები, მაკამებში აინტერესებდა უპირველესად ის, რომ ასეთ დიდ ავტორთან თბილისი იყო მოხსენიებული, ეს კი უტყუარი ნიშანია, რომ იმ ეპოქაში ჩვენი დედაქალაქი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად მოიაზრებოდა.

— საინტერესოა, თანამედროვე არაბული ლიტერატურის მიმართ ასეთივე ინტერესი აქვს მსოფლიოს? ან რა ინტერესებს მასში, რა ტიპის ტექსტები?

— რაც შეეხება თანამედროვე არაბული ლიტერატურის უცხო ენაზე თარგმანს, ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც 1987 წელს ეგვიპტელმა ავტორმა ნაჯიბ მაჰფუზმა ნობელის პრემია მიიღო. დიას, ლამის XX საუკუნის ბოლომდე არაბული მხატვრული ტექსტები დასავლეთისთვის საინტერესო იყო როგორც მნიშვნელოვანი წყარო ადგილობრივი გარემოს, პოლიტიკისა თუ სოციალური შესახებ, მაგრამ არა როგორც ლიტერატურა. დღეს უკვე მთარგმნელობითი საქმიანობა ძალიან გააქტიურებულია, თუმცა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევის პროცესი ადგილობრივ არაბ ავტორებში ხანდახან ისევ ეჭვს იწვევს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ადგილობრივ თუ საერთაშორისო ლიტერატურულ ჯილდოებს. თუკი ლიტერატურული ქმნილება რომელიმე კონკურსის მოკლე სიაში არ აღმოჩნდა, მისი პოპულარიზაცია საერთაშორისო მასშტაბით ძალიან რთულდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუქერის ცნობილ პრემიასთან არსებული ჯილდო საუკეთესო არაბული რომანისთვის — IPAF (International Prize for Arabic Fiction), რომელსაც საერთაშორისო ჟიური ჰყავს, თუმცა ყოველწლიურად აფინანსებს ემირატების აბუ-დაბის ფონდი. მოკლე სიაში მოხვედრილ ექვს ავტორს — 10 000 დოლარი, ხოლო გამარჯვებულს 50 000 დოლარი გადაეცემა და მისი რომანი ითარგმნება ინგლისურად. 2020 წელს ეს ჯილდო აღიარებდა ავტორმა მოიპოვა. IPAF-ის მიერ გადაღებული სამწუთიანი ვიდეოთი, რომელიც, ბუნებრივია, ციფრულ მედიაშიც ვრცელდება, ადგილობრივი არაბი მწერალი უმოკლეს დროში მსოფლიო მასშტაბით უფრო პოპულარული ხდება, ვიდრე რომელიმე სხვა არაბი ავტორი, რომელსაც შეიძლება გაცილებით მეტი და დიდი ხნის ნამუშევარი ჰქონდეს.

ასევე უნდა ვახსენოთ შარფას ნიგნების 11-დღიანი ფესტივალი, რომელიც 1982 წლიდან იმართება, დღეს უკვე 2 000-მდე გამომცემლობას მასპინძლობს და 2 მილიონზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. 2011 წლიდან აქ არსებობს სპეციალური ფონდი, რომელიც ხელს უწყობს არაბული ნიგნების სხვადასხვა ენაზე თარგმანსა და პოპულარიზაციას. ამ გრანტით დაფინანსდა ახლახან გამოსული თარგმანი ლიბანელი ქალი ავტორის იმან ჰუმაიდის იუნსის ნიგნისა „ასო „ბ“ სიტყვებში „ბინა“, „ბერიუთი“, სადაც ოთხი ქალი ნარატორი ლიბანის სამოქალაქო ომზე მოგვითხრობს. მთარგმნელი დარეჯან გარდავაძე აქტიურად თანამშრომლობს „ინტელექტთან“, რომელიც ქართული გამომცემლობებიდან ჯერჯერობით ყველაზე ინტენსიურად ახერხებს შარფას ფესტივალში მონაწილეობას. შარფას ფონდი გამომცემლობას თავად სთავაზობს სათარგმნი ნიგნების სიას. ასე რომ, ვინც იხდის, ის უკეთესად კიდევ.

— ესე იგი აქაბ ზაზარი არეგულირებს.

— საერთოდ, თუ თანამედროვე არაბული ნიგნების თარგმანზე ვისაუბრებთ, უნდა ვთქვათ, რომ როგორც დასავლურ, ისე ქართულ სინამდვილეში, უკვე ბევრ რამეს წყვეტს მისი უდიდებულესობა ზაზარი, რაც, ვიტყვდი, არ არის ყოველთვის კარგი, მაგრამ ასეთია რეალობა. ბუნებრივია, რომ ქართული გამომცემლობებიც, პირველ რიგში, ავტორთა ლიტერატურულ ჯილდოებს აქცევენ ყურადღებას, მათთვის ასევე საინტერესოა ის ნიგნები, რომელთა გამოქვეყნება აღმოსავლეთის ქვეყნებში აკრძალულია. ასე გაგიცანით ირანელი ავტორი მაჰმუდ დოლათაბადი და მისი „პოლკოვნიკის დღიური“, რომელიც თეა შურლაიამ თარგმნა, ასევე სადევ ჰედაიათი და „ბრმა ბუ“ მზია ბურჯანაძის თარგმანით, სადა ან-ნუაიმი და მისი „თაფლის სამხილი“, რომლის მთარგმნელიც გიორგი ლობჯანიძეა.

— თქვენ, როგორც მთარგმნელმა, რამდენად აუწყვეთ ფეხი ზაზარის მოთხოვნებს?

— მე რთულად ვერგები საბაზრო პრინციპებსა და მოთხოვნებს. რაც გამოიკეთებია — ვგულისხმობ როგორც მხატვრულ ლიტერატურის, ისე ლექციების და

პოლიტიკურ გაგენაზე, სიდუხჭირზე, გამძვინვარებული ისლამიზაციის პროცესზე ან დიქტატორ მმართველზე არ ელვება. ახლო აღმოსავლეთი გამუდმებული კონფლიქტების კერად იქცა. ეს ყველაფერი აისახა მწერლობაში, სადაც ვხვდებით ფორმით ტიპურ პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებებს ინტერტექსტუალური ღია ციტირებით, რემინისცენციებით, ანარქიული სტრუქტურით და ასე შემდეგ, მაგრამ, იმავდროულად, ღრმა შინაარსითა და სპეციფიკური თემებით. მწერალი ჟანრის კანონებს დიდად არც აქემორჩილება — რომანი და ნოველა ჩანაცვლა სიტყვად „ტექსტები“, მაგრამ ისინი აუცილებლად შეიცავს გზავნილებს ზოგჯერ ადგილობრივ, ხშირად კი საერთაშორისო საზოგადოების მიმართ. ხსოვნის, იდენტობის, დროსა და სივრცეში დაკარგვის პრობლემა გაუთავებელმა ომებმა, დევნილობამ თუ საზოგადოების რღვევამ წარმოშვა.

უნდა ითქვას, რომ არაბული სამყარო მაქსიმალურად ცდილობს, ფეხი აუწყოს დასავლეთში მიმდინარე კულტურულ პროცესებს. თითქმის არ ყოფილა დასავლეთში ჩასახული სახელოვნებო მიმდინარე-



სამეცნიერო სტატიების თარგმანს — ძირითადად, უფასოდ. უპირატესობას ვანიჭებ მასალას, რომელიც არაბული, აუთენტური გარემოს ადექვატურად წარმოჩენისთვისაა უფრო მნიშვნელოვანი. მხატვრულ თარგმანს დიდი როლის შესრულება შეუძლია განსხვავებული, უცხო სამყაროს აღქმის საქმეში.

რაკი უახლეს არაბულ ლიტერატურასთან ჩემი პროფესიული ინტერესი მაკავშირებს, სათარგმნი მასალაც სწორედ ამ მიმართულებით მუშაობისას მიგროვდება ხოლმე. მაგალითად, პალესტინელი პოეტის მაჰმუდ დარვიშის შემოქმედების შესახებ სტატიების წერისას ვთარგმნი მის ლექსებს. დარვიშის ლექსები ასევე ნათარგმნი აქვთ ნანა ფურცელაძეს, გიორგი ლობჯანიძეს... ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ამ პოეტის დანახვა სწორედ იმ კონტექსტში, რომელშიც იზრდებოდა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 1948 წლიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ ბავშვი, ლტოლვილი იყო. მიუხედავად ამისა, ის ძალიან უყვართ არა მარტო არაბულ სამყაროში, არამედ ისრაელში. დარვიში იყო პოეტი, რომელიც როგორც პიროვნება და როგორც შემოქმედი ამალდა არაბულ-ებრაულ კონფლიქტზე და სწორედ ამითაა ის ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო.

კლასიკური ტექსტებიდან სიამოვნებით ვთარგმნი დოლორეს ბოლომდის ალ-ჰარირის მაკამებს, რაც ყველა კულტურულ ერს თარგმნილი უნდა ჰქონდეს. თუმცა, საამისო დრო ჯერჯერობით არ მაქვს

— რამდენად არიან თანამედროვე არაბი მწერლები ძველი არაბული ავტორების მემკვიდრენი, ტრადიციის გამგრძელებლები?

— თანამედროვე არაბული და, ზოგადად, აღმოსავლური, ლიტერატურისთვის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ იგი პოლიტიზირებულია. აღმოსავლელს არ ჰქონია მოცალეობა, დამშვიდებულიყო და სხვა ქვეყნების

ობა, რაღაც ფორმით არაბულ კულტურაში რომ არ ეპოვა ასახვა. თუმცა დღემდე არაბულ ქვეყნებში გათანამედროვეება გადასავლეთურებას უდრის.

— ჩვენი პირველი ინტერვიუს შემდეგ დაახლოებით 10 წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში თქვენ მიერ აღბათ ბევრი ავტორის ნაწარმოები ითარგმნა, როგორც ევროპული, ასე არაბული ენებიდან.

— არაბულიდან ვთარგმნი და სხვადასხვა დროს პერიოდულ გამოცემებში გამოვაქვეყნე ბაჰა ტაჰირის, იბრაჰიმ ასლანის, ნაჯიბ მაჰფუზის ნოველები, აჰმად ტაჰას, ლადა ას-სამანის, ნიზარ კაბანის, მურიდ ალ-ბარლუთის, მაჰმუდ დარვიშის ლექსები, რადვა აშურისა და სხვათა ლექციები, ინგლისურიდან ვთარგმნი დერეკ უოლკოტის საწარმოლო სიტყვა... 2013 წელს ცალკე წიგნად გამოიცა აშშ-ში მოღვაწე ლიბანელი ავტორის, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველი“, რომელიც ინგლისურიდან ვთარგმნი ისევე, როგორც 2015 წელს გამოცემული პატრიკ უაიტის კრებული „კაკადუები“, 2017 წელს კი ამინ არ-რეიჰანისა და ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ესეები გადმოვაქართულე სხვა არაბულიდან მთარგმნელებთან ერთად, კრებული გამოიცა ეროვნული წიგნის ცენტრის პროექტის ფარგლებში. 2018 წელს გამოვიდა ჯიბრანის „რჩეული ნაწერები“, რომელიც ამ არაბი ორენოვანი ავტორის მხოლოდ ინგლისურენოვან თხზულებებს აერთიანებს, ეს ჩემი და ირმა მახარაძის თარგმანი გახლავთ. ახლახან აღდგენილი ჟურნალ „პირველი სხივის“ პირველ ნომერშიც გამოქვეყნდება მაჰმუდ დარვიშის ლექსების ახალი თარგმანები არაბულიდან...

— თქვენ რეგულარულად „მოგენიჭათ ორი ენიდან თანაბრად კარგად თარგმნისთვის. მინდა გკითხოთ, პოეზიასა და პროზასთან თანაბარი წარმატებით თარგმნით?

— რა თქმა უნდა, პროზა უფრო იოლი სათარგმნია, თუმცა აქ ენის, ლექსიკის, ცალკეული სიტყვების ცოდნაზე მეტად მოვლენებისა და პერსონაჟების არსში წვდომაა საჭირო. როდესაც გამომცემლობა „ინტელექტმა“, ზვიად კვარაცხელიამ, ავსტრალიელი ნობელიანტის, პატრიკ უაიტის მცირე რომანებისა თუ ვრცელი მოთხრობების თარგმან შემომთავაზა, ჩემი პირველი რეაქცია იყო ის, რომ არ ვარ ანგლისტი. მანამდე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „წინასწარმეტყველი“ მქონდა თარგმნილი ინგლისურიდან მხოლოდ იმიტომ, რომ არაბული დედანი დაკარგულია და ორიგინალად იმავე ავტორის მიერ დაწერილი ინგლისური ვარიანტი მიიჩნევა. მაშინ ზვიადმა მითხრა, რომ ანგლისტი ვარ თუ არა, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა. გამიკვირდა, მაგრამ ახლა სრულიად ვეთანხმები. შეიძლება, უფრო მეტი შრომა დამჭირდა, ლექსიკონებში მეტი სიტყვის დაძებნა მომიხდა, მაგრამ მთავარი სულ სხვა რამ იყო — უაიტის ფსიქოლოგიური სიღრმით გამორჩეული ნაწარმოებების გაგება. გაგების, სათარგმნ ტექსტში წვდომის უნარი აღბათ ყველაზე მნიშვნელოვანია. ამას მოჰყვა ინგლისურიდან თომას ვულფის მოთხრობისა თუ

უოლტ უიტმანის ლექსის თარგმანი... ზვიადს რომ არ ეთქვა, არასოდეს მომივიდოდა ეს თავში აზრად. მინდა, მაღლიერებით გავიხსენო შესანიშნავი ადამიანი და ანგლისტი არიანე ჭანტურია, რომელიც უნივერსიტეტის მე-5 კორპუსის ერთ სულ პატარა ოთახში იჯდა და ნიგნებში ჩაფლული მუშაობდა ხოლმე. ჩემთვის ის იყო ყველაზე დიდი ავტორიტეტი. თუ რამეში ეჭვი შემეპარებოდა თარგმნისას, პირდაპირ, უცერემონიოდ შევუღებდი ხოლმე სამუშაო ოთახის კარს და დიდი ბოდიშის მოხდით ვეკითხებოდი აზრს. ის კი, ჩემთვის, ფაქტობრივად, უცნობი ადამიანისთვის, პასუხის გასაცემად სწყდებოდა თავის საქმეს, კარგად გამოიკითხავდა კონტექსტს და შემდეგ თავის მრავალრიცხოვან ლექსიკონებში ინყებდა იმ სიტყვის მნიშვნელობის დადგენას.

— აჰმად ტაჰაზე, ოპოზიციონერ პოეტზე მინდა გკითხოთ, თქვენ მას იცნობდით, არა?

— აჰმად ტაჰა ეგვიპტეში სწავლისას გავიცანი. ჯერ კიდევ მუბარაქის პერიოდში მისი ბინა კაიროს ცენტრალურ კვარტალში იყო ერთგვარი ოაზისი, სადაც ახალგაზრდა პოეტები იკრიბებოდნენ და თანადად ლექსებით ეგვიპტეში გამეფებულ ტირანიას უპირისპირდებოდნენ. ეს ადგილი, რომელიც ერთმა ამერიკელმა ნაცნობმა მიმასწავლა, ერთადერთი იყო კაიროში, სადაც მე მაშინ განსხვავებული აზრი მოვისმინე. განსხვავებული იყო აჰმად ტაჰას პოეზია. ვთარგმნი ლექსები მისი კრებულიდან „კედლების იმპერია“. მახსოვს, ჩემი კვლევისთვის საჭირო ერთი ნიგნის მოპოვება კაიროში ვერ მოვასწარი და აჰმადს ვთხოვე, თბილისში გამოეგზავნა. როდესაც მივიღე, სამადლობელი წერილი მივწერე, მან კი მიპასუხა: „ყოველთვის მზად ვარ დაგეხმაროთ მიუხედავად იმისა, რომ ორიენტალისტი ხართ“. მაშინ მაინც დამაინც ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა...

კალათბურთის ფარი

აი, ამაზე მაგარი, აქ, სოფლად ყოფნი-სას, მგონი, არც არაფერი გამიკეთებია. ვილაც მეტყვის, როგორ არა, აბა, კარტოფილი, საქათმე და მისთანები? და მე კი ვეტყვი, კარტოფილის, ქათმების და მისთანების დედაც, როცა ასეთი ფარის წინ დგახარ და თან ხარ ბავშვი...

ზუსტად ასეთი ფარი მქონდა ჩემი ბავშვობის ეზოში. მართალია, ის ეზო ცალკე განხილვის საგანი გახლავთ, მაგრამ ახლა მის დეტალურ აღწერას ნამდვილად ვერ შევუდგები. თუმცა, გაკვრით გეტყვით, რომ ჩვენი შიდა ეზო, ყოველმხრივ „იტალიური“ სახლებით გარშემორტყმული და ბნელი გვირაბებით დაქსაქსულ-დამშვენებული, ნაღდი ბასტიონი იყო და იქ მოსახვედრად იმდენივე განსაცდელი უნდა გადაგელახა, რამდენიც იაზონს...

დამთავრდებოდა თუ არა სკოლა და დაირეკებოდა თუ არა ბოლო ზარი, ეგრევე ჩემი ეზოსკენ გავბოდი. დავყრიდით ერთადერთი გამხმარი ხის ძირში ჩანთებს, გავიძრობდით ვერაგ ფორმებს და უფრო კი ოქტომბრელის ნიშნით დამშვენებულ ზედატანს (ახლა ნაღდად არ მახსოვს, რა ერქვა, იმ უბადრუკ პიჯაკისმაგვარობას) და ეგრევე კალათბურთის თამაშს ვინწყებდით. შვიდი ოფლის მოდენამდე ვთამაშობდით. „ბოლშე-მენშემდეც“... უსასრულობამდეც... სწორედ ეს იყო ჩვენი ბავშვობა... თუმცა, არა... მთავარი, ალბათ, მაინც კალათბურთის ფარი იყო... ხის სკამისგან გაკეთებული ფარი...

მართალია, აი, ეგეთი ფარი ჩემშიც ბევრი მინახავს, მაგრამ ჩვენსას მართლა სულ სხვა ეზო ჰქონდა. ჯერ ერთი, შიგ არავინ ისაქმებდა და მეორეც — იმ ფარში ვერავინ მიგებდა. ვერც ძმაკაცი და ვერც უცხო. ისეთი წერტილები მქონდა დაჭერილი, დამულამებული, თვალდახუჭილიც კი ჩავაგდებდი, წინ რომ სულ ნიკოლოზ დერიუგინი გადამფარებოდა...

კაცო, განა, მართლა, რამე განსაკუთრებული ფარი იყო? არა, ერთი ჩვეულებრივი ჩამტვრეული ხის სკამი გახლდათ. დიახ, სწორედ სკამის „დასაჯდომს“, ფანერას ვამტვრევდით, ფეხებით ხეზე ვალურს-მავდით და სულ ეგ იყო, ფარაც მზად გახლდათ. მერე კი მიდიოდა გაუთავებელი დავიდარაბა, ჩატენვა-ამოტენვა, გარბენი თუ ორტარება და მრავალი მისთანები... ისე კი, ძალიან კარგი დრო იყო — ტკბილი, უტყვი და ცოტა სევდიანიც...


თუმცა, სჯობს, აქვე გამოგიტყდეთ, რომ ეს ჩემი ნაქები ფარი სულაც არ იყო ძირითადი და გახლდათ მხოლოდ სათადარიგო, „ზაპასნოი“ ვარიანტი. დიახ, ძირითადი ფარი სულ სხვაგან იდგა, ეკიდა. არც გატეხილი სკამიდან და არც სხვა რამ რგოლისმაგვარობიდან იყო „ნაფინაჩა-რი“. ნაღდი საკალათბურთო ფარი გახლდათ. თავისი ნაღდი რგოლით, ბადით და ხოშიანი ზურგიტაც... იქ თამაშშიც ერთი სიამოვნება იყო, თუმცა ამ სიამოვნებას ერთგვარი ლიმიტი ჰქონდა. ამ ლიმიტს კი ერთი ანჩხლი მეზობელი, ნინა ბებო, ანესებდა. ბებიაჩემსაც კი ურეკავდა ხოლმე, შენი შვილიშვილი გაზის მილზე ჰკიდია, მის ჩამოტეხვას ცდილობს და დროზე მოაკითხეო. აბა, ახლა მართლა რა კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან „გაზის ტრუბასა“ და „მინუს პიატს“? არც არანაირი, ერთი ალტას იყო და მეორე ბალტას, მაგრამ ჩვენი ნინა ბებო მაინც დაულაღლავად, დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ეს ორი ერთი და იგივე გახლდათ... და კალათბურთიც სხვა არაფერი იყო, თუ არა გაზის მილზე დაკიდება, ჩამოკონწილება და მისი ჩამოტეხვის მცდელობა. ისეც... თუმცა, არა, ახლა აღარ ღირს... ახლა აღარც ნინა და აღარც ის ფარი. მოდი, ასე ვთქვათ, რომ უბრალოდ ხნიერი ადამიანი თავისთვის ნუხედა და ჩვენ კი მისი საერთოდ არ გვესმოდა... არც კი გვიცდია...

აი, რასაც ახლა ვერ ვხვდები, ისაა, რატომ არ გადაირიგნენ ამ ჩემს შემოქმედებაზე, გამჭრიახობაზე და უფრო კი „სკამფარზე“ ჩემი შვილები? არადა, მე ნაღდად გადავივროდი?! კი, თავიდან, თითქოს, კიდევ მოეწონათ. რამდენჯერმე კიდევ ისროლეს. ერთი ტაიმიც თიამაშეს, თუმცა ის ჟინი თუ მონდომება, რაც მე მაგათ ასაკში მქონდა და რა ენთუზიაზმითაც მე ეგ ფარი ვაკეთე, მათთვის უცხო აღმოჩნდა. შეატოვეს ბურთიცა და მოედანიც უმც-

როს დაიკოს და თავად ვირტუალურ, „ზუ-მის“, სამყაროში გადაინაცვლეს. არადა, პირადად მე სულ სხვა მოლოდინი მქონდა და ახლა ვატყობ, პრიორიტეტის შეცვლა მომიწივს და აქცენტიც ქალთა კალათბურთზე უნდა გადავკეთო, თორემ დარჩება ეს ჩემი „სკამფარი“ უფუნქციოდ და მოუნევეს ჩემში გადამბარება. აი, ამის ნარმოდგენაზე კი გული მეკუმშება, მზარავს...

ქალაქი

ამას წინათ ქალაქში ვიყავით ჩასული. კარგი რამეა, ვერაფერს იტყვი... ბავშვებს განახლებული მზიური ვაჩვენეთ, ჩამოსასხმელ ნაყინსაც გეხელით და, როგორც ასეთი გასვლით ღონისძიებებს შეეფერება, ერთი სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ. თუმცა, არა, ფოტოზე ვიხუმრე. ისე კი, მგონი, ქალაქში ვბრუნდებით. ეს თან კარგიცაა და თან ისე რა. თან მიხარია და თანაც, არ ვიცი... ფაქტია, ახლა ისევ ძალ-



იან ბევრი უნდა ვიპოვო, რათა ბევრი ფული გამოვიმუშაო და ბევრივე ვალი გავისტუმრო. არანაირი რომანტიკა... ახლა ისევ საუკუნოდ უნდა დავკარგო საკუთარი თავიცა და ოჯახის წევრებიც. ის შინაგანი წონასწორობაცა და ჰარმონიაც, რომელიც მიუხედავად ამხელა განსაცდელისა, მაინც საიდანაც შევიძინე, ჩამომიყალიბდა. სხვათა შორის, ეს ჩემი ახლანდელი „საკუთარი თავი“ სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორც, მეგონა, იყო. ძალიანაც დინჯი, განონასწორებული, ბუნჩრულ და ალკოჰოლისადმი მიდრეკილი ყყოფილვარ. არადა, მეგონა, რომ სუპერ დასტრესილი, ციყვივით დოლურაში დაულაღლავად მორბენალი და გაზაფხულობით სიგიჟის ზღვარზე მყოფი ვიყავი. თურმე, არა, შენც არ მომიკვდე, ზაფხულიც კი ისე დაგვა, ერთხელაც არ გამიფრენია. ნუ, რა თქმა უნდა, იმ საგიჟეთის წევრობას თუ არ ჩავთვლით, რომლის „გამომწერნიც“ ახლა ყველანი ვართ.

სიმართლე გითხრათ, სამსახურში დაბრუნება, სავარძელში ჩაჯდომა და კომპიუტერზე „მიერთება“ ისე გამიჭირდა, როგორც, აი, ბავშვს უჭირს ზაფხულის არდადეგების შემდეგ მერხთან მიბრუნება. მთელი დღე უაზროდ ვწრიალებდი და ადგილს ვერ ვპოულობდი. თან მიხაროდა და თან უსაზღვროდ ვმობრუნავდი. ხან მამთქნარებდა და ხანაც კი მენოფრენობდა, მეკითხებოდა, მესუსნავებოდა, მენრუპებოდა და 5 წუთი „ნაუძინეც“ ძალიან მენატრებოდა. არ ყოფილა ადვილი საქმე ამხელა მოცდენის შემდეგ სამსახურში დაბრუნება, მოზილიზირება. მკაცრ ჩარჩოვას გადაჩვეული გონებაც ხან სად გამიტაცებდა და ხან — სად. ფიქრებში გართული ხან ჩემს ბოსტანს გადავუფრენდი და ხანაც კი სოფლად დარჩენილ, მონიშნულ, ჯერაც განუხორციელებელ პროექტებს დავტრიალებდი. ხან ახლად ნაკითხულ წიგნებს ვფურცლავდი და ხანაც კი ჯერაც დაუნერულში ცვილილებები შემქონდა. მოკლედ, ყველგან,

სულ, სულ ყველგან დაფრინავდა ჩემი გონება და ახალ რეალობასაც ისე ისხლებდა, როგორც, ბავშვი, სიტყვებს — დაჯექი, იმეცადინე. სრული სამი დღე მოვანდომე, რათა მინიმალურ ფორმაში მაინც ჩავმდგარიყავი, ეიფორია დამეძლია, აზრებისთვის თავი მომეყარა და მონახაზი გამეკეთებინა, საიდან დამეწყო.

ჰო, „საპარიკმახეროშიც“ ვიყავი. მე რომელშიც დავდივარ, იმას ეგრე ჰქვია, ეგეთია, რა, თორემ სხვებს სალონსაც ეძახიან. თმებიც გავიკრიჭე, მეტად ცივილურადაც და არა ისე, როგორც კარანტინისას, როდესაც ჩემმა სიძემ, დათიკომ, უბრალოდ ცხვარივით გამპარსა. პირბადით „საპარიკმახეროში“ ჯდომა ცალკე განსაცდელი ყოფილა. ოფლში გავინურე და ჟანგბადის უკმარისობისგან სპაზმიც კი დამეწყო. შესაბამისად, ურთიერთობას მონატრებული და მსოფლიო ჭორების გამტან-გამომტანი „პარიკმახერის“ კითხვებსაც სათანადოდ ვერ ვუპასუხე. მგონი, ცოტა კიდევ ეწყინა, თუმცა, ნიხრი გამ-

უფრო ნაღდა, როცა ხელს შეახებ, ჩაცმულები, აკოცებ კიდევ, თუმცა ეს მავნე ჩვევები ალბათ სასწრაფოდ უნდა მოვიშალოთ. ჰო, კიდევ პირბადე არ გვკეთებია. ხელებიც სულ ორჯერ დავიბანე და კორონავირუსი თუ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საერთოდ არ გვიხსენებია. მოკლედ, კარგად გავნიავდით. მერე კი მომდევნო დღე გათენდა და ყველაფერი ისევ უკან დაბრუნდა — კორონაც, უმუშევრობაც, უფულობაც, უსუსურობაც და ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული კრიზისიც. კრიზისი, რომელმაც ქართველები იმდენად დაზაფრა და შეაშფოთა, რომ ჭეშმარიტი ევროპელივით უსაზღვროდ შენუბდნენ და უკიდევანოდ ალმფოთდნენ.

ოოო... აი, ისევ გამიფუჭდა ხასიათი და მომეშალა ნერვები. ნავედი მე ისევ სოფელში და ერთი ქალაქისაც...

ბათუმი

აი, ისევ ბათუმში ვარ. ზღვაც ისევ ღელავს. გამეტებით ისვრის თავის ხეულ ტალღებს და ნაპირსაც ისე გულმოდგინედ ლოკავს, თითქოს ქვამარის მიმდგარი ხბო ყოფილიყოს. მეც ისევ მის, ზღვის, ნაპირზე ვზივარ და ჰორიზონტს გავცქერი. აუ, მართლა რამდენი დრო გასულა.

მახსოვს, ერთხელ, უნივერსიტეტში სულ ახალი ჩაბარებული მქონდა, აქეთ, ზღვაზე რომ წამოვედი. მაშინ ქობულეთში გავჩერდით. რალაცნაირი უცნაური დროება იყო. ჩოლოქის ხიდს რომ გადამოცდებოდი, აუცილებლად საბუთები უნდა შეემომშებინათ. ვილაც ფორმიანი ჯელები მატარებელშიც კი ამოდიოდნენ ხოლმე და მერე მგზავრთა პირადობის მონობებს ისე დასცქეროდნენ, თითქოს თვალის ნაცვლად სკანერები ჰქონოდათ და ყველა საბუთსაც მონაცემთა ბაზაში ამონებდნენ, ცხრილავდნენ. ისეც, მაგათი ქარაქუცა...

შემდეგ იმავე ქობულეთში ისეთი დრამები თუ მელოდრამები დატრიალდა, მოხდა, რომ სრულად აღარც კი მახსოვს. მხოლოდ ის ვიცი, კიდევ ვიჩხუბეთ, კიდევ დაგვიჭირეს და მეზობელ გოგოსაც საერთო აბაზანაში სწორედ მაშინ შევუვარდი, როდესაც სარკის წინ იდგა და ბოქვენის თმას იპარსავდა. მიუხედავად ამდენი განსაცდელისა, ყველაფერი მაინც კარგად, მშვიდობით დასრულდა... უკანა გზაზეც, მატარებელი რომ დაიძრა, ბაქანზე დარჩენილმა სრულიად უცხო ახერებმა, რატომაც ქვები ისე დაგვიშინეს, თითქოს, გამოსამშვიდობებელი „თაიგულები“ ყოფილიყო. მართლაც უცნაური დროება იყო.

მერე მე და ნინოც ვიყავით აქ, ზღვისპირეთში, ჩამოსულები. მაშინ ნოემბერი იყო და თან სულ ახალი ცოლ-ქმარი გახლდით. ძველ ბათუმში დავბინავდით. იქ გვჩაუქეს სასტუმროს საგზური. ძალიან კარგი აღმოჩნდა ძველი ბათუმიცა და ასეთი გულუხვი საჩუქარიც. ნინო უკვე ფეხმძიმედ იყო და ტოქსიკოზიც დაწყებოდა. მეც, ყოველ დღით, ბაზარში მანვნისა და ქიშიშიანი „ბულკის“ საყიდლად დიდი ენთუზიაზმით დავდიოდი. შემდეგ კი, მოსალამოებულს, ბულვარში სასეირნოდ გავდიოდი ხოლმე. ბულვარში, რომელიც უნივერსიტეტთან მთავრდებოდა და, თითქოს, ამის დასტურად, მიმოხილვის ბორბალიც სწორედ იქ იდგა. ჰო, და კიდევ იყო რესტორანი „მარსელი“ — ერთადერთი და განუყოფელი რესტორანი იმდროინდელ ბათუმში...

ერთხელაც კიდევ, ცოტა არეული რომ ვიყავი, ზღვაც იარია... მთელი კვირა წვიმდა. ამოვიდა ყელში არაყიცა და აჭარული ხაჭაპურიც. ბოლოს, როგორც იქნა, მზემაც გამოანათა და მეც ეგრევე სანაპიროზე გავიჭერი. წყალი მღვრიე იყო და ზღვაც ღელავდა. ამკარად მაცდურად მეძახებ თავისთან, ხელსაც მიქნევდა, მოშველალავებსაც მანახებდა... მეც დაუფიქრებლად მისკენ გავეჩანე, ჩავეკონე და „ჩავენიადე“. მერე კი იყო დახრჩობის სცენა. ყველაზე სევდიანი სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობა მიმილია. არ მახსოვს თვალწინ მოგონებებმა თუ გამიქროლეს, თუმცა როცა გავაცნობიერე, რომ ზღვა ასე ადვილად არ შემელოდა და ნაპირზეც დამოუკიდებლად ვერ გავიდოდი, ეგრევე გავტყვი, გავფუჭდი... დავინყე დახრჩობა ჯერ პანიკაში და შემდეგ წყალში... როგორც ხედვები, გადავჩრჩი. უფრო სწო-

რედ, გადამარჩინეს. გაახარებს გამჩენი ჩემს მხსნელს, ჩემს სიძეს, დათიკოს... მაშინ ვნახე პირველად, „საპარკმახეროში“ როგორ „გაფენეს“ ზღვაში დასველებული მობილური ტელეფონი „მოტოროლა“ და თანაც არ მეჩხუბნენ, ყველაფერი შენი ბრალიაო. ისე, მის მერე პატარა ტალღებზეც კი რეტი მესხმის და თუ შევატყვე, ამინდი იცვლება და ზღვაც მეტად დელავს, ეგრევე ელდანაცემი ნაპირისკენ გავრბივარ, ვიმალები.

ახლა ბათუმში სულ სხვა ქალაქია. მე ძალიან მომწონს მისი ახალი უბნები და ზღვის სანაპიროზე გაშენებული ცათამბჯენები. რაღაცნაირი სხვანაირი ხიბლი აქვს. ქალაქიც სხვანაირი გახდა. ულტრათანამედროვე და მოდერნიზებული. მიყვარს ბათუმში რამდენიმე დღით გაქცევა და თავდავიწყება... ვიღაცებს კიდევ ალიზიანებს ეს ცვლილება თუ სიახლე, თუმცა დროს ვერ დააბრუნებ და, შესაბამისად, წარსულზე წუნუნიც აზრს მოკლებულია.

ადრე, ვისაც წყლის ზედაპირზე ტივტივი შეეძლო, სულ დაცვიინოდი, თქვენში „ქაქი“ მეტია, ვიდრე საღი აზრი და მაგიტომაც გაადვილებათ ზედაპირზე გაჩერება-მეთქი. მაშინ მე ეს არ გამომდიოდა. ახლა კი, წლების მატებასთან ერთად, მშვენივრად გამომდის და ხოშიანადაც ვტივტივებ. იმედია, გამოცდილების ამბავია და არა „ქაქის“...

მე, მოგზაური...

დღეს რაც ყველაზე მეტად მაკლია, ესაა მოგზაურობა. ადრე, წინა, კორონანდელ ცხოვრებაში, ამას ხშირად ვახერხებდი. ხან ვალით და ხანაც ისე, ხელმომჭირნედ. პრეტენზიული ტურისტი არასდროს ვყოფილვარ და, შესაბამისად, „იაფად“ მოგზაურობაშიც ისე გავინაფე, წელიწადში 4 ჯერაც კი ვახერხებდი ევროპაში გაძრომას. მოკლედ, კარგად „გავისიგრძეებანე“ თვალსაწიერი და სრულიად გავიზიარე მოსაზრება, რომ ადამიანმა აუცილებლად ხშირად უნდა იმოგზაუროს, რათა საკუთარ წარმოსახვებში არ გაიჭედოს, ჩარჩეს და საკუთარივე შეხედულებებიც ხშირადვე გადააფასოს.

ისე ეს მოგზაურობები მართლა მაგრად მშველოდა. ყოველდღიურობაშიც და წლის ჩრილობიც. ერთგვარი ანტიდეპრესანტიც კი იყო. თავად მოლოდინი, განცდა, რომ მალე სადღაც იმოგზაურებ, რუტინას მიფერადებდა და საოცრად მასტიმულირებდა. თითქმის ყოველთვის მქონდა ნაყიდი თვითმფრინავის ბილეთი და მოგზაურობამდე დარჩენილი 3 თუ 4 თვეც ისე კოხტად ვადიოდა, გარბოდა, რომ ყოველდღიურობის ტვირთს ვერც კი ვგრძნობდი. შესაბამისად, არც თავს ვიზოგავდი და ბოლომდე, დაცემამდეც კი მიმყავდა ჩემი რუტინა, რადგან ზუსტად ვიცოდი, რომ წინ დასვენება, მოგზაურობა მელოდა და ეს ამაღ ნამდვილად ღირდა. ღირდა განყვეტად, აწენვად, გაფრენად, რადგან მერე მოვკიდებდი წინის ხელს და... ყოველი ასეთი მოგზაურობა ჩვენზე ისევე მოქმედებდა, როგორც კომპიუტერზე „ვინდოუსის გადაყენება“.

ჩემოდნის გორგოლაჭების რაკრაკზე მისტიკური და ამაღლებული ხმა მე ბევრი არ ვიცი, არ შემეხვედრია. ახლაც კი, როცა ყურში ეს რითმული ხმა ჩამესმის, სხეული ეგრევე მიმჩატდება და თავად ჩემოდნის დანახვისას კი, ისეთი სენტიმენტალური ვხდები, როგორც დიასახლისი თურქული სერიალის ყურებისას. მეც შემეძლია, რომ მთელი დღე ჩემოდანს ვუყურო, ბევრი ვიზლუქუნო და თან ბოლომდე მისი არც კი მესმოდეს.

და აეროპორტის შენობა? იქაური სუნი? ფასტფუდის კაფე? მკვახხე მებაჟე? „ჩასხდომის“ გამოცხადების ფოლადივით ცივი ხმა? უსაყვარლესი, თავკომბალა რიგი თავად ჩასხდომისას? ბორტგამცილების პედანტურად გაუთოებული უნიფორმა? ხელბარგით გადატენილი ზედა თარო? ყურების დაგუბება აფრენისას? ტაში დაფრენისას? „მამაო ჩვენო“ ტურბულენტობისას? არც კი ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო. ყველანი ძალიან მიყვარხართ და მენატრებით.

ახლა კი, ყოველივე ეს გაქრა. ახლა ეს უკვე შეუძლებელია. მატერიალურადაც, მორალურადაც და ფიზიკურადაც კი. სამყაროც დროებით დაიხურა და დავრჩით

საკუთარი თავის ანაბარა. უსტიმულოდ, უთვალსაწიეროდ და... თითქოს, არც ისე დიდი ტრაგედიაა, თუმცა, აშკარად რაღაც ახალი უნდა მოვიფიქრო. რამე ახალი გატაცება, პირადად ჩემი ახირება უნდა ვიპოვო, რომელიც ჩამინაცვლებს იმ სიამოვნებას, რასაც მოგზაურობისას ვიღებდი. ალბათ, გამიჭირდება. ნაღდად გამიჭირდება, რადგან... ექვშ, ნეტა, ეს აიფონები მაინც მომწონდეს, რათა მათი ყოველი ახალი მოდელის შექმნით გამონეწეული სიხარულით მოგზაურობით გამონეწეული ამაღლებელი განცდები ჩამენაცვლებინა. არადა, თანხობრივად თითქმის იგივეა. რაც ახალი აიფონი ღირს, მეც ზუსტად იმ ფასად ვმოგზაურობდი. ხშირად 2 კაციც კი... მართლაც ძალიან სანყენია, რომ ასე ძლიერ არ მიყვარს ეს აიფონები.

კი, შეიძლება და აუცილებელიც არის, რომ აქვე, ჩვენი ქვეყანაშივე დავისვენოთ. აქვე დავხარჯოთ ფული და აქვე წავახალისოთ ადგილობრივი ტურიზმი, მოსახლე-



ობა, თუმცა... რა ვქნა, რომ ამ მოგზაურობებში ყველაზე მეტად სწორედ ის მომწონდა, არავის ესმოდა ჩემი ენა, არავინ მიყურებდა კვალში და მეტიც... სულ, სულ ყველას იმდენად ღრმად ვეციდი, შიშველასაც რომ მეტობინა, ზედ არავინ შემომხედავდა. აი, სწორედ ეს ინდიფერენტულობა და გულგრილობა მომწონდა ყველაზე მეტად. გარემო სადაც არავის არავინ ვიყავი, არავისი არაფერი მმართებდა და არავის აზრის, შეხედულების გათვალისწინებაც არ მჭირდებოდა, ვცდილობდი...

ერთხელ ვენაში, საღამო ხანს სეირნობისას, მართლაც ჩამიქროლა სრულიად შიშველმა მამაკაცმა. მარტო ბოტასები ეცვა და ისეთი თავდაჯერებული დარბოდა, აშკარად, პირველად არ იყო სავარჯიშოდ ასე გამოსული. ერთხელ ბერლინში პოსტდამერ პლაცზე ისეთი ავიჭერიდი და ერთმანეთს ისე ვეჩხუბეთ, რომ, მგონი, მართლა ვიღაცის თვალი გვეცა, გამოგყვავა. ერთხელ ბრუკლინში სეირნობისას ძალიან რომ დავიღალეთ და დაგვალამდა, მალაზიაში კოლა და არაყი ვიყიდეთ, ერთმანეთში გადავჯერეთ და მერე მთელი უკანა გზა ვნრუჰავდით. ერთხელ მუინჰენში რკინიგზის სადგურში ისეთი გემრიელი სოსისი ვჭამეთ, რომ მერე მთელი კვირა სასაუზმოდ იქ დავდიოდით. ერთხელ ზალსბურგში მოცარტის სახლმუზეუმში არ შევედი და „ზარაში“ ჯინსები ვიყიდეთ. ერთხელ გენტში ძველი, დაკეტილი ეკლესია ვნახე და დღემდე მახსოვს მისი მდუმარე ფასადი. ერთხელ ბრიუსელში სასტუმროს ფანჯრები გამოვადე და იქ, წინ, ძველმანების ბაზრობა დამხვდა. ერთხელ ფუსენში ძალიან რთულსახელიანი სასახლე მოვიხსენიე. მგონი, ნოიშვაინშტაიგერი ერქვა, თუმცა, შეიძლება, ვცდები და

ფეხბურთელ ბასტიან შვაინშტაიგერში მერევა, მაგრამ სასახლე მართლაც ზღაპრული იყო. და ეს ყველაფერი მხოლოდ შარშან ერთხელ იყო და უფრო ადრე ერთხელ კი... ექვშ...

ბაზიარემის სახლი

ბაზიარემის სახლი, ჩემი ბავშვობის სახლიდან მოშორებით, გარეუბანში მდებარეობდა. ვერ ვიტყვი, იქაურობა ძლიერ მიყვარდა-მეთქი, თუმცა, ახლახან, იქ შემთხვევით რომ მოვხვდი, ჩავიარე, მივხვდი, იქაურობასთან არც თუ ცოტა ემოცია მაკავშირებდა. ძირითადად მოგონებები... მივხვდი, რომ ვერასდროს დავივინყებდი იმ მოჟამულ „ხრუმოკას“, რომელშიც ჩემი ბავშვობის შაბათ-კვირებს და უქმეებს ვატარებდი. ვერც იმ ხელისგულისტოლა ეზოს ამოვიგდებდი თავიდან, რომელიც უსაშველოდ დიდი მეჩვენებოდა და ვერც იმ დაგვაჯულ ხეს დავთმობდი, რომელზეც

უნებდა და მათი შვილები. შვილები, რომლებიც ვერასდროს ვერაფერს იყოფდნენ, მუდამ ერთმანეთს ექიშებოდნენ და მათი სახლიდანაც მარადუამს დედის გინება თუ ჭურჭლის მსხვერვის ხმა გამოდიოდა. არადა, ერთი ძმა ძალიან კარგად მღეროდა და მერე კი დიდძალ ფულს შოულობდა. თავისთავად არც ერთი იყო ცუდი და არც მეორე. მეტიც, ორივენი ძალიანაც საყვარლები გახლდნენ და განსაკუთრებით კი შეზარხოშებულნი, ამღერებულნი და „თუმნიანმოფრიალენი“, თუმცა ეს ყველაფერი იყო მანამ, სანამ ერთმანეთს წაეკიდებოდნენ. მერე კი კაპიკი იყო მათი ფასიც, სიმღერაც და ნითელი თუმნიანებიც. არადა, ამ ოხრებს, მარაგი გამჭრიახი გონება ჰქონდათ. ამაში ჯერ კიდევ მაშინ დავრწმუნდით, როდესაც ბნელ 90-იან წლებში, ტაქსი რომ განყდა, გადაშენდა და ამათმა კი სასწრაფოთი დაიწყეს სიარული. დიას, მთელ სასწრაფო ბრიგადას თავის მძლოლიან, ექიმიან, სანიტრიან, დისპეჩერიანა ქირობდნენ და ნასვამ-გამაძლარნი, სწორედ ამ სასწრაფოს მანქანით დაგრიალდებდნენ, დაქროდნენ. მართლა, ერთ რამედ ღირდა მათი ცქერა, დანახვა, როდესაც დღით სახლიდან საქმიანად გამოწყობილი გამოვიდოდნენ და სადარბაზოსთან კი სასწრაფოს მანქანა უცდიდათ. თუმცა, მე უფრო სხვა ეპიზოდი მომწონდა, აი, შუალამეს ეზოში ნივილ-კვილით რომ შემოვარდებოდა ეს სასწრაფოს მანქანა და იქიდან კიდევ გიტარითა თუ თუმნიანებით ხელდამშვენებული ძმები დღინით გადმოდიოდნენ. ისეც მომხდარა, ნაქვიფართ გზად ჩასძინებიათ და მაშინ მზრუნველ მედპერსონალს ძმები სახლში საკაციტრიგ-რიგობით აჰყავდა ხოლმე. ეჰ, კარგი დრო იყო... მათთვის მაინც განსაკუთრებით...

არადა, როგორ მეხვეწა დედაჩემი, არ გამატარო, არ მიწადო და მე კიდევ მაინც გავატარე. ალბათ, 20 წელზე მეტი იყო გასული, რაც იქ, იმ უბანში, არ მოვხვედრივარ და ახლა ამ საშუალებას, ბების ძველი სახლისთვის კიდევ ერთხელ შემეველო თვალი, ხელიდან ნაღდად ვერ გავუშვებდი. გზად ჯერ კინოთეატრი შემოვხვებოდა. მისი არსებობა საერთოდაც აღარ მახსოვდა და, უცებ, ჩამქრალი აფიშაც კი გამიცოცხლდა, თვალწინ დამიდგა — „ზიტა და გიტა“. ჩვენც ეგრევე ავიშალეთ, ავლაპარაკდით და კიდევ ავლივლიდით. ვის რა მოაწვია და ვის რა მოაგონდა... დედას აშკარად ჩვენზე მეტი ჰქონდა მოსაგონარცა და გასახსენებელიც. ბავშვობაცა და სტუდენტობაც აქ, ამ სახლში, ამ გარემოში გაეტარებინა. მამასაც გადაუქროლეს რაღაც მოგონებებმა. სხვა თუ არაფერი, შეყვარებულობისას შინ, აქ მოაცილებდა ხოლმე. მეც ჩემი დამემართა, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით... სახლის პოვნა არ გამჭირვებია, თუმცა, მეგონა, ვერ მივხვდებოდი. აღმოჩნდა, რომ შევეციდი. აღმოჩნდა, რომ აქაურობა ჩემ მესხინებებში ისევე მყარად იყო აღბეჭდილი, როგორც თავად ამ სახლის გაყიდვის უსიამო ისტორია. კი, ნამდვილად ასე იყო და, ალბათ, სანამ მემახსოვრებოდა ბებია, მისი სახლი, მისი მორახრახე მაცივარი და სხვა მრავალნი, მანამ მემახსოვრებოდა, როგორ უსამართლოდაც გავუყიდე თუ აქაურობა. კაპიკებშიც კი... არადა, ბოლოს მაგრად მეხვეწა, არ ქნათ, არ გაყიდოთო. მოვკვდები და მერე რაც გინდათ, ის ქენით, მშვიდობაში მოიხმარეთ, ოღონდ, სანამ ცოცხალი ვარ, გეხვეწებით, ეგ არ დაუშვათო. მე კიდევ განსაკუთრებით ვაქტიურობდი, გინდა თუ არა, აქვე და ახლავ უნდა გავყიდოთ-მეთქი. ნეტავ, რა მრჯიდა?! მაგრადაც კი ვიჩხუბეთ, თუ ვეჩხუბე, ეს სახლი ისეთი ავარიულია, მერე ამის გაყიდვას საერთოდაც ვეღარ შევძლებთ-მეთქი. რა თქმა უნდა, სახლი მაინც გავყიდეთ და ფულიც თანაბრად გავიყავით. ფული მთელი დღესვე გაქრა, აღარ იყო. ბებია კი ჩვენი სახლიდან გავასვენეთ. ძველი მეზობლებიდან თითო-ორი კაცი თუ მოვიდა და თითო-ორი ლავე ცრემლი გადმოაგდო. ის სახლი კიდევ ახლაც ისევე დგას, როგორც უწინ და დაღრეჯილ კბილებს მარჯვენებს, დამცინის, მაქილიკებს... თან მარტო მე კი არა, ყველას, სახლის გამყიდველთ... ეჰ, ნეტავ, ამჯერად მაინც დამეჯერებინა დედისთვის და აქ არ ჩამომეველო, ჩამომეხვია...





გიორგი შერვაშიძე

ჩანახატ-პოსტები

მოკლე გზა

„ლაგუნა შერვაშიძე“ საცურაო აუზზე მოკლე გზით და- დიოდით ხოლმე. ჩელუსკინელების ხიდზე გადავდიოდით და მერე იმის ნაცვლად, ცირკისა და მისი მისადგომები- სთვის წრე დაგვეტყა, დაკლავილი ბილიკით პირდაპირ სანაპიროზე ვეშვებოდით და რესტორან „არაგვთან“ გავ- დიოდით. მართალია, ცირკთან გავლას თავისი მულამი ჰქონდა, რადგან დაცვის პოლიციის თანამშრომლებივით მთელ მის პერიმეტრს იაფფასიანი ბოზები აკონტროლ- ებდნენ, თუმცა არც ისეთი ლამაზნი, მათი ნახვა ყოველდ- ლე გაგვხარებოდა. ფერდი კი არც ისეთი დიდი და ციცაბო იყო, დაგორების შეგვიძინებოდა. არც ტყე გახლდათ ისე- თი უღრანი და გაუვალა, დავეკარგულიყავით, თუმცა იქ დაშვებისას იმდენ გიჟსა და გადარეულს გადავყრივართ, გზაში სხვა რამეზე საუბარი არც დაგვჭირვებია. ხან თავს ბუჩქის ძირას ძალღებვით გადაბმულ ტაქსის მძღოლსა და ტურისტებსადავხვდები სექს-მუშაკს წამოვადგებოდით ხოლმე და ხანაც მათ მალულად მოთვალთვალე, ფიჭვის ხეებს ამოფარებულ „მასტურბატორს“. ისე, ჩვენთვის არასდროს არავის ატაფერი უხეირო თუ ურიგო არ უთქ- ვამს, უკადრებია. ისინი თავისთვის იყვნენ, კონტრიალოდ- ნენ და ჩვენ კიდევ ჩვენთვის დავდიოდით, ვცურავდით... მხოლოდ ის თვალუბრებელი ჩალი გვიყურებდა ხო- ლმე რაღაცნაირი გავუმბლებელი სახით, თითქოსდა... თუმ- ცა, მაშინ ასე 14-15 წლისანი ვიყავით და მის მხერამიც ბევრს ვერაფერს ვარჩევდით.

ერთ მშვენიერ დღესაც ფერდი მშვიდობით ჩავიარეთ და სანაპიროზეც გავედით. რესტორნიდან, როგორც ყოველთვის, მუსიკის ხმა მოისმოდა. სუნიც საოცარი და მადისაღმძვრელი გამოდიოდა. მარად მშვიდობა და „რე- სტორანთუნახავით“ იქჩაველისას ყოველთვის უშველებელი ნერწყვი და ცნობისმოყვარეობა გვადგებოდა ხოლმე. ისე, ეგეთ ძვირფას რესტორანში, მგონი, მარტო ჩვენ კი არა, ჩვენი მშობლებიც არ იყვნენ ნამყოფნი. მოკლედ, გაუფს- ორდით თუ არა რესტორნის ჭიშკარს, ჩვევისამებრ თვლი ეზოში მდგარ ძვირადღირებულ „ნიომარკა“ ავტომობი- ლებს შევავლეთ და ის იყო, მათი განხილვა უნდა დაგვე- ყო, რომ გზის მოპირდაპირე მხრიდან ჩოჩქოლის ხმა შემო- გვესმა. რა თქმა უნდა, თავი დავადეთ და გზაზე დაუფიქ- რებლად გადავირბინეთ. მდინარის ჯებირთან ხუთიოდე კაცი იდგა და რაღაცაზე ხმაძლავდა საუბრობდა. როგორც დიხვდით, იქ დაბლა, ნაპირზე, რაღაც უჩვეულო ხდებო- დი. ზაფხული იყო, მტკვარიც მეტად დამშრალიყო და არც გაგვეკვირვებია, იქ რამე საინტერესო მართლაც რომ ყოფილიყო. სიმართლე გითხრათ, დაბლა ისევე მეთევზებს ველოდით, რომელთაც მოაჯირზე შემომჯდარი ხშირ- დე ვაკვირდებოდით ხოლმე. რამდენიმეს კარგადაც ვიც- ნობდით და ხელის აწევითაც ვესალმებოდით. დაიკაპი- ნებდნენ ხოლმე ჯივრები შარვის ტოტებს, მომარ- ჯვებდნენ ანკესებს და შედიოდნენ წყალში თამამად, ხან- დახან შუანელამდეც კი. რკინის კიბეზე ნაჩქარევად ჩა- ვირბინეთ და იქით მივაშურეთ, სადაც ხალხი იდგა. მე- თევზებშიც ნაპირზე დავგვდნენ. მათაც შემოვიღი და და- ლილი სახეები ჰქონდათ. ზედ მდინარე ვერსა და მტკვრის შესართავთან, რიყის ცხელ, თეთრად მოელვარე ქვებზე მამაკაცის მოჭრილი, შიშველი ფეხი ეგდო.

იმ წლებში კაცის სიკვდილი, მგონი, არც არავის უკვი- რდა. არც მკვლელობა იყო უცხო და გაუგონარი რამ მოვ- ელნა, მაგრამ სხეულის ასე დანახევრება მართლაც ყვე- ლანთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ამას ისიც დაე- რთო, როდესაც მტკვარს ალმა აუფყვივით, სხვა ნაწილებიც ვიპოვნეთ. არავის უთხოვინია, სამაშველო თუ სამძებრო სამუშაოებში ჩაერთეთ. ჩვენი ნებით მივყევით იქ, ნაპი- რზე შეკრებილთ და ნახევარ საათში ნახევარი კაციც ავაწ- ყეთ. დამშრალ ნაპირზე უდიდესი მიმოფანტული კიდევ ერთი ფეხი და ერთიც ხელი ვიპოვნეთ. ისინიც შიშველნი და საკმაოდ „ოსტატურად“ მოკვეთილნი. ჩვენ მეტის პოვ- ნა ველარ შევძელით, აღარ შეგვეძლო და გულიც აგვერია. აი, მეთევზეთ კი ისეთი სპორტული ფინი დაუფლათ, თი- თქოს ის სანყალი კაცი სულ ბოლომდე რომ ეპოვნათ, აენ- ყოთ, ამით რამეს გამოორჩებოდნენ და იხეირებდნენ. მერე ტელევიზიაც მოვიდა და მილიციაც. იქ აღარ დაგვედგომე- ბოდა, რადგან უჩვენოდაც მრავლად მოეყარათ თავი სე- ირის მაყურებელთ. უკან დაბრუნდით და იმავე რკინის კიბით სანაპიროზე ავედით. იქაურობა სულ მანქანებით გადაჭადილი დაგვხვდა. მგონი, მოძრაობაც კი შეჩერებუ- ლიყო და ყველა მოაჯირს მიმწყდარიყო. სანამ აუზამდე მივედით, იქვე, გზაშივე, ერთი ათამდე ვერსია მანც მოვი- სმინე, ვინ იყო ის სანყალი, დახერხილი კაცი და რად გა- იმეტეს ეგზომ. მერე ეს ამბავი ტელევიზიითაც გააშუქეს, თუმცა ჩვენთან იქნაში მომხდარზე უკვე ყველამ ყველა- ფერი ისედაც იცოდა. არც ჩვენ ვმუშაობდით შურნალ- ისტებზე ნაკლები ენთუზიაზმით, თუმცა ამ ბნელი ისტო- რიის კვალს აღარ გავყოლივართ და არც გამოძიების შე- მდგომი შედეგებით დავინტერესებულვართ. უბრალოდ, „ლაგუნა ვერზე“ მოკლე გზით აღარასოდეს ნავსულვარ და სულ ეგ იყო...

დაბოუბი

რატი სირაბიძე
ფრთხი



ბაპილშიძე. არა, კი არ გავიღვიძე, შიგნიდან რაღაც ხმა მეუბნებოდა, რომ გავიღვიძე. ვლბათ, გგონიათ, გა- თენდა?! არა, პირიქით — დაღამდა. ჰო, დაღამდა და გავ- იღვიძე. პირველი, რასაც გუმანი თ მივხვდი, ის იყო, უნდა გავმართულიყავი, თუმცა, ვერ ვიმართებოდი. შიშნაჭამ თვალზე მეტყობოდა, რომ სულ ახლახანს, სადღაც შიგ- ნით, რაღაც ზრდას იწყებდა.

ჰო, უნდა გავიმართო! რა მარტივი სათქმელია — ადე- ქი და გაიმართე, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ, რომ ჭუპრ- ში სხედხართ, ხელფეხმეკრული და გგონიათ, ეს მტკივნე- ულია? აჰ, არა! შიგნით რაღაც იზრდება და იბოჭება, ის უფრო მტკივა.

ჭუპრში ჯდომა კიდევ არაფერი, ვხედავ, ვგრძნობ, რომ გარედან უზარმაზარი ზარხუფი მახურავს.

ვზივარ და ვფიქრობ, რომ აუცილებლად გამოვალ ამ ჭუპრიდან, მაგრამ ვინ იცის, პეპლად ვიქცევი, ფრთებს გავეშლი თუ მტკვერთან ასე შერწყმული და მინას გართმე- ული საშუალებად აქ დავჩრები, მინაზე, ჭუპრში.

როგორ მოვხვდი ჭუპრში? სანამ იქ აღმოვჩნდებოდი, სადაც ახლა ვარ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვიყავი. ახლა რომ ვფიქრობ, ადამიანი და ჩვეულებრივი ერთმა- ნეთს არაფრით ესადაგება, ჩვეულებრივი ვიყავი იმიტომ, რომ არაფერს ვაკეთებდი, გავჩნდი და მორჩა. განა მ- ხოლოდ დაბადება კმანა სიცოცხლისათვის?! ჩემი ადამი- ანად ყოფნის პერიოდში ასეთი კითხვა არ გამჩენია, ფიქრი მხოლოდ ახლა მოდის, ადამიანი რომ აღარ ვარ, თუმცა, არც არასდროს ვყოფილვარ. ზუსტად იმიტომ გავიღვიძე ჭუპრში, იქ სადაც ბნელა და ყველაზე უკეთ ხვდები, როგორი ტკბილი ყოფილა სიცოცხლე, „ადამიანად ყოფ- ნის ტკბილი სევდა“, სევდა, რომელიც მოგდევს იმიტომ, რომ ადამიანად გაჩნდი და არა მარტივად — კაცად.

დღეს აქ ვარ, ჭუპრში. ალბათ ფიქრობთ, ჭუპრი აუცი- ლებლად იქცევა პეპლად, ეს ხომ კანონზომიერია? თუმ- ცა ვგრძნობ, ჩემს შემთხვევაში ასე არ მოხდება და რომც მოხდეს, ზარხუფიდან თავს ვერ დავაღწევ, მე უკვე დავკარგე ადამიანად ყოფნის უზარმაზარი შესაძლებლო- ბა. რა იქნებოდა, არ გავჩერებულყავი — მეტრიალა, მეადამიანი, ჯერ კიდევ მაშინ, კაცი რომ ვიყავი.

უკვე მერამდენე ღამეა, ჭუპრში ვზივარ. არა, არ მოგეს- მათ, ჩემთან დღე არ თენდება, მზის სხივები ვერ აღწევენ ჩემამდე, აისის ნახვა მენატრება, ახლა მენატრება, თორემ მაშინ, კაცი რომ ვიყავი, ვინ მოთვლის, რამდენი აისი გამი- ტარებია უქმად. ახლა კი მარადიულ დაისში ჩარჩენილს მზის თითოეული სხივი მენატრება. რა იქნებოდა ერთი სხივი მაინც ამოსულიყო ჩემამდე, დავკოცნიდი, ჩავეხ- უტებოდი, არასოდეს გავუშვებდი. ალბათ, ასეთია დაც- ემული კაცის ბუნება, რაღაცის ფასს მერე ხვდები, როცა ნაკურთმევა. ყველაზე მეტად კი მაინც სიყვარული მე- ნატრება, განცდა იმისა, რომ „ერთმანეთში და ერთმანეთ- ისთვის არსებობთ“. ამის განცდა ერთადერთხელ მო- ვასწარი, ისიც მოჩვენებითად, თითქოს განვიცადე.

ჭუპრში ჩარჩენილს ერთადერთი იმედი მასაზრდოებს, იმედი იმისა, რომ ქარიშხალი ატყდება, იელვებს, ზარხ- უფის გაყინული კედლები დაიზარება, გატყდება, მე კი მხოლოდ ჭუპრი დამჩრება გასარღვევი.

ერთი ჩვეულებრივი ღამე იყო, ასე მეგონა თავიდან. უცებ უკუნ სიბნელები ცაზე მთვარე შევნიშნე, აქამდე არასოდეს მინახავს ასეთი ღამეა მთვარე — ამაყი, თე- თრი, ღამაზე კაბაში გამონყობილ ქალიშვილს ჰგავდა. მან- ამდე, კაცი რომ ვიყავი, არასოდეს ამხედვას ზევით, ცი- სკენ, არც დღისით, არც ღამით. უცებ, ჭუპრად ყოფნის დუნე რუტინაში, რაღაც შეიცვალა, მთვარე მანათებდა. სიბნელემეჩვეულს გამიჭირდა სინათლეზე შევუება, თუმ- ცა ვიგრძენი, რომ ბედნიერი ვიყავი, მივხვდი, რომ ცე- ლილება გარდაუვალა იყო. მთვარე კი მომწონდა, მაგრამ მაინც დავიძინე. რა აზრი ჰქონდა ჩემს სიფიზულეს, მთა- ვარი თვალი, უფრო დიდი და მრავლისმომცველი, კარგა ხანია, მოდუნებული მქონდა.

გათენდა. გავიღვიძე. რაღაც უჩვეულოდ ძილშივე ვგრ-

ძნობდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. თვალი რომ გავახილე, მივხვდი, რაღაც ისე ვერ იყო. გავიღვიძე და დავინახე, რომ ჭუპრის სახვევები შემხსნოდა, ზევით ავი- ხედე და ის ნანატრი მზის ერთადერთი სხივი ჩემამდე ამო- სულიყო. მისი დამსახურება იყო ჩემი ჭუპრიდან გა- მოტყავება. მზე კი ამოსულიყო, მაგრამ მხოლოდ ზარხუფ- ის კედლებს ეხებოდა, უშუალოდ ჩემამდე ვერ აღწევდა, სახვევები სიმზურვალემ შემხსნა. ჭუპრიდან გამოძვერი უსახო, უსახელო, უსულო არსება. უმისამართოდ დავფო- რთხავდი ერთი კედლიდან მეორისკენ, მინდოდა, მზის სხივს მივევლოდი, მაგრამ ვერ ვწვდებოდი.

უკვე რამდენიმე დღეა, ჭუპრიდან გამოვდი, სახე ისევ არ მაქვს. ზარხუფიან კედლებს მერამდენედ მივებთქე, აღარ ვიცი. ახალი დღის გათენებასთან ერთად ვხვდებო- დი, რომ მზის სხივები იმატებდნენ, ზარხუფი კი ისევ ურყე- ვად იდგა.

ერთ ჩვეულებრივ დღეს (აქაც მეტყობოდა კაცად ყო- ფნის ნაშთი, აბა, დღე ჩვეულებრივი როგორ იქნება?!) მფრინავი ჩრდილი შევნიშნე. ავიხედე და ჩემს თავზე ფრ- თამოტეხილი პეპელა ფარფატებდა, ულამაზესი პეპელა ჩემთან ძალიან ახლოს იყო, თუმცა, ჩვენ შორის ცივი ზარხუფის კედელი აღმართულიყო. მინდოდა, მასთან მე- ლაპარაკა, მაგრამ გამახსენდა, რომ მას შემდეგ, რაც ადა- მიანობის უფლება ნამერთვა, მეტყველება დამიწივო- და. ფრთამოტეხილმა პეპელამ ლაპარაკი დამიწყო:

— ყური დამიგდე. აქ რომ ამოვსულიყავი, ბევრი ვი- ფრინე, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ, — სანყალი ქოშინებდა, — მე ვიცი, აქ როგორ და რატომ მოხვდი. ისიც ვიცი, მანამდე კაცი რომ იყავი. მეც შენსავით ვიყავი ერთ დროს და ზუსტად შენაირი ბედი მენია — დავისაჯე არადადამიანობისთვის. აქ კი იმიტომ მოვედი, რომ გიშვე- ლო, გაგაღწევი ამ უსაშველოდ პატარა გამოქვაბულ- იდან. ვიცი, ახლა ლაპარაკი არ შეგიძლია, ისიც ვიცი, რა- მდენი უპასუხო კითხვა გაქვს. ბევრი დრო არ მაქვს, დიდი საიდუმლო უნდა გაგიმზილო. ხომ გითხარი, მეც შენსავე- თი ორმაგ გამოქვაბულში ვიჯექი, მაგრამ თავი დავად- ნიე, ახლავე გეტყვი — როგორ. ჩემთანაც ასე ამოვიდა მთვარე, მერე მზე სხივი მომაფინა, თუმცა იმედი მაინც არ მქონდა მანამ, სანამ მზემ ზარხუფის გაბზარვა არ და- იწყო. მზეს რამდენიმე წელი სჭირდება ზარხუფის კედე- ლი რომ გაარღვიოს, თუ გაარღვევს, როგორც კი უშუა- ლოდ მზის სხივი შეგებება, პეპლად იქცევი. იცი, როგორი ბედნიერებაა ამის შეგრძნება? იფრენ, იქროლებ, მაგრამ როგორც კი ფრთებს დაიქნევ, ხმა ეკისმის, რომელიც გიბრძანებს, არჩევანი გააკეთო, ან ორივე ფრთით უნდა გააგრძელო ფრენა, ან შენსავით ჭუპრში რომ ზის ხე- ლფეხმეკრული, იმის დასახმარებლად ნახვიდე, სანაც- ველოდ კი ცალი ფრთა უნდა დათმო, — დაამთავრა ფრთა- გაცემულმა.

უცებ ელდა მეცა. ვილაც უცხოზე, რომელსაც არც მამ- ინ ვიცნობდი, კაცი რომ ვიყავი, ჩემ გამო საშუადათ თა- ვისუფლება დათმო, ცალი ფრთა გაიღო, რომ აქ ჩემამდე ამოსულიყო. ფრთაგაცემულმა დარჩენილი ცალი ფრთა მოიქნია და ზარხუფიც დაიმსხვრა.

როგორც იქნა, გამოვდი. მზეს პირდაპირ ვუყურებ- დი, ნელ-ნელა ფრთები მეზრდებოდა, ო, როგორი ბე- დიერი ვიყავი!

ავფრინდი... ფრთაწართმეული უკან მომყვებოდა და უცებ დაილ- რიალა:

— ახლა შენი ჯერია, უნდა აირჩიო და ვიდრე გად- ყვეტ, ერთი რამ უნდა გითხრა, მეც შენსავით კაცი ვიყავი, სანამ აქ აღმოვჩნდებოდი, როცა ამ ნაბიჯს ვდგამდი, ერ- თადერთი სურვილი მამოძრავებდა, დღის გათენება ად- ამიანყოფილი კაცებისთვის. აირჩიე!

ბოლომდე ვუსმენდი. ჩემს თავში ათასი ფიქრი ტრი- ალებდა, ვგრძნობდი, როგორ მეკვეთებოდა ცალი ფრთა... იკაროსივით მზისკენ მივფრინავდი... იმ იმედით, რომ მზე არასოდეს დამწვავდა...

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

